


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გ. ჯოღია

უცხო სიტყვათა ლექსიკონი



რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2008

საქართველოში უცხო სიტყვების განმარტებითი ლექსიკონების მდიდარი ტრადიცია არსებობს. ამ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ბ-ნ მ. ჭაბაშვილს, რომლის ფუნდამენტურმა ნაშრომმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მრავალი თაობის განათლების საქმეში. გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში გამოიცა მრავალი დარგობრივი (დიპლომატიური, ეკონომიკური, იურიდიული, საბაჟო და სხვ.) ლექსიკონი და ენციკლოპედია. ზოგიერთი ავტორი თავის წიგნშივე გვაძლევს იმ უცხო სიტყვების მნიშვნელობათა განმარტებებს, რომლებიც მათ ნაშრომებში გვხვდება და სხვ.

მიუხედავად ამისა, ამ სფეროში უკმარისობა მაინც შეიმჩნევა, რადგან ჩვენს სწრაფად ცვალებად გარემოში უცხო სიტყვების გავრცელებისა და ახალი ტერმინების დამკვიდრების პროცესი ძალზე სწრაფია და დინამიური, რაც მოდუნების საშუალებას არ იძლევა.

არსებული ქართული და უცხოური ლექსიკონების მასალათა შეჯერებით, ასევე საერთაშორისო და საქართველოს უახლესი კანონდებლობების გათვალისწინებით, მოცემულია უცხოური წარმოშობის 1200-მდე სიტყვის ქართული შესატყვის-განმარტებები.

ლექსიკონი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის.

შემდგენელი სტუ-ს სრული პროფესორი გურამ ჯოღია

რედაქტორები:

სტუ-ს სრული პროფესორი **ევგენ ბარათაშვილი**

სტუ-ს სრული პროფესორი **იგორ კვესელავა**

სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი **ზვიად როგავა**

რეცენზენტი სრული პროფესორი გურამ ნაკაიძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008

ISBN 978-9941-14-237-6

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

დიკლომატიური, ეკონომიკური, იურიდიული და პოლიტიკური უცხო სიტყვების ლექსიკონი

ა

აბანდონი [ფრანგ. abandon – უარი] – 1. უფლების დათმობა ან პროცესის გაგრძელებაზე უარის თქმა. ქონების დამზღვევე პირის უარი დაზღვეული ქონების უფლებაზე, ასევე მისი უფლების გადაცემა მზღვეველისათვის იმ მიზნით, რომ მისგან სრულად მიიღოს დაზღვეული თანხა.

აბოლიცია [ლათ. abolitio – გაუქმება, მოსპობა] – (სამართ.). 1. კანონის ან გადაწყვეტილების გაუქმება. 2. თანამდებობიდან გადადგომა ან გადაყენება; თანამდებობის გაუქმება. 3. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ისეთ სტადიაში, როცა ბრალდება იურიდიულად დაუდგენელია.

აბროგაცია [ლათ. abrogatio] – (სამართ.). მოძველებული კანონის გაუქმება.

აბსენტიზმი [ლათ. absens (absentis) – ვინც არ ესწრება] – მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება პოლიტიკური ცხოვრებისადმი, მისთვის თავის არიდება; გაცდენა.

აბსოლუტიზმი [ლათ. Absolutus – უეჭველი] – პოლიტიკური თეორია; სახელმწიფო მმართველობის ფორმა ერთი პირის – მონარქის ხელში.

აბსოლუცია [ლათ. absolutio] – (სამართ.). სასამართლოს დადგე-

ნილება, რომლითაც ბრალდებული სასჯელისგან თავისუფლდება.

აგენტი [ლათ. agens (agentis) – მოქმედი] – შუამავალი, რწმუნებული; პირი, რომელიც წარმოადგენს კომპანიას ან სხვა პირს კონტრაქტებთან დაკავშირებულ საქმეებში.

აგიტაცია [ლათ. agitatio – მოძრაობაში მოყვანა] – (პოლიტ.). პროპაგანდისტული ქმედება ხალხთა პოლიტიკური აქტიურობის ასამაღლებლად.

აგრემენი [ფრანგ. agreement – თანხმობა] – (დიპლ.). ერთი სახელმწიფოს მთავრობის თანხმობა, მიიღოს თავის ქვეყანაში მეორე სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი.

აგრესია [ლათ. aggressio – შეტევა] – ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყნის დასაპყრობად.

ადაპტაცია [ლათ. adaptatio] – შეგუება, შეწყობა.

ადეკვატი, ადეკვატური [ლათ. adaequatus] – (რისამე) სრული შესატყვისი, სრული შესაბამისი.

ადენდუმი [ლათ. addo – ვუმატებ] – ხელშეკრულების (კერძოდ, ჩარტერის, ფრანტის) დამატება, ჩამატება, რომელიც ცვლის ან ავსებს ამა თუ იმ პირობას.

ადვალური ბაჟი [ლათ. ad valerem] – საბაჟო გადასახადის სახეობა, რომელიც იცვლება

საქონლის საბაჟო ღირებულების შესაბამისად.

ადვოკატი [ლათ. advocatus] – იურისტი, რომელიც გამოდის ბრალდებულის დამცველად ან აწარმოებს ვისიმე საქმეს სასამართლოში; ვეჟილი.

ადმინისტრაცია [ლათ. administratio – მართვა] – მთავრობა; წარმოების მმართველობის ორგანო; ხელმძღვანელობა; მართვის აპარატი.

ადრესანტი [გერმ. adresant] – ტვირთის გამგზავნი.

ადრესატი [გერმ. adressat] – გაგზავნილი ტვირთის მიმღები.

ავანზალი [ფრანგ. avant – წინა და salle – დარბაზი] – (დიპლ.). დიდ შენობებში, სასახლეებში: მომცრო დარბაზი, ოთახი მთავარი დარბაზის წინ.

ავანსი [ფრანგ. avance] – (ფინანს.). მისაღები თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ უხდიან ვისმე შესასრულებელი სამუშაოს ანგარიშში.

ავერაჟი [ინგლ. averagang – გასაშუალება] – საბირჟო თამაშის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს თანამიმდევრული დროის გარკვეულ შუალედში აქციების ყიდვა-გაყიდვას კურსის ცვლილების შესაბამისად.

ავერსი [ფრანგ. avers – სახით მობრუნებული] – მონეტის, მედლის წინა მხარე. (საპირისპ. რევერსი).

ავთენტურობის ტიპი [გერმ. authentikos – თვითმყოფი] – (დიპლ.). ხელშეკრულების ნამდვილი, სარწმუნო, დედნის შესაბა-

მისი ტექსტი, შესრულებული ყველა ფორმალური მხარის დაცვით და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირების მიერ.

ავიზო [იტალ. avviso – შეტყობინება] – (ფინანს.). უწყება, რომლითაც ატყობინებენ მიმღებს მისთვის ფულის, თამასუქის ან საქონლის გაგზავნას.

ავისტა [იტალ. avista – წარდგენისთანავე] – (ეკონ.). წარმომადგენლის თამასუქი, გაცემული გადასახდელის ვადის მიუთითებლად, ნებისმიერ დროს გასანადგურებელი.

ავტარქია [გერმ. autarkieia – თვითდაკმაყოფილება] – (პოლიტ.). ეკონომიკური განცალკევებულობის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს ქვეყანა, რეგიონი; ჩაკეტილი ეკონომიკური პოლიტიკა.

ავტოკრატია [გერმ. Autokratieia] – (პოლიტ.). ქვეყნის მართვის ისეთი სისტემა, როცა მთელი უმაღლესი ძალაუფლება ერთი პირის ხელშია მოქცეული.

ავტონომია [გერმ. autonomia] – (პოლიტ.). რომელიმე ქვეყნის, მხარის, ოლქის უფლება – ჰქონდეს საკუთარი თვითმმართველობა.

ავტორიტარული [ფრანგ. autoritaire – მბრძანებლური < ლათ.] – (პოლიტ.). ავტორიტეტისადმი, ხელისუფლებისადმი უსიტყვო მორჩილებაზე დამყარებული მმართველობა.

ავუარი [ფრანგ. avoir – ქონება] – (ფინანს.). ფიზიკური პირის (დაწესებულების) ანაბარი უცხოეთის ბანკში.

აკლამაცია [ლათ. *acclamatio* – წამოძახება] – (პოლიტ., დიპლ.). გადაწყვეტილების მიღების მეტოდი. გეხვედება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების მუშაობის პრაქტიკაში; თანხმობის ან უარყოფის დასტური.

აკრედიტება, აკრედიტებული [ლათ. *accredo* – ვენდობი] – 1. (დიპლ.). უცხო სახელმწიფოში ელჩის დანიშვნისა და მისი უფლებამოსილების ცნობა. 2. (ფინანს.). ვინმესთვის რწმუნების მიცემა ფულის მისაღებად ან სავაჭრო ოპერაციის საწარმოებლად.

აკონტო [იტალ. *a conto* – გადასახდელის ანგარიში] – იმპორტიორის წინასწარი ანგარიშგება ექსპორტიორთან გაყიდულ საქონელზე ანგარიშების განაღდებას გზით.

აკრედიტიზი [ლათ. *accredo* – ვენდობი] – 1. (დიპლ.). რწმუნების სიგელი; დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დიპლომატიური წარმომადგენლის რწმუნებას. 2. (ფინანს.). ბანკის ფულადი ვალდებულება, რომელშიც მოცემულია დავალება ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის განსაზღვრული რაოდენობის ფულის გადახდის შესახებ დოკუმენტში მითითებული პირობების შესაბამისად.

ალიანსი [ფრანგ. *alliance*] – (ეკონ., პოლიტ.). რამდენიმე ორგანიზაციის, საწარმოს, პირის კავშირი და, როგორც წესი, საერთაშორისო გაერთიანება ხელშეკრულების საფუძველზე.

ალიბი [ინგლ. *alibi*] – (სამართ.). არგუმენტი, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი სადღაც სხვაგან იყო დანაშაულის ჩადენის მომენტში.

ალიენაცია [ინგლ. *alienation*] – (ეკონ.). 1. ქონების გასხვისება. 2. (სამართ.). აქციის, კაპიტალის ან სხვა ფასეულობის მფლობელის შეცვლა.

ალონჟი [ფრანგ. *allonge* – ზესადგმელი] – (ფინანს.). თამასუქზე მიმაგრებული დამატებითი ფურცელი, რომელზედაც კეთდება წარწერა.

ალტერნატი [ლათ. *alternus* – რიგრიგობითი] – (დიპლ.). საერთაშორისო ხელშეკრულების შედგენისა და ხელმოწერის წესი, რომლის თანახმად თითოეული მხარის დელანში პირველ ადგილზეა ამ მხარის ენაზე შედგენილი ხელშეკრულების ტექსტი, მხარის დასახელება, მისი წარმომადგენელის ხელმოწერა და ბეჭედი.

ალტერნატივა [ლათ. *alternus* – რიგრიგობითი] – 1. საერთაშორისო სამართალში: ხელშეკრულ მხარეთა დასახელების, ხელმოწერისა და ბეჭდის დასმის თანამიმდევრობა ხელშეკრულებაში. 2. ეკონომიკური ქცევის ერთ-ერთი ვარიანტი. 3. მმართველობითი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება სხვა ვარიანტს. 4. ორი შესაძლებლობიდან ერთი.

ალტრუიზმი [ფრანგ. *altruisme*] – (ზნეობრ.). კაცთმოყვარეობა, სხვაზე უანგარო ზრუნვა.

ამბასადორი [ინგლ. Ambassador] – (დიპლ.). ელჩი.

ამნისტია [ბერძ. amnēstia – დათმობა, პატიება] – (სამართ.). მსჯავრდებულის შეწყალება: სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება.

ამორტიზაცია [ლათ. Amortisatio – გადახდა] – (ეკონ.). ექსპლუატაციის გამო აქტივების (ძირითადად, ტექნიკის) ღირებულების შემცირება.

ანალიზი [ბერძ. analysis – დაშლა] – მოვლენებისა და პროცესების მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მეთოდი.

ანალოგი [ბერძ. analogos – შესატყვისი] – (ეკონ., სამართ.). რაც წარმოადგენს რამესთან შესაბამისობას, სრულ მსგავსებას და იძლევა ანალოგიის საფუძველს.

ანაქრონიზმი [ფრანგ. Anachronisme] – 1. ქრონოლოგიური შეუსაბამობა; 2. ძველი გადმონაშთი, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, შეხედულებებსა და ჩვეულებებს.

ანარქია [ბერძ. anarchia – უმთავრობობა, არეულობა] – (პოლიტ., სამართ.). ქაოსი, სრული უწყესრიგობა.

ანარქიზმი – (პოლიტ.). სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უარყოფა; რწმენა იმისა, რომ არ უნდა არსებობდეს მთავრობა და სახელმწიფოს მიერ ადამიანების კონტროლი.

ანაჰემენტი [ფრანგ. Engagement – ვალდებულება, დაქორთ-

ვება] – (ეკონ., სამართ.). ვალდებულების დაკისრება.

ანგარი [ბერძ. angareia – (ეკონ., სამართ.). უცხოელთა მოძრაობის ქონების (კერძოდ, გემის) ჩამორთმევა.

ანდეკლინი [ინგლ. Underlaying] – (ფინანს.). ფასიანი ქაღალდი, რომელიც საფუძველად უდევს ოფციონს. მასზე არსებობს ყიდვა-გაყიდვის უფლება ოფციონური კონტრაქტის პირობების შესაბამისად.

ანდეკლიტი [ინგლ. Underwriter – ხელის მომწერი] – (ფინანს.). ფასიანი ქაღალდების ოპერაციების მაკლერი.

ანექსია [ლათ. annexio – შეერთება] – (პოლიტ.). ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის (ან მისი ნაწილის) ძალმომრეობით მიერთება, დაპყრობა.

ანკლავი [ფრანგ. enclave – მიწა-დაქსაქსულობა] – სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის განცალკევებული ნაწილი, რომელსაც გარს აკრავს სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) ტერიტორია და საზღვაო ნაპირი არა აქვს.

ანომალია [ბერძ. anomalia – უსწორმასწორობა] – (სამართ.). კანონზომიერების დარღვევა; საერთო წესისაგან გადახვევა.

ანტაგონიზმი [ბერძ. Antagonisma – ბრძოლა] – (პოლიტ.). მხარეთა შეურიგებელი დაპირისპირება.

ანტისემიტიზმი [ფრანგ. Antisemitisme] – (პოლიტ.). ხელო-

ნურად შექმნილი იდეოლოგია ებრაელთა სიძულვილის შესახებ.

ანტიმილიტარიზმი [ბერძ. anti – წინააღმდეგ და ლათ. Militaris – სამხედრო] – (პოლიტ.). სოციალურად განსხვავებულ ძალთა მოძრაობა, გაერთიანებული ეროვნული, რეგიონული და გლობალური ნიშნით, სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტებში წინააღმდეგობათა გადასაჭრელად.

ანტიტრასტული [ინგლ. anti-trust] – (სამართ.). ანტიმონოპოლიური; იურიდიული აქტები (ქმედებები), რაც წინააღმდეგობას უწევს მონოპოლიებს და არეგულირებს კონკურენციას.

ანულირება [ინგლ. annulling] – (სამართ.). გაუქმება ან შეჩერება იმისა, რასაც სამართლებრივი ძალა აქვს; რაიმეს ძალადაკარგულად ცნობა.

აპაგონია [ბერძ. apagōn – დასკვნა] – (სამართ.). საწინააღმდეგო დებულების შეუძლებლობაზე დამყარებული მტკიცება.

აპარტეიდი [აფრიკანსის ენაზე apartheid – ცალკე ცხოვრება] – (პოლიტ.). სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც რასობრივი ნიშნით სხვადასხვა უფლებრივ მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობის რიგ ჯგუფებს.

აპატრიდი [ბერძ. a – (უარყ. ნაწ.) და patris – სამშობლო] – (სამართ.). „უსამშობლო“, ქვეშევრდომობის, მოქალაქეობის სტატუსის არმქონე პირი.

აპელანტი [ინგლ. appellant] – (სამართ.). მომჩივანი; პირი, რომელსაც საჩივარი შეაქვს უმაღ-

ლეს სასამართლოში, რომ შეიცვალოს გადაწყვეტილება ან განაჩენი, რომელიც დაბალი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა.

აპელაცია [ლათ. appellatio – მიმართვა] – (სამართ.). სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში, რომელსაც უფლება აქვს არსებითად გადასინჯოს საქმე და გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება.

აპლიკანტი [ინგლ. applicant] – (ეკონ., სამართ.). რისამე (სამსახურის, სასამართლოსადმი გადაწყვეტილების გამოტანის და სხვ.) მოხოვნელი.

აპოლიტიზმი [ბერძ. a უარყ. მაჩვენებელი და politika] – ნეგატიური, ინდიფერენტული, გულგრილი დამოკიდებულება პოლიტიკური ცხოვრებისადმი (იხ. აგრეთვე აბსენტეიზმი).

აპოლიტიკური [ბერძ. Apolitikos – ვინც სახელმწიფო საქმეებში არ მონაწილეობს] – საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაზე თავის არიდება.

აპოლოგია [ბერძ. apologia] – ვისიმე ან რისამე დაცვა, გამართლება.

აპოსტერიორი – [ლათ. a posterior] – ცდის საფუძველზე, ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული დოკუმენტი. (საპირისპ. აპრიორი).

აპრიორი [ლათ. a prior] – ცდისგან დამოუკიდებლად, ცდის გარეშე, იმთავითვე. (საპირისპ. აპოსტერიორი).

აპრობაცია [ლათ. approbatio – მოწონება] – შემოწმების შედე-

გად ოფიციალურად გამოხატული დასტური.

აპროპრიაცია [ლათ. Appropriatio] – (სამართ.). უმეტესად უძრავი ქონების მითვისება, დაუფლება.

აჟიო [ლათ. aggio – გადამეცება] – (ფინანს.). საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების (აქციები, თამასუქები, ობლიგაციები და სხვ.) გაყიდვის ფასის გადამეცება ჩვეულებრივ მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. (საპირისპ. დიზაჟიო).

აჟიოტაჟი [ფრანგ. agiotage – აღგზნება] – (ეკონ.). საბაზრო ციებ-ცხელება, განპირობებული კონიუნქტურის, მიწოდებისა და მოთხოვნის, საქონლის ფასებისა და სხვათა მკვეთრი ცვლილების გამო.

არბიტრაჟი [ფრანგ. arbitrage] – (სამართ., ეკონ.). 1. სამედიატორო სასამართლო; საქმის გარჩევა სამედიატორო წესით. 2. კომერციული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ბაზრებზე ერთნაირი საბირჟო ობიექტის (ფასიანი ქაღალდების, საქონლის და სხვ.) ფასებს შორის დადებითი სხვაობის, მოგების მისაღებად.

არბიტრაჟი საერთაშორისო – საერთაშორისო ხასიათის დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც იქმნება მოდავე მხარეთა მიერ და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებებს იღებს.

არბიტრი [ფრანგ. arbitre] – (ეკონ., სამართ.). მედიატორი, მსაჯული, შუამავალი.

არგუმენტი [ლათ. argumentum – მტკიცება] – (ეკონ., სამართ.). რაიმე დებულების დასამტკიცებლად მოყვანილი საბუთი.

არგუმენტაცია [ლათ. Argumentation] – მტკიცება, დასაბუთება.

არეალი [ლათ. area – მოედანი] – ტერიტორია, რომლის საზღვრებში შეინიშნება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოვლენები და ნიშნები.

არენდა [პოლონ. arrenda] – 1. (სამართ.). უძრავი ქონების დროებით დაქირავება ხელშეკრულების დადებით; იჯარა. 2. (ფინანს.). გადასახადი ასეთი ხელშეკრულების მიხედვით.

არენდატორი – (სამართ.). პირი, რომელსაც იჯარით აქვს რამე აღებული; მოიჯარე.

არისტოკრატია [ბერძ. Aristokratia] – (პოლიტ.). გაბატონებული კლასის პრივილეგიური ფენა. **არისტოკრატიული** – არისტოკრატიათა დაკავშირებული; საზოგადოების უმაღლესი კლასის წარმომადგენლები, თავადაზნაურული ტიტულის მქონე პირები (მაგ., ლორდი, ჰერცოგი და ა.შ.).

არქაიზმი [ბერძ. archaios – ძველი] – (პოლიტ.). მოძველებული მოვლენა, ძველი დროის გადმონაშთი.

არქია [ბერძ. archi – ხელისუფლება, მმართველობა] – (პოლიტ.). პოლიტიკურად ორგანიზებული, ხელისუფლების მიერ მართვადი საზოგადოება, რომელიც ქმნის სახელმწიფოს.

ასამბლეა [ფრანგ. assemblée – კრება] – რაიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. მაგ., გაეროს გენერალური ასამბლეა.

ასიგნაცია [ფრანგ. assignatio] – (ფინანს.). ქალაქის ფული.

ასიმილაცია [ლათ. assimilatio] – (პოლიტ.). ერთი ხალხის ეროვნულ თავისებურებათა მოშლა და მისი გათქეფვა სხვა ხალხში.

ასორტიმენტი [ფრანგ. Assortiment] – (ეკონ.). სხვადასხვა სახეობისა და ხარისხის საქონელი.

ასოციაცია [ლათ. associo – ვუერთებ] – (ეკონ.). ერთი და იგივე ინტერესების მქონე ადამიანების ან ორგანიზაციების გაერთიანება, კავშირი.

ატრიამქი [ინგლ. Atrix] – (ფინანს.). ელექტრონული საფონდო ბირჟა ლონდონში.

ატაშე [ფრანგ. attaché] – (დიპლ.). 1. სპეციალური სამუშაოს შემსრულებელი პირი საელჩოში საზღვარგარეთ. მაგ., სამხედრო ატაშე. 2. ყველაზე დაბალი დიპლომატიური რანგი.

ატორნეი [ინგლ. attorney] – (სამართ.). რწმუნებულ-წარმომადგენელი.

ატრიბუტი [ლათ. attributum – თვისება, კუთვნილება] – საგნის ან მოვლენის ძირითადი, არსებითი თვისება; რისამე დამახასიათებელი ნიშანი.

აუდიენცია [ლათ. audientia – მოსმენა] – (დიპლ.). წარჩინებული პირის (უმეტესად სახელმწიფოს მეთაურის) მიერ ვისიმე მიღება

ოფიციალურად, გარკვეული წესების დაცვით.

აუდიტი [ლათ. audit] – (ფინანს.). საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზი და კონტროლი, რომელსაც კვალიფიციური სპეციალისტები დამოუკიდებლად ატარებენ.

აუთენტური – იურიდიული ინტერპრეტაციის მქონე წესი იმის თაობაზე, რომ როდესაც სიტყვა ან ფრაზა მოსდევს ორ ან მეტ სხვა სიტყვას ან ფრაზას, იგი განმარტებულია ისე, როგორც მის წინ მყოფი სიტყვები და ფრაზები. მაგ., „სახლები, ბინები და სხვა შენობები“, „სხვა შენობები“ შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ სხვა საცხოვრებელ ადგილებს, და არა, მაგალითად, ეკლესიას.

აუტსორსინგი – ორგანიზაციათა შორის შეთანხმება ცალკეული ბიზნეს-პროცესების შესრულებაზე, რომლის მეშვეობით მაღლდება ეფექტურობა და/ან მცირდება დანახარჯები. თანამედროვე ბიზნესში აუტსორსინგით შეიძლება გადაეცეს როგორც დამხმარე (მაგ., ხელფასის გაანგარიშება, ინფორმაციული სისტემების გამართვა და სხვ.), ისე ზოგიერთი ძირითადი ბიზნეს-პროცესები (მაგ., ახალი პროდუქტების დამუშავება).

აუქციონი [ლათ. auctio] – (ეკონ.). ქონების საჯარო (ღია) წესით გაყიდვა. საქონელი მიეყიდება მას, ვინც ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

აფერა [ფრანგ. affaire – საქმე] – (სამართ.). საექვო გარიგება, თაღლითობა.

აფიდავითი [ინგლ. affidavit] – (სამართ.). წერილობითი განაცხადი, რომელიც ხელმოწერილია და ფიცდადებულია ვეჭილის თანდასწრებით და, რომელიც შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მტკიცებულება სასამართლო მოსმენის დროს.

ა-ფორფე [ფრანგ. a forfait – მიწოდება, მომარაგება] – საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება გადასაგზავნი თამასუქის განაღდების გზით რეგრესის უფლების გარეშე, ე.ი. თამასუქის მყიდველი თავის თავზე იღებს გადაუხდელობის მთელ რისკს და წინა მფლობელისათვის პრეტენზიის წაყენება არ შეუძლია.

აქტი [ინგლ. act] – (სამართ.). საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილება, რომელიც გახდა კანონი; დოკუმენტი, ოფიციალური ვაღდებულება.

აქტიური [ინგლ. active] – მოქმედი, ეფექტური.

აქტუარი [ინგლ. actuary] – სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელი, რომელიც სადაზღვევო შენატანს ითვლის.

აქცეპტი [ლათ. acceptus – მიღებული] – (რაიმე) შემოთავაზებულის მიღება; დათანხმება, თანხობის მიცემა: 1. (ფინანს.). გადამხდელის ვაღდებულება (თანხმობის წარწერით დადასტურება) დადგენილ ვაღაში გაანაღდოს გადასაგზავნი თამასუქი

(ტრატა), წარმოდგენილი ანგარიშში ან დააკმაყოფილოს სხვა მოთხოვნები; უნაღლო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა. 2. (ეკონ., სამართ.). უპირობო თანხმობა შემოთავაზებულ წინადადებაზე (ოფერტი), რომ დაიდოს ხელშეკრულება.

აქცეპტანტი, აქცეპტორი [ლათ. acceptantis – მიმღები] – 1. (ფინანს.). პირი, რომელმაც აიღო ვაღდებულება გაანაღდოს თამასუქი. 2. (ეკონ., სამართ.). შემოთავაზებული წინადადების მიმღები პირი.

აქცესიური ხელშეკრულება [ლათ. accessio – შეერთება, მიერთება] – (დიპლ.). ხელშეკრულება, რომლითაც სახელმწიფო შეერთება სხვა სახელმწიფოთა ადრე დადებულ ხელშეკრულებას.

აქცესორული ხელშეკრულება [ლათ. accessorius – მომსვლელი] – (დიპლ.). დამატებითი ხელშეკრულება, რომელიც დაერთვის მთავარ ხელშეკრულებას.

აქცია [ფრანგ. action] – 1. (ეკონ.). საემისიო ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის (აქციონერის) უფლებას მონაწილეობდეს სააქციო საზოგადოების მენეჯმენტში და ამ საზოგადოების მოგებიდან მიიღოს თავისი წილი (დივიდენდი). 2. (პოლიტ.). რაიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება, ღონისძიება.

აქციზი [ფრანგ. accise] – (ფინანს.). არაპირდაპირი საერთოსახელმწიფოებრივი გადასახადი, რომელიც შედის საქონლის ფას-

ში. მას იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილ ფასთან ერთად. იგი გამყიდველის შემოსავალთან არაა დაკავშირებული და სახელმწიფო ბიუჯეტში შედის. აქციით იბეგრება ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომანქანები.

ბ

ბაზა [ფრანგ. base < ბერძ.] – რისამე საფუძველი. მაგ. ეკონომიკური ბაზა, სამართლებრივი ბაზა და ა.შ.

ბაზისი [ბერძ. basis – საფუძველი] – 1. (ეკონ.). წანამატი ან ფასდაკლება საქონლის საბირჟო კოტირებაზე (ფასდადგენაზე). 2. (ეკონ., სამართ.). ყველაზე მნიშვნელოვანი.

ბალანსი [ფრანგ. balance – სასწორი] – (ეკონ.). შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი; ორი ნაწილის რაოდენობრივი თანასწორობა.

ბანკი [იტალ. banco] – ფინანსური დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ფულისა და ფასიანი ქაღალდების ოპერაციებს, ფინანსურ მომსახურებას უწევს მთავრობას, საწარმოებს, მოქალაქეებსა და ერთმანეთს.

ბანკეტი [ფრანგ. banquet] – (დიპლ.). საზეიმო წვეულება, რომელიც იმართება ვისიმე პატივსაცემად ან რაიმე მოვლენის აღსანიშნავად.

ბანკნოტი [ინგლ. banknote] – (ფინანს.). ქაღალდის ფული,

რომელსაც მიმოქცევაში უშვებს ცენტრალური ბანკი; საკრედიტო ბარათი.

ბანკო [იტალ. banco] – (ფინანს.). ფასი ან კურსი, რომლის მიხედვითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას.

ბანკროტი [იტალ. bankrotto] – (სამართ.). გაკოტრებული, ვალაფალი, გადახდის უნარმოკლებული მოვალე.

ბარბეკიუ [ინგლ. barbecue] – (დიპლ.). საზეიმო მიღება (გამასპინძლება) ღია ცის ქვეშ.

ბარიერი [ინგლ. barrier] – დაბრკოლება; წინააღმდეგობა; რაიმეს გაკეთების ხელშეშლა.

ბარისტერი [ინგლ. barrister] – ადვოკატი (განსაკუთრებით ინგლისში), რომელსაც შეუძლია ეჭვიტანილის დაცვა ან სხვა პირის დადანაშაულება უმაღლეს სასამართლოში.

ბარტერი [ინგლ. barter – გაცვლა] – (ეკონ.). ნატურალური საქონელგაცვლა, როცა ერთი ღოვლათი მეორეზე ფულის გადახდის გარეშე იცვლება.

ბენილუქსი [ინგლ. Benelux Economic Union] – ბელგიის, ნიდერლანდისა და ლუქსემბურგის ეკონომიკური კავშირი.

ბენეფიციარი [ფრანგ. benefice – მოგება, სარგებლიანობა] – 1. (ფინანს.). პირი, რომელიც იღებს ფულად გადასახდელს; ფულის მიმღები. 2. (სამართ.). პირი, რომლის ქონებას მართავს ნდობით აღჭურვილი პირი.

ბიდი [ინგლ. bid] – (ეკონ.). მყიდველების წინადადება; შეთავაზება რისამე საყიდლად გარკვეულ ფასად (განსაკუთრებით აუქციონზე).

ბიზნესი [ინგლ. business – საქმე, მეწარმეობა] – მომგებიანი საქმიანობა.

ბილი [ინგლ. bill] – 1. ინგლისში, აშშ-ისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში შეტანილი ახალი კანონპროექტი. 2. აშშ-ში ქაღალდის ფული, ანგარიში.

ბიპოლიტი [ლათ. bis – ორჯერ და ბერძ. polis – ქალაქი, სახელმწიფო] – (სამართ.). პირი, რომელსაც ორი (ან მეტი) სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვს; ბიპატრიდი.

ბირჟა [გერმ. Börse, ლათ. bursa – ქისა] – ერთგვაროვანი საქონლის რეგულარულად ფუნქციონირებადი, ორგანიზაციულად განსაზღვრული საბითუმო ბაზარი. მაგ., საფონდო ბირჟა – ადგილი, სადაც ხდება ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების და სხვ.) ყიდვა-გაყიდვის გარაგებები.

ბიუროკრატია [ფრანგ. bureau – ბიურო და ბერძ. kratos – ძალაუფლება] – (პოლიტ.). უმაღლესი ჩინოვნიკური აპარატი, ადმინისტრაცია; მართვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ფორმალუზმზე.

ბიუჯეტი [ფრანგ. budget – ჩანთა] – (ფინანს.). სახელმწიფოს, ფირმის, ოჯახის შემოსავლებისა

და ხარჯების ნუსხა დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, ჩვეულებრივ, ერთი წლისათვის.

ბლოკი [ფრანგ. bloc] – (პოლიტ., ეკონ.). სახელმწიფოების, პარტიების და ა.შ. კავშირი, გაერთიანება საერთო ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ბოიკოტი [ინგლ. boycott] – ურთიერთობის გაწყვეტა პირთან, დაწესებულებასთან ან სახელმწიფოსთან.

ბონი [ფრანგ. bon] – (ეკონ., სამართ.). 1. საკრედიტო დოკუმენტი, რომლითაც მის მფლობელს შეუძლია მიიღოს გარკვეული თანხა დათქმულ ვადაში. 2. დროებითი ქაღალდის ფულის ნიშანი. 3. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული, რომელსაც აგროვებენ კოლექციისათვის.

ბონიფიკაცია [ფრანგ. Bonification] – (ფინანს.). ფასის წანამატი საქონლის მაღალი ხარისხისათვის, რომელიც აჭარბებს ხელშეკრულებით დადგენილ დონეს.

ბონუსი [ლათ. bonus – კარგი] – (ეკონ.). დამატებითი დაჯილდოება, პრემია; გამყიდველის ფასდაკლება მუდმივი მყიდველისათვის.

ბრეიდ-ვიმპელი [ჰოლ. breed-wimpel] – (საზღვაო, დიპლ.). საგანგებო აღამი, რომელსაც სამხედრო ხომალდზე მაშინ აღმართავენ, როცა მასზე მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირი იმყოფება.

ბრინი-დრინი [ინგლ. brain – ტვინი და drein – დრენაჟი] – „ტვინის გადინება“; ცხოვრების დაბალი დონის ქვეყნებიდან მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მასიური წასვლა.

ბრიფინგი [ინგლ. briefing – სიტყვა-სიტყვით ინსტრუქტაჟი] – (პოლიტ.). ხანმოკლე თათბირი ან პრეს-კონფერენცია საერთაშორისო და მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ჟურნალისტთა ვიწრო წრისათვის.

ბროკერი [ინგლ. broker] – (ეკონ.). ბირჟის მუშაკი, ბაზრის მონაწილე, საბაზრო ურთიერთობათა აგენტი, შუამავალი.

ბრუტო [იტალ. brutto] – (ეკონ.). საქონლის წონა ტარასთან და შესაფუთთან ერთად. (საპირისპ. ნეტო).

ბუმი ეკონომიკური [ინგლ. boom] – (ეკონ.). საქმიანი ციკლის ფაზა, წარმოების, გაჭრობის, საქმიანი აქტივობის ხელოვნურად გამოწვეული მოკლევადიანი აღმავლობა.

ბუტლერი [ინგლ. bootlegger] – (სამართ.). აკრძალული საქონლით (სპირტიანი სასმელები) მოვაჭრე პირი.

ბუღალტერია, ბუხალტერია [გერმ. Buch წიგნი და halter დაჭერა] – ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის წიგნისა და უწყობის წარმოება დოკუმენტაციის განსაზღვრული წესებისა და ფორმების დაცვით.

ბ

ბანკოტრება [იტალ. banco – სკამი და otto – გატეხილი] – (ეკონ., სამართ.). ფულადი სახსრების უქონლობის გამო მოვალის გადახდისუუნარობა.

ბალანტური [ფრანგ. galant] – (დიპლ.). დიდად თავაზიანი, ზრდილობიანი.

გაპი [ინგლ. gap – დაცილება, გარღვევა] – (ეკონ.). საბირჟო საქონლის ფასის მკვეთრი ცვლილება, როცა წინა საბირჟო დღის მინიმალური ფასი მიმდინარე დღის მაქსიმალურ ფასზე მაღალია ან წინა დღის მაქსიმალური ფასი მიმდინარე დღის მინიმალურ ფასზე ნაკლებია.

გარანტი [ფრანგ. garant] – (ეკონ. სამართ.). სახელმწიფო, დაწესებულება ან პირი, რომელიც იძლევა რისამე გარანტიას; თავდები.

გარანტია [ფრანგ. garantie] – იურიდიული დოკუმენტი; პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რისამე წარმატებას; საწინდარი.

გასპაჟინ, გასპაჟა [რუს. господин, госпажа] – რუსეთში: ზრდილობიანი მიმართვა კაცისადმი, ქალისადმი.

გასტარბაიტი [გერმ. Gastarbeiter მუშა-იმიგრანტი] – (ეკონ., პოლიტ.). უცხოელი მუშა, რომელიც სამუშაოდაა ჩასული ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნიდან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში.

გაუდეამუსი [ლათ. gaudeamus – „გავიხაროთ“] – ძველებური

სტუდენტური სიმღერა ლათინურ ენაზე; იწყება სიტყვებით: Gaudeamus igitur, juvenes dum sumus! – ამგვარად, გავიხაროთ, ვიდრე ახალგაზრდები ვართ.

გენეზისი [ბერძ. genesis] – წარმოშობა, წარმოქმნა.

გენოციდი [ლათ. gens – გვარი, ტომი და caedere – მოკლა] – (სამართ., პოლიტ.). გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობა ან მისი მოსპობის საფრთხის შექმნა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან რაიმე სხვა ნიშნით. ითვლება ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ.

გეშეფტი [გერმ. Geschäft] – (ეკონ.). გამორჩენის (მოგების) მიზნით წამოწყებული საქმე.

გილდია [გერმ. Gilde] – ერთნაირი პროფესიის ადამიანთა (ვაჭართა, ხელოსანთა) გაერთიანება შუა საუკუნეების ევროპაში.

გლობალური [ფრანგ. global] – 1. საერთო, მთლიანი, ერთად აღებული. 2. რაც მთელ მსოფლიოს მოიცავს. მაგ., გლობალური პოლიტიკა, გლობალური ეკონომიკა.

გლოსარი, გლოსარიუმი [ლათ. glossar, glossarium] – (სამართ.). კანონებისა და იურიდიული აქტების განმარტებათა კრებული.

გრადაცია [ლათ. gradatio] – ერთი საფეხურიდან მეორეზე თანდათანობით გადასვლა; თანდათანობა, თანამიმდევრობა.

გრანტი [ინგლ. grant – სუბსიდია, საჩუქარი] – 1. (სამართ.).

ვინმესთვის რაიმეს (უმეტესად ფულის) მიცემა (მუდმივად ან დროებით) წერილობითი დოკუმენტით; ჩუქება; ბოძება. 2. მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლების ან სხვა ორგანიზაციის მიერ მიცემული ფული რაიმე გადასახადის გადახდაში დასახმარებლად. **გრანტორი** – მაჩუქებელი, ცედენტი.

გრინბეკი [ინგლ. greenback] – ამერიკული დოლარის პოპულარული სახელწოდება.

გუბერნატორი [ინგლ. governor] – პირი, რომელიც მართავს შტატს ან პროვინციას; მმართველი.

გუდვილი [ინგლ. goodwill] – (ეკონ.). ფირმის აქტივები, კაპიტალი, რომელიც არ ექვემდებარება მატერიალურ განზომილებას. მაგ., რეპუტაცია, ტექნიკური კომპეტენციები, კავშირები, მარკეტინგული ხერხები, ადგილმდებარეობა და სხვ.

დ

დამფინანსება [ლათ. damnum – ზარალი და facere – კეთება] – (ეკონ., სამართ.). დაზარალება.

დაუნინგ-სტრიტი [ინგლ. Downing street] – (დიპლ.). ლონდონში: ქუჩა, სადაც მდებარეობს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო; ასე უწოდებენ თვით ამ სამინისტროს (ზოგჯერ, საერთოდ, მთავრობასაც).

დებატები [ფრანგ. débats] – (პოლიტ.) რაიმე საკითხის საჯარო განხილვა აზრთა გაზიარება კმათ.

დებენტურა [ლათ. debere – იყოს მოვალედ] – (სამართ.). საბაჟო მოწმობა ბაჟის დაბრუნებამდე.

დებეტი [ლათ. debet] – (ბუხჰალტ.) ფული, რომელიც კომპანიას მართებს. (საპირისპ. კრედიტი).

დებიტორი [ლათ. debitor] – პირი, რომელმაც ვინმეს წინაშე ვალდებულია იკისრა; მოვალე. (საპირისპ. კრედიტორი).

დეგრესია [ლათ. degressio – უკან დახევა] – 1. რაიმეს თანდათანობით შემცირება, კლება. 2. (ფინანს.). გადასახადით პროპორციული დაბეგვრა – უფრო მცირე შემოსავალზე დაბეგვრის პროცენტის შემცირება.

დედუქცია [ლათ. deductio – გამოყვანა] – მტკიცების ერთ-ერთი გზა ლოგიკაში, ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოყვანა. (საპირისპ. ინდუქცია).

დევალვაცია [ლათ. de – ამოღება და valer – ღირს] – (ეკონ.). ქვეყანაში ფულის რეფორმა, გაუფასურებული ფულის ნიშნების ამოღება მიმოქცევიდან და სრულფასიანი საკრედიტო ბილეთებით შეცვლა (ღია დევალვაცია) ან ბრუნვაში მყოფი ფულის ნიშნების ოფიციალური კურსის დაბლა დაწევა (ფარული დევალვაცია).

დევიაცია [ლათ. deviatio – გადახრა] – (ეკონ.). ფასიანი ქაღალდების კურსის, საბირჟო საქონლის ფასების უეცარი გადახრა ფორსმაჟორულ გარემოებათა გავლენით.

დევიზი [ფრანგ. devise] – (ფინანს.). საერთაშორისო საგადასახდელო საშუალება თამასუქების, ჩეკების, გზავნილების, აკრედიტივების სახით, რომლებიც წამოყენებულია უცხო ბანკებში და უნდა განაღდეს საზღვარგარეთ უცხოურ ვალუტაში.

დეზავუირება [ფრანგ. désavouer] – (პოლიტ., სამართ.). უარყოფა; ვისიმე განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება თავისი წარმომადგენლის მოქმედებას.

დე-იურე [ლათ. de jure] – კანონისამებრ, იურიდიულად, ვისიმე ცნობა ფორმალურად. (საპირისპ. დე-ფაქტო).

დეკლარაცია [ლათ. declaratio] – (პოლიტ.). 1. ოფიციალური განცხადება რაიმე აქტისა, კანონისა. 2. (ფინანს.). გადასახადის გადამხდელის განცხადება თავისი შემოსავლის, ქონების რაოდენობის შესახებ. 3. საბაჟოს დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია საზღვარზე გადასაზიდ საქონელზე.

დეკლასიფიკაცია [ინგლ. declassification] – რაიმესთვის საიდუმლო გრიფის მოხსნა; ცნობილად ჩათვლა.

დეკორტი [გერმ. Dekort] – (ეკონ.). ფასის დაკლება საქონელზე, როდესაც მისი ხარისხი და რაოდენობა არ შეესაბამება პირობით დათქმულს.

დეკრეტი [ლათ. decretum] – (სამართ.). ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დადგენილება, განკარგულება, რომელსაც კანონის ძალა აქვს.

დელივერი [ინგლ. delivery] – (სამართ.). მფლობელის წერილობითი ორდერი საქონლის გაცემის შესახებ.

დელიმიტაცია საზღვრისა [ლათ. delimitatio – დადგენა] – საერთაშორისო სამართალში: სახელმწიფო საზღვრის მდგომარეობისა და მიმართულების დადგენა მომიჯნავე სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებათა გზით.

დელინკვენტი [ლათ. delinquens – დანაშაულის ჩამდენი] – (სამართ.). პირი, რომელმაც არ შეასრულა კანონით (ხელშეკრულებით) მასზე დაკისრებული ვალდებულება, დაუშვა დარღვევა, ჩაიდინა დანაშაული და ა.შ.

დელისტინგი [ინგლ. delisting] – (ეკონ.). ფასიანი ქაღალდების ამოღება საფონდო ბირჟაზე რეგისტრაციის სიიდან. (საპირისპ. ლისტინგი).

დელიქტი [ლათ. delictum] – (სამართ.). კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, დანაშაული, რომელმაც გამოიწვია ზარალი და ითვალისწინებს მისი ანაზღაურების ვალდებულებას.

დელიქტუზი – სამოქალაქო კანონდარღვევასთან დაკავშირებული.

დელკრედიტო [იტალ. del credere – ნდობით] – სამოქალაქო სამართალში: ხელშეკრულების პირობა, რომლის მიხედვითაც კომისიონერი კისრულობს პასუხისმგებლობას მესამე პირის მიერ გარიგების შესრულებაზე.

დემაგოგია [ბერძ. demagogia] – (პოლიტ.). 1. ხალხის მხარდაჭერის მოპოვება მათ გრძნობებზე

და ცრუშეხედულებებზე თამაშით. 2. საკითხის არამართებულად გაშუქება შეგნებულად; ფაქტების დამახინჯება.

დემარკაცია [ლათ. démarcation – გამიჯვნა] – (სამართ.). სახელმწიფოს საზღვრის ადგილზე გატარება და მისი სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით დაფიქსირება.

დემარში [ფრანგ. démarche – (დიპლ.). ერთი სახელმწიფოს მთავრობის მიმართვა მეორისადმი (ნოტა, მემორანდუმი, განცხადება და მისთ.).

დემურაჟი [ინგლ. demurage] – (ეკონ., სამართ.). ჯარიმა, პირგასამტეხლო, რომელსაც ტვირთის მფლობელი (დამფრახტავი) უხდის გემის მესაკუთრეს გემის მოცდენისათვის.

დემილიტარიზაცია [ფრანგ. démilitariser] – (პოლიტ., სამართ.). საერთაშორისო ხელშეკრულებით რომელიმე სახელმწიფოსათვის საომარი ტექნიკის რაოდენობრივი შეზღუდვა; განიარაღება.

დემოკრატია [ბერძ. demokratia] – (პოლიტ.). სახელმწიფო მმართველობის ფორმა, როცა უმაღლესი ხელისუფლება მთელ ხალხს ეკუთვნის.

დემპინგი [ინგლ. dumping – ჩამოგდება] – (ეკონ.). საქონლის გაყიდვა ხელოვნურად შემცირებული ფასებით.

დენაციონალიზაცია [ფრანგ. dénationalisation] – (პოლიტ., ეკონ.). სახელმწიფო ობიექტების გადაცემა კერძო საკუთრებაში. (საპირისპ. ნაციონალიზაცია).

დენომინაცია [ლათ. denominatio – გადარქმევა] – (ფინანს.). გაუფასურებული ქაღალდის ფულის ნიშნების სახელის შეცვლა და მათი ნომინალური ღირებულების შემცირება.

დენონსაცია [ფრანგ. dénonciation – შეტყობინება] – (დიპლ.). ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის შეტყობინება მათ შორის მოქმედი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

დეპოზიტი [ლათ. depositum – შესანახად მიცემული რამ] – (ფინანს.). ფულადი ანაბარი; ხელშეკრულება მინაბარების შესახებ.

დეპოზიტარი ქვეყნები – (დიპლ.). სახელმწიფოები, რომელთა შორის დადებულ ხელშეკრულებას შემდგომ შეუძლიათ ხელი მოაწერონ სხვა მსურველმა ქვეყნებმა.

დეპონენტი [ლათ. deponentus – გადადება] – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც შესანახად გადასცა საკრედიტო დაწესებულებას (ბანკს) ფული ან ფასიანი ქაღალდები.

დეპონირება [ლათ. deponere – შესანახად გადაცემა] – 1. (დიპლ.). სარატიფიკაციო სიგელუბის შესანახად გადაცემა რომელიმე სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანოსათვის (თუ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა რამდენიმე ქვეყანამ). 2. (ფინანს.). დეპოზიტის შეტანა.

დეპორტი [ფრანგ. déport] – (ეკონ.). სპეკულაციური საბირჟო გარიგება, რომელიც იდება საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემაზე

მოთამაშე პირების („დათვები“) მიერ. (საპირისპ. რეპორტი).

დეპორტაცია [ლათ. deportatio] – (პოლიტ.). პიროვნების გაძევება მისი მუდმივი ადგილსამყოფელიდან და სხვა ადგილას იძულებით დასახლება.

დეპრესია [ლათ. depressio – დათრევნა] – (ეკონ.) სამეურნეო საქმიანობის მოღუწება, შეფერხება.

დეპუტატი [ლათ. deputatus] – არჩევითი სახელმწიფო დაწესებულების წევრი; არჩეული წარმომადგენელი.

დერივატი [ლათ. derivatus – გამოყოფილი] – ხელშეკრულება (ოფციონი, ფიუჩერსი), რომელიც ეფუძნება ვალუტების, ფასიანი ქაღალდების კურსებს; მფლობელს აძლევს შესაძლებლობას დაიფიქსიროს საქონლის ყიდვის (გაყიდვის) ხელსაყრელი ფასი.

დესპანი [ინგლ. envoy] – (დიპლ.). უფროსი დიპლომატი (რანგით ელჩზე დაბალი); პირი, რომელიც ერთი მთავრობისგან ან ორგანიზაციისგან შეტყობინებით გაიგზავნა მეორესთან.

დესპოტია [ბერძ. despotia] – (პოლიტ.). განუსაზღვრელი უფლებების მქონე უმაღლესი ხელისუფალის (დესპოტის) მმართველობა.

დესტრუქცია [ლათ. destruction] – რღვევა, რისამე ნორმალური სტრუქტურის დაშლა.

დეტანტი [ფრანგ. détente] – (პოლიტ.). დაძაბულობის შენელება საერთაშორისო ურთიერთობებში (აშშ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მიღებული ტერმინი).

დეტექტივი [ინგლ. detective] – უცხოეთის ქვეყნებში სამძებრო პოლიციის აგენტი; მაძებარი.

დე-ფაქტო [ლათ. defacto] – (სამართ.). ფაქტობრივად, ვისიმე ან რისიმე ცნობა სინამდვილეში. (საპირისპ. დე-იურე).

დეფინიცი [ლათ. definitio] – საგნის ზუსტი განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების მიხედვით.

დეფიციტი [ლათ. deficit – აკლია] – (ეკონ.). 1. რამის (საქონლის, ფინანსების) ნაკლებობა; 2. გასავლის მეტობა შემოსავალზე.

დეფლაცია [ლათ. deflatio – გამობერვა, შებერვა] – (ეკონ.). ბრუნვაში მყოფი ქალაქის ფულის რაოდენობრივი შემცირება მისი მსყიდველობითუნარიანობის ასაწევად.

დეფოლტი [ინგლ. defolt] – (ფინანს.). ფასიან ქალაქზე პროცენტის გაცემის შეწყვეტა.

დეცენტრალიზაცია – (პოლიტ.). 1. მმართველობის სისტემა, როცა ცენტრალური ხელისუფლების ზოგი ფუნქცია გადაეცემა თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს; 2. ცენტრალიზაციის შესუსტება ან გაუქმება.

დეციმაცია [ლათ. decimus – მეთექვსმეტი] – (ისტ.). ყოველი მეთექვსმეტის დასჯა დამნაშავეს მოუნახაობის შემთხვევაში.

დიასპორა [ბერძ. diaspora – გაბნევა] – ხალხის (ეთნიკური ერთობის) მნიშვნელოვანი ნაწი-

ლის ყოფნა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

დიგესტი [ლათ. digesta] – რომაული სამოქალაქო სამართლის კრებული, რომელიც გამოაქვეყნეს 533 წ. იმპერატორ იუსტინიანეს დროს; შეიცავდა რომაელი იურისტების მრავალრიცხოვანი შრომებიდან ამოკრეფილ ადგილებს და კანონის ძალაში მყოფი (სხვანაირად: პანდექტები).

დივერსიფიკაცია [ლათ. deversus – სხვადასხვა და facere – კეთება] – (ეკონ.). კერძო პირის ან ფირმის საქმიანობის გაფართოება.

დივიდენდი [ლათ. dividendus – გასაყოფი] – (ეკონ.). აქციონერთათვის კომპანიის მოგების ნაწილის გადახდა.

დიზაგო [იტალ. disaggio] – (ფინანს.). ქალაქის ფულის ნიშნებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების კურსის შემცირება. (საპირისპ. აგო).

დილერი [ინგლ. dialer – მოვაჭრე, აგენტი] – (ეკონ., სამართ.). კერძო პირი ან ფირმა, საფონდო ბირჟის წევრი, რომელიც მოქმედებს თავისი სახელითა და ხარჯით.

დილინგი [ინგლ. dealing] – (ეკონ.). 1. ყიდვა-გაყიდვა ღონდონის საფონდო ბირჟაზე. 2. საქმიანი გარიგება; ფინანსური ოპერაცია; ფასების დაცემა-ამაღლებაზე თამაში.

დილუტია მოგების [ინგლ. dilutio earnings] – (ეკონ.). შემოსავლიანობის შემცირება.

დიპლომატი [ფრანგ. diplomate]

– 1. თანამდებობის პირი (მაგ., ელჩი), რომელიც თავისი ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელია სხვა ქვეყანაში. 2. (გადატ.) სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში მშვიდი და ტაქტიანი.

დიპლომატია [ფრანგ.

diplomatie] – 1. მთავრობის საქმიანობა სახელმწიფოს საგარეო, საერთაშორისო პოლიტიკის განსახორციელებლად. 2. სხვა ქვეყანაში საკუთარი ქვეყნის ინტერესების მართვა დიპლომატების მიერ.

დიპლომატიური კორპუსი – ამა თუ იმ ქვეყანაში აკრედიტებული უცხო ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ერთობლიობა.

დიპლომატიური იმუნიტეტი – იხ. იმუნიტეტი დიპლომატიური.

დირექტივა [ფრანგ. directive – გაგზავნა] – ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის სავალდებულოდ შესასრულებელი სახელმძღვანელო მითითება; ინსტრუქციების გაცემა.

დისიდენტი [ლათ. dissidens – წინააღმდეგი] – პირი, რომელიც არ იზიარებს ქვეყანაში გაბატონებულ იდეოლოგიას; სხვაგვარად მოაზროვნე.

დისკვალიფიკაცია [ინგლ. disqualify] – (სამართ.). ვინმესთვის: 1. უფლების ჩამორთმევა. 2. არაქმედუნარიანად გადაქცევა.

დისკონტი [ინგლ. discount] – (ფინანს.). 1. თამასუქის ან ფასიანი ქაღალდის განაღდება. 2. ფასჩამოკლება.

დისკრედიტაცია [ფრანგ.

discréditer – ნდობის დაკარგვა] – 1. განზრახ მოქმედება, რომელიც სუბიექტის (ადამიანის, ფირმის და სხვ.) ავტორიტეტის, იმიჯის შესარყევად არის მიმართული. 2. (სამართ.). ჩვენება იმისა, რომ პირი არ არის სანდო.

დისკრეციონული [ფრანგ.

discretionnaire – პირადი შეხედულების მიხედვით, თვითნებურად] – თავისი შეხედულებისამებრ მოქმედი.

დისკრიმინაცია [ლათ.

discriminatio – გარჩევა] – 1. (დიპლ.). რასობრივი ან ნაციონალური კუთვნილების, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებების, სქესის ან სხვა ნიშნის მიხედვით მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისათვის უფლებების შეზღუდვა ან ჩამორთმევა. 2. (ეკონ.) ეკონომიკური სუბიექტის (სახელმწიფო, საწარმო, მოქალაქე) უფლებათა უკანონოდ შელახვა ან ჩამორთმევა. (საპირისპ. რეტორსია).

დისკუსია [ლათ. discussio – კვლევა, განხილვა] – რაიმე სადავო საკითხის საჯარო განხილვა; კამათი, პაექრობა.

დისმილი [ინგლ. dismissal – დათხოვნა] – (დიპლ.). დიპლომატის კერძო პირად გამოცხადება.

დისპაში [ფრანგ. dispache] – (ეკონ.). ზარალის გაანგარიშება (გემის ავარიის შემთხვევაში).

დისპოზიცია [ლათ. dispositio – განაწილება] – (სამართ.). კანონებსა და ხელშეკრულებებში დაფიქსირებული ეკონომიკური

საქმიანობის ამკრძალავი ან შემზღუდველი სამართლებრივი ნორმამითითებები.

დისპუტი [ლათ. *disputo* – ემსჯელობ, ეკამათობ] – საჯარო კამათი, პაექრობა რაიმე საკითხზე.

დისტრიბუცია [ინგლ. *distribution*] – (ვაჭრ.). განაწილება; საქონლის ბითუმად შესყიდვა და გაყიდვა.

დიფერენტი [ლათ. *differens*] – (ფინანს.). სავაჭრო ოპერაციებში: საქონლის შეკვეთისა და მიღების დროს არსებული ფასთახვეობა.

დიქტატი [ლათ. *dictatus* – მიწერილი] – 1. (ეკონ.). ეკონომიკური სუბიექტისათვის მოქმედების განსაზღვრული წესის იძულებით თავსმოხვევა. 2. (დიპლ.). ხელშეკრულებაში არათანასწორუფლებიანი პირობების მინიჭება უფრო ძლიერი მხარის მიერ.

დიქტატორი – (პოლიტ.). მმართველი, რომელსაც სრული პირადი ძალაუფლება გააჩნია.

დიქტატურა [ლათ. *dictatura*] – (პოლიტ.). გაბატონებული კლასის შეუზღუდველი სახელმწიფო ძალაუფლება.

დოგმა [ბერძ. *dogma*] – (სამართ.). 1. ძირითადი დებულება. 2. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება, რომელიც მიიჩნევა ურყევ ჭეშმარიტებად ყველა დროისა და ისტორიული პირობებისათვის.

დოკუმენტი [ლათ. *documentum*] – (სამართ.). რისამე დამამტკიცებელი საქმიანი ქაღალდი; რაიმე უფლების დამადასტურებელი სა-

ბუთი; ვისიმე ვინაობის დამამტკიცებელი მოწმობა.

დომინიონი [ლათ. *dominary* – ჭარბობა] – (ეკონ.). 1. ერთი ეკონომიკური სუბიექტის ან მისი საქონლის უპირატესი მდგომარეობა სხვებთან შედარებით. 2. გაბატონებული იდეა, რისამე ძირითადი ნიშანი.

დომიცილი [ლათ. *domicilium* – ადგილსამყოფელი] – მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; წარმოების ადგილი (განსაკუთრებით გადასახადის მიზნებისათვის). 2. ადგილი, სადაც ხდება თამასუქის განაღდება ან გადასახადის გადახდა, როცა გადამხდელი სხვაგან ცხოვრობს.

დოსიე [ფრანგ. *dossier*] – (სამართ.). რაიმე საკითხთან ან საქმესთან დაკავშირებული, ერთად შეკრებილი დოკუმენტები.

დოტაცია [ლათ. *dotatio* – საჩუქარი, შენაწირი] – (ეკონ.). სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულადი სახსრები ზარალიანი საწარმოების დასაფინანსებლად.

დოქტრინა [ლათ. *doctrina*] – 1. მოძღვრება, მეცნიერული ან ფილოსოფიური თეორია, სისტემა. 2. კანონის ზოგადი პრინციპი. (მაგ., მონროს დოქტრინა – პრინციპი, რომ აშშ-ის ინტერესში შედის სხვა ამერიკული სახელმწიფოების შიდასაქმეებში გარეგან ჩარევის თავიდან აცილება).

დუაიენი [ფრანგ. *doyen*] – დიპლომატიური კორპუსის მეთაური, მამასახლისი.

დუბლიკატი [ლათ. duplicatus – გაორმაგებული] – რაიმე წერილობითი დოკუმენტის მეორე ცალი, რომელსაც იურიდიულად დედანის ძალა აქვს.

დუოალია [ლათ. duo – ორი და ბერძ. poleo – ვყიდი] – (ეკონ.). მეურნეობის დარგის საბაზრო სტრუქტურა, რომლის დროსაც არსებობს გარკვეული საქონლის მხოლოდ ორი მიმწოდებელი და მათ შორის არ არის დადებული მონოპოლისტური შეთანხმება გასაღების ბაზრების, ფასებისა და სხვათა შესახებ.

ე

ეგალიტარიზმი [ინგლ. egalitarianism] – პოლიტიკური თეორია იმის თაობაზე, რომ საზოგადოების ყველა წევრს თანაბარი უფლებები აქვს და ერთნაირად უნდა მოეპყრონ მათ.

ეგზეკუტორა [ლათ. exsequor – გამორკვევა, დადგენა, შესრულება] – 1. (დიპლ.). მიმღები სახელმწიფოს მთავრობის ოფიციალური დოკუმენტი კონსულის ცნობის შესახებ. 2. (სამართ.). სხვა ქვეყანაში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება მოცემულ ქვეყანაში.

ედიქტი [ლათ. adictum] – (სამართ.). ხელისუფლების წერილობითი ბრძანება; კანონის საჯაროდ გამოცხადება.

ევოლუცია [ლათ. evolutio] – რისამე ცვლის, განვითარების პროცესი.

ევრო [ინგლ. Euro] – ევროკავშირის 15 ქვეყნის საერთო ვალუტა.

ევროკარდი [ინგლ. eurocard] – საერთაშორისო-საკრედიტო ბარათი, ევროპული საბანკო სისტემის მონაწილე ქვეყნებში გამოყენების უფლებით.

ეკაუთინგი [ინგლ. account – ანგარიში] – (ფინანს.). ფინანსური ინფორმაციის შეკრება, დამუშავება-ანალიზთან დაკავშირებული საქმიანობა.

ეკვივალენტი [ლათ. aequivalens] – ტოლმნიშვნელოვანი.

ეკსეკუცია [ლათ. exsecutio – შესრულება] – (სამართ.). სასამართლო განაჩენის ან აღმინისტრაციული გადაწყვეტილების აღსრულება.

ეკოლოგია [ბერძ. Oikos – სახლი, ადგილსამყოფელი და logos – მოძღვრება] – ადამიანის ურთიერთობა გარემომცველ ბუნებასთან.

ეკონომეტიკა – [ეკონომიკა] და ბერძ. metreo ვზომავ] – მეცნიერება, რომელიც შეიწავლის ეკონომიკური ობიექტებისა და პროცესების კონკრეტულ რაოდენობრივ კანონზომიერებებს მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

ეკონომია [ბერძ. oikonomia – მეურნეობის მართვა] – (ეკონ.). მომჭირნეობით ხარჯვა რისამე; მომჭირნეობა.

ეკონომიკა [ბერძ. Oikos – სახლი, მეურნეობა და nomos – წესი, კანონი; ერთობლიობაში – მეურნეობის გაძღოლის წესები] –

1. მეცნიერების დარგი. 2. მეურნეობა, საშუალებების, ობიექტების, პროცესების ერთობლიობა, რომელსაც ადამიანები იყენებენ სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ბლოკადა [ინგლ. blockade – ალყა] – ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა სხვა ქვეყნის მიერ ყველა ან ზოგიერთ საქონელზე ვაჭრობის შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ.

ელემენტარული აუტორსინგი – სხვა ორგანიზაციაზე ბიზნეს-პროცესებისა და მომსახურების შესრულების გადაცემა, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

ელემენტარული ბაზარი – მომწოდებლებისა და მიმღებების ჯგუფი, რომლებიც ერთიან საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაში თანამშრომლობენ.

ელემენტარული ბიზნესი – ბიზნესი, რომლის ეფექტურობა და კონკურენტუნარიანობა ტრანსაქციების განხორციელების დროს დაფუძნებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

ელემენტარული კომერცია – ელემენტარული ქსელის მეშვეობით ბიზნეს-პარტნიორებს შორის განხორციელებული კომერციული საქმიანობა

ელემენტარული მაღაზია – ვებ-საიტი, რომელზედაც შესყიდვისათვის განთავსებულია საქონლის კატალოგი, ვირტუალური კალათა, საგადამხდელო ინსტრუ-

მენტები და შეიძლება შეეკვეთის მიწოდების მართვის სისტემა.

ელემენტარული ფული – კომპიუტერში ან ინტელექტუალურ ბარათზე სპეციალური ჩანაწერების სახით არსებული ფული, რომელიც გამოიყენება პარტნიორებს შორის შესყიდვისა და ანგარიშსწორებისათვის კონკრეტული ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩარჩოებში.

ემანსიპაცია [ლათ. emancipatio – (პოლიტ.). დამოუკიდებლობის მინიჭება, უფლებებში გათანასწოლება.

ემბარგო [ესპ. embargo – აკრძალვა] – (ეკონ., პოლიტ.). სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში გარკვეული საქონლის, ფასეულობის, ოქროს, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის გატანის ან შემოტანის აკრძალვა.

ემიგრანტი [ლათ. emigrans – ვინც გადასახლდება] – თავისი ქვეყნიდან ნებაყოფლობით (იძულებით) გადასახლდებული პირი ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური მიზეზების გამო.

ემიგრაცია [ლათ. emigro – გადავსახლდები] – იძულებით ან ნებაყოფლობით გადასახლება თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში.

ემისარი [ლათ. emissarius – გაგზავნილი] – (დიპლ.). სახელმწიფოს ან კერძო პირის პირადი წარმომადგენელი, რომელიც ასრულებს სხვადასხვა (ძირითადად, საიდუმლო) დავალებას უცხო ქვეყანაში.

ემისია [ლათ. emissio] – (ფინანს.). ქაღალდის ფულის მასიური გამოშვება.

ემიტი [ლათ. emissio – გამოშვება] – (ფინანს.). ნებისმიერი ორგანო ან ორგანიზაცია (სახელმწიფო ბანკი, დაწესებულება, საწარმო, კომპანია), რომელიც აწარმოებს ემისიას.

ესენიორ – (დიპლ.). პორტუგალიაში: ზრდილობიანი მიმართვის ფორმა მამაკაცისადმი. (ქალისა – ა სენიორა).

ესკროუ [ინგლ. escrow] – (სამართ.). დოკუმენტი (აქტი და მისთ.), რასაც მასში მონაწილე მხარეები გადასცემენ დამოუკიდებელ პირს, რომელიც მხოლოდ მაშინ დაუბრუნებს მათ, როდესაც გარკვეული პირობები იქნება შესრულებული.

ესტოპელი [ლათ. estoppel] – საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, რომელიც ნიშნავს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უფლების დაკარგვას და მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომლებიც განაპირობებენ მისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას, შეჩერებას ან ბათილად ცნობას.

ეტიკეტი – (სამართ. ეკონ.) საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული სავაჭრო ნიშანი, რომელზეც ნაჩვენებია მისი სახელწოდება, შემცველობა და სხვ.

ეტიკეტი დიპლომატიური [ფრანგ. étiquette] – თავაზიანობის, ქცევის წესების ერთობლიობა, მიღებული გარკვეულ სოციალურ

წრეებში (მეფის კარზე, დიპლომატიურ ურთიერთობებში და ა.შ.).

მეაუნტანტი [ინგლ. assountant] – (ფინანს.). ბუხჰალტერი; პირი, რომელსაც შეუძლია საბუხჰალტრო ანგარიშის წარმოება.

მესკლუზიური [ინგლ. exclusive] – განსაკუთრებული, ერთადერთი (მაგ., უფლება, ინტერვიუ და ა.შ.).

მეს-ოფიცო [ლათ. ex officio] – (სამართ.). საბირჟო საქმიანობაში გარკვეული პირობების შექმნა ღია კონკურენტული ვაჭრობისათვის კანონმდებლობის შესაბამისად.

მესპანსია ეკონომიკური [ლათ. expansio – გაზრდილობა] – ქვეყნის, ფირმის ეკონომიკური გაველების სფეროს გაფართოება მის საზღვრებს გარეთ.

მესპატრიაცია [ლათ. ex -გან, -იდან და patria – სამშობლო] – ნებაყოფლობითი ან იძულებითი გასვლა სამშობლოდან, ჩვეულებრივ, მოქალაქეობის გამოცვლით.

მესპერტი [ლათ. expertus – გამოცდილი] – რისამე სპეციალისტი, ვისაც იწვევენ რთულ, სადავო შემთხვევებში.

მესპერტიზა [ფრანგ. expertise] – კონკრეტული საკითხის შესახებ ექსპერტული გამოკვლევა.

მესპლუატაცია [ფრანგ. exploitation] – 1. სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება; 2. ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება, გამოყენება. 3. წარმოების, ტრანსპორტის და სხვა საშუალებათა გამოყენება.

მესპორტი [ინგლ. export] – (ეკონ.). საზღვარგარეთ საქონლის

გასაყიდად გატანა. (საპირისპ. იმპორტი).

ექსპორტიორი [ინგლ. exporter] – (ეკონ.). ექსპორტის მაწარმოებელი, საზღვარგარეთ საქონლის გამტანი პირი ან ორგანიზაცია.

ექსპროპრიაცია [ლათ. expropriatio – საკუთრების ჩამორთმევა] – (სამართ.). სახელმწიფოს მიერ ქონების იძულებითი, უსასყიდლო ან ანაზღაურებითი ჩამორთმევა ან გასხვისება. **ექსპროპრეაციას კომპენსაციის გაცემით რეკვიზიციას უწოდებენ, ხოლო გაცემის გარეშე – კონფისკაციას.**

ექსტენსიური [ლათ. extensivus – რაც ფართოვდება] – (ეკონ.). რაიმეს გაფართოება (მაგ., წარმოების), გაგრძელება (ვადის) და სხვ. (საპირისპ. ინტენსიური).

ექსტერიტორიულობა [ლათ. ex -გან, -დან და territorialis – ტერიტორიაზე მყოფი] – საკუთარი სახელმწიფოს კანონების დამორჩილება და უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლება (მაგ., დიპლომატების შესახებ).

ექსტრა [ლათ. extra] – როული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს: გარეშე. მაგ., ექსტერიტორიული წყლები – საერთაშორისო წყლები, ქვეყნის იურისდიქციის გარეთ მყოფი.

ექსტრადიცი [ლათ. ex -გან, -დან და traditio – გადაცემა] – (სამართ.). უცხო სახელმწიფოსათვის იმ პირის გადაცემა, ვინც

ამ სახელმწიფოს კანონები დაარღვია.

ექსტრანეტი [ინგლ. Extranet] – ინტერნეტის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული კორპორატიული ელექტრონული ქსელი, რომელიც კომპანიას თავის მომწოდებლებთან აკავშირებს.

ექსტრემიზმი [ლათ. extremus] – უკიდურესი შეხედულება-ზომების მომხრეობა (ძირითადად, პოლიტიკაში).

ექსცესი [ლათ. excessus – გამოსვლა, გადახრა] – (სამართ.). რისამე ნორმალური მიმდინარეობის დარღვევა; მწვავე შეხლა-შემოხლა; პროცესის მიმდინარეობის იშვიათი ხასიათი.

3

ვა-ბანკ! [ფრანგ. va banque] – (ფინანს.). დიდი ფინანსური რისკი.

ვალუაცია [ფრანგ. évaluation – შეფასება] – (ფინანს.). უცხოური ვალუტის კურსის ეროვნულ ფულად ერთეულში განსაზღვრა.

ვალორიზაცია [ფრანგ. valorisation] – (ფინანს.). რაიმე საქონლის ფასის ხელოვნურად აწევა, უმთავრესად ამ საქონლის წარმოების შეკვეცის გზით; ღონისძიებათა ერთობლიობა ქაღალდის ფულის კურსის ასაწევად.

ვალუტა [იტალ. valuta – ღირებულება] – (ფინანს.). უცხო ქვეყნის ფული.

ვანდალიზმი [ლათ. vandali] – კულტურის ძეგლთა განადგურება.

ვაუჩერი [ინგლ. voucher – ხელ-
წერილი] – (ეკონ., სამართ.).
ბარათი, რომელიც პრივატიზე-
ციაში მონაწილეობის უფლებას
იძლევა.

ველფერი [ინგლ. welfare] –
(ფინანს.). ფულადი სახის
ოფიციალური დახმარება.

ვენჩურული [ინგლ. venture –
რისკიანი] – (ფინანს.). მეცნი-
ერულ-ტექნიკური სიახლეების
დანერგვის დაკრედიტება-დაფი-
ნანსება.

ვერბალური [ლათ. verbalis] –
სიტყვიერი, ზეპირი. **ვერბალური
ნოტა** – (დიპლ.). ხელმოწერელი
ნოტა, რომელიც ზეპირ განცხა-
დებას უთანაბრდება.

ვერდიქტი [ინგლ.-ფრანგ. verdict
< ლათ.] – (სამართ.). ნაფიც
მსაჯულთა სასამართლოს განა-
ჩენი, გადაწყვეტილება.

ვერიფიკაცია [ლათ. verificatio]
– (სამართ.). რისამე (მასალების,
დოკუმენტების და სხვ.) ჭეშმა-
რიტების შემოწმება, ნამდვილო-
ბის დადგენა.

ვერსია [ფრანგ. version] –
(სამართ.). რაიმე ფაქტის,
მოვლენის ერთ-ერთი ახსნა.

ვეტო [ინგლ. veto – ვერძალაჲ]
– 1. უზენაესი ორგანოს (მონარ-
ქის ან პრეზიდენტის) უფლება –
უარყოფს სხვა (საკანონმდებლო)
ორგანოს დადგენილება. 2. სა-
ხელმწიფო სამართალში: აკრძალ-
ვა, რომელსაც ადებს ერთი
სახელმწიფო ორგანო მეორის
გადაწყვეტილებას. 3. საერთაშო-
რისო სამართალში: სხვადასხვა
ქვეყნის წარმომადგენელთაგან

შემდგარი კოლექტიური ორგანოს
(სადაც საკითხები წყდება
ერთხმად) ერთ-ერთი წევრის
განცხადება იმის შესახებ, რომ
იგი წინააღმდეგია უმრავლესო-
ბის გადაწყვეტილებისა; ხორცი-
ელდება ხმის მიცემით.

ვეჩსლი [გერმ. wechsell] – (ფი-
ნანს.). თამასუქი, გარკვეულ
ვადაზე განსაზღვრული თანხის
გადახდის წერილობითი ვალდე-
ბულება.

ვიზა [ლათ. visa – ნახული] –
1. (სამართ.). თანამდებობის პირის
აღნიშვნა საბუთზე იმის შესახებ,
რომ იგი წარდგენილია სათანა-
დოდ და რიგზეა. 2. სახელმწი-
ფოში შესვლის, იქიდან გამგ-
ზაერების ან მის ტერიტორიაზე
გავლის ნებართვა, რომელსაც
იძლევა ამ ქვეყნის მთავრობა.

ვიზიტი [ფრანგ. visite] –
(დიპლ.). მცირე ხნით მისვლა
ვინმესთან.

ვიზუალური [ლათ. visualis] –
მხედველობითი; **ვიზუალური
დაკვირვება** – დაკვირვება შეუი-
არაღებელი თვალით ან ოპტი-
კური ხელსაწყოთი (ფოტოგრა-
ფიების საპირისპიროდ).

ვინდიკაცია [ლათ. vindicatio –
დაცვა] – (სამართ.). მესაკუთრის
უფლება სასამართლოს მეშვე-
ობით მოითხოვოს საკუთარი
ქონების დაბრუნება იმ პირი-
საგან, რომელიც უკანონოდ
ფლობს მას.

ვირემენტი [ფრანგ. virement –
მოხვევა] – (ფინანს.). საბანკო
ოპერაცია: ერთი პირის მიმდი-
ნარე ანგარიშიდან მეორე პირის

მიმდინარე ანგარიშზე თანხის გადატანა.

ვირტუალური [ლათ. virtualis] – რაც შეიძლება სათანადო პირობებში გამოვლინდეს; შესაძლებელი.

ვირტუალური ბანკი – ბანკი, რომელიც თავის კლიენტებს ინტერნეტის მეშვეობით ემსახურება.

ვიქტიმოლოგია [ლათ. victima – მსხვერპლი და logos – მოძღვრება] – კრიმინოლოგიის დარგი, რომელიც ძირითადად სწავლობს დაზარალებულის ფსიქომორალურ თვისებებს.

ვიცე [ლათ. vice – ნაცვლად, მაგიერ] – მოადგილე, შემცვლელი.

ვოტუმი [ლათ. votum – სურვილი] – (პოლიტ.). ხმის მიცემის ფორმით გამოხატული გადაწყვეტილება, აზრი.

თ

თაღმუზი [ძვ. ებრ.] – ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო-სამართლებრივი ნორმების კრებული; შედგენილი ბიბლიის („ძველი აღთქმის“) წიგნების განმარტებათა საფუძველზე.

თემიდა – იტყვიან მართლმსაჯულებაზე. [ძველებერძული მითოლოგიის მართლმსაჯულების ქალღმერთ Themis-ის სახელის მიხედვით; მას გამოხატავდნენ თვალახვეულს, რომელსაც ცალ ხელში სასწორი ეჭირა, ხოლო მეორეში – მახვილი].

თეოკრატია [ბერძ. theos – ღმერთი kratos – ხელისუფლება] – (პოლიტ.). ღვთისმსახურთა (სამღვდელოების) პოლიტიკური ძალაუფლება.

თეორია [ბერძ. theōria] – გამოცდილების, საზოგადოებრივი პრაქტიკის ლოგიკური განზოგადება; ასახავს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას. 2. იმ განზოგადებულ დებულებათა ერთობა, რომლებიც ქმნიან რაიმე მეცნიერებას ან მის ერთ-ერთ დარგს; მეცნიერების დარგის ზოგადი, განყენებული საფუძვლები.

ო

იბნორირება [ლათ. ignoro – არ ვიცი] – უგულებელყოფა.

იდეა [ბერძ. idea] – 1. ცნება, წარმოდგენა, რომელიც ასახავს სინამდვილეს ადამიანის ცნობიერებაში და გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსადმი. 2. მსოფლმხედველობის ძირითადი, არსებითი პრინციპი. 3. აზრი, ჩანაფიქრი.

იდეალური საქონელი [ინგლ. ideal goods] – (ეკონ.). საქონელი, რომელსაც შეუძლია ადამიანის კონკრეტული მოთხოვნილება სრულად დააკმაყოფილოს და საბაზრო საქონლის ძირითადი ნიშნები განასახიეროს.

იდენტიფიკაცია [ლათ. identifikatio – ვაიგივებ] – (სამართ.). გათანაბრება; ამოცნობა; რეალური ობიექტის, საქონლის შესაბამი-

სობის დადგენა მასზე წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან.

იდენტური [ლათ. identicus] – (სამართ., ეკონ.). სავსებით მსგავსი, ერთნაირი, იგივეობრივი.

იერარქია [ბერძ. hierarchia] – (პოლიტ.). თანამდებობათა თანამიმდევრობა უდაბლესიდან უმაღლესისაკენ.

იზოლაცია [ფრანგ. isolation] – განმხოლოება, განცალკევება, დაშორიშორება, გამიჯვნა.

იოლაცია – პოლიტიკა, როცა ქვეყანა უარს ამბობს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევაზე და ამიტომ არ დებს მათთან ხელშეკრულებებს.

იმიგრანტი [ლათ. immigrans (immigrantis)] – ვინც შესახლდება] – სხვა ქვეყანაში ჩასახლებული პირი.

იმიგრაცია [ლათ. immigro – შესახლება] – სხვა ქვეყნის მოქალაქეთა უცხო ქვეყანაში დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად შესვლა.

იმიტაცია [ლათ. imitatio – მიმსგავსება] – ეკონომიკური ობიექტის ან პროცესის არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს დამსგავსებული რამე.

იმიჯი [ინგლ. image] – პიროვნების, ფირმის, საქონლის რეპუტაცია.

იმობილიზაცია (საბრუნავი საშუალებების) [ლათ. immobilis – უძრავი] – მოძრავი ქონების უძრავად გადაქცევა.

იმპერატივი [ლათ. imperativus] – ბრძანება; დაბეჯითებული,

აუცილებლად შესასრულებელი მოთხოვნა.

იმპერიალიზმი [ფრანგ. imperialisme < ლათ.] – კოლონიზაციისაგან შემდგარი იმპერიის ქონის იდეა ან პრაქტიკა.

იმპიჩი [ინგლ. impeach] – (სამართ.). 1. პარლამენტის წინაშე პირის (მათ შორის, სახელმწიფოს მეთაურის) სახელმწიფო ღალატში დადანაშაულება. 2. მოწმის კომპრომეტირება.

იმპიჩმენტი [ინგლ. impeachement] – (სამართ.). ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., აშშ-ში და სხვ.) სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირთა საპარლამენტო სასამართლოში მიცემის პროცედურა.

იმპორტი [ინგლ. import, ლათ. importare] – (ეკონ.). უცხოური საქონლის ქვეყანაში გასაყიდად შემოტანა. (საპირისპ. ექსპორტი).

იმუნიტეტი [ლათ. immunitas – რამესგან გათავისუფლება] – (სამართ.) ცალკეული პიროვნების ხელშეუხებლობა, მასზე ზოგიერთი კანონის გაუვრცელებლობა. მაგ., **დეპუტატის იმუნიტეტი** – საკანონმდებლო ორგანოს წევრის პიროვნების ხელშეუხებლობა (არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან პასუხისმგებლობაში მიცემა საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის გარეშე). **იმუნიტეტი დიპლომატიური** – დიპლომატიური წარმომადგენლის ხელშეუხებლობა და მისი ბინის შეუვალობა.

ინაუგურაცია [ინგლ. inauguration] – (დიპლ.). ახალი პრეზიდენტის სახელმწიფოს სათავეში

ოფიციალურად ჩადგომის საზეიმო ცერემონია.

ინდემნიტატი [გერმ. Indemnität, ინგლ. indemnity] – საერთაშორისო სამართალში: ზარალის ანაზღაურება.

ინდექსი [ლათ. index] – (ეკონ.). ეკონომიკურ-სტატისტიკური მაჩვენებელი; შეფარდებითი სახით გამოხატავს რაიმე ეკონომიკური მოვლენის ცვალებადობას დროში. მაგ., ფასების ინდექსი, ხელფასის ინდექსი და მისთ.

ინდიკატორი [ლათ. indicator] – საორიენტაციო ეკონომიკური მაჩვენებელი; იძლევა ეკონომიკური პროცესების მოსალოდნელი მიმართულებით განვითარების პროგნოზირების შესაძლებლობას.

ინდოსამენტი, ჰირო [გერმ. Indossament] – დოკუმენტზე ხელმოწერა, რითაც ის სხვა პირს გადაეცემა. 1. (ფინანს.). ფასიანი ქაღალდის (ჩეკულებრივ, თამასუქის) უკანა გვერდზე წარწერა, რაც ადასტურებს მის გადაცემას სხვა პირზე. 2. (სამართ.). ხელმოწერა, რითაც დოკუმენტი იურიდიულ ძალას იძენს. 3. პოლისზე მინაწერი, რითაც პოლისში აღნიშნულ თანხას ღებულობს მზღვეველი.

ინდუსტრია [ლათ. industria – საქმიანობა] – (ეკონ.). მრეწველობა, განსაკუთრებით მსხვილი (მძიმე).

ინდუქცია [ლათ. inductio] – აზროვნების მეთოდი – კერძო ფაქტებიდან ზოგადი დასკვნის გამოყვანა. (საპირისპ. დედუქცია).

ინექცია [ლათ. injectio] – ეკონომიკაში ფულადი სახსრების (კაპიტალის) ერთჯერადი დაბანდება.

ინვესტირება [ინგლ. invest] – (ეკონ.). კაპიტალის დაბანდება; ფულის ჩადება ბიზნესში.

ინვესტიცია [გერმ. Investition] – კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება რაიმე წარმოებაში, უმთავრესად ფასიანი ქაღალდების: აქციების, ობლიგაციებისა და სხვათა შესყიდვის სახით.

ინვესტორი [ლათ. investor – მესაბრე] – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს, აბანდებს საკუთარ, ნასესხებ ან მოზიდულ სახსრებს მისთვის სასურველ პროექტში.

ინვენტარი [ლათ. inventarium] – საწარმოო დანიშნულებისა და სამეურნეო მოხმარების საგნები.

ინვოისი [ინგლ. invoice] – (ეკონ.). ანგარიშ-ფაქტურა; ზედნადები.

ინიციატივა [ფრანგ. initiative] – თაოსნობა რაიმე საქმეში. მაგ., საკანონმდებლო ინიციატივა – საკანონმდებლო ორგანოში კანონპროექტების შეტანა.

ინკასაცია [იტალ. incassare] – (ფინანს.). სათანადო დოკუმენტის წარდგენით ფულის მიღება.

ინკასო [იტალ. incasso] – საშუაშაველო საბანკო ოპერაცია ფულადი სახსრების გადამხდელისაგან მიმღებზე გადაცემის შესახებ.

ინკოგნიტო [ლათ. incognitus – უცნობი] – (სამართ.). ვინაობის

გაუმჟღავნებლობა, ფარულად ყოფნა.

ინკორპორაცია [ლათ. incurporatio] – 1. თავის შემადგენლობაში სხვა ორგანიზაციის ჩართვა, შემოერთება. 2. (სამართ.) ადრე გამოცემულ კანონთა თავმოყრა და სისტემატიზაცია მათში არსებითი ცვლილების შეუტანლად.

ინკრიმინირება [ლათ. in -ში და crimen – ბრალდება] – (სამართ.). ბრალის დადება, დადანაშაულება.

ინოვაცია [ლათ. innovatio] – (ეკონ.). ფულის დაბანდება მეცნიერებაში, ტექნიკა-ტექნოლოგიის განახლებაში.

ინჟინირინგი [ინგლ. engineering, ლათ. ingenium -გან, – გამოგონებლობა] – (ეკონ.). ახალი საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება.

ინსაიდერი [ინგლ. inside – შიგნით] – პირი, რომელიც დაშვებულია ფირმის საქმიანობის საიდუმლო (არასაჯარო) ინფორმაციებზე თავისი თანამდებობის წყალობით.

ინსინუაცია [ლათ. insinuatio] – (სამართ.). სახელის გამტეხი ცილისწამება, მონაჭორი.

ინსიტრალ-ი [ინგლ. UNCITRAL] – საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისია.

ინსპირაცია [ლათ. inspiratio] – (სამართ.). ვინმეს წაქეზება.

ინსტანცია [ლათ. instantio] – ერთმანეთის დაქვემდებარებული სახელმწიფო მმართველობის

ორგანოთა ცალკეული რგოლი, საფეხური.

ინსტიტუციონალური პოლიტიკა [ლათ. institutum – დადგენა] – სახელმწიფოს ღონისძიებები არსებული ინსტიტუტების შეცვლის ან ახლის ჩამოსაყალიბებლად, უმეტესად, ეკონომიკისა და სამართლის სფეროებში.

ინსტრუქცია [ლათ. instructio – დარიგება] – სახელმძღვანელო მითითებები; სპეციალურ ნორმატიულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული სამსახურეობრივი ქცევის წესები.

ინტეგრაცია [ლათ. integer – მთელი] – ეკონომიკური სუბიექტების გაერთიანება, მათი ურთიერთქმედების გაღრმავება, კავშირების განვითარება.

ინტენსიური [ლათ. intensio] – (ეკონ.). 1. დაძაბული, გაძლიერებული. 2. უკეთესი შედეგის, ნაყოფიერების მომცემი. (საპირისპ. ექსტენსიური).

ინტენსიფიკაცია – (ეკონ.). რესურსული პოტენციალის ინტენსიური გამოყენებით წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

ინტერვენცია [ლათ. interventio] – (პოლიტ.). ერთი სახელმწიფოს ჩარევა სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში (უმთავრესად, სამხედრო ხასიათის).

ინტერნეტი [ინგლ. internet] – გლობალური კომპიუტერული ქსელი, რომელიც იძლევა ტევად სპეციალიზებულ საინფორმაციო სერვისზე დაშვების საშუალებას და უზრუნველყოფს ელექტრონულ ფოსტას.

ინტერნეტი [ლათ. internus – საშინაო] – (სამართ.) თავისუფლების შეზღუდვის (იძულებითი დაკავების) განხორციელების სპეციალური რეჟიმი, რომელსაც აღგენს მეომარი მხარე მეორე მხარის სამოქალაქო პირების მიმართ ან ნეიტრალური სახელმწიფო მის ტერიტორიაზე მყოფი მეომარი მხარეების სამხედროთა მიმართ.

ინტერნეტი-მედიკალიზაცია – მარკეტინგი ინტერნეტში, რომელიც ვებ-საიტების გამოყენებითა და ელექტრო ფოსტით ინფორმაციის მიზანმიმართული გაგზავნა ხორციელდება.

ინტერპოლი [ინგლ. Interpol] – სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ინტერპრეტაცია [ლათ. interpretatio] – რისამე (კანონის, პრეცედენტის და მისთ.) აზრის ახსნა, განმარტება.

ინტერცესია [ლათ. intercessio] – სამოქალაქო სამართალში: იურიდიული ჩარევა – თავის თავზე აღება სხვისი ვალის, ვალდებულების და სხვ.

ინტერფეისი – სხვადასხვა საშუალებებისა (პროგრამული, ენობრივი, ტექნიკური და სხვ.) და წესების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს პროგრამულ სისტემებს, ტექნიკურ მოწყობილობებს, მომხმარებლებსა და თვით სისტემებს შორის.

ინტრანეტი [ინგლ. Intranet] – ინტერნეტის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული კორპორატიული ელექტრონული ქსელი.

ინფლაცია [ლათ. inflatio – გაბერვა] – (ეკონ.) ქვეყანაში ქალაქის ფულის გაუფასურება; შედეგია ქალაქის ფულის გადაჭარბებული გამოშვებისა ან ბაზარზე საქონლის სიმცირისა; მუდგენდება საქონელზე ფასების ზრდაში, რაც ამ საქონლის წარმოების ხარისხის ამაღლებით არ არის გამოწვეული.

ინფორმატიკა – სამეცნიერო დისციპლინების ერთობლიობა, რომლის პრობლემატიკა სხვადასხვა ასპექტით დაკავშირებულია გამომთვლელი და კომუნიკაციური ტექნიკის შექმნასა და გამოყენებასთან.

ინფორმაცია [ლათ. informatio] – რაიმე შეტყობინება რაიმეს შესახებ.

ინფრასტრუქტურა [ლათ. infrastruqtura – მახლობლად] – მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგები (მაგ., ხიდები, გზები, საზოგადოებრივი მოსახერხებლობა და სხვ.).

ინციდენტი [ლათ. incidens – რაც ხდება] – (სამართ.) უსიამოვნო შემთხვევა, გაუგებრობა.

იპოთეზა [ბერძ. hypothēkē – გირაო] – (ეკონ.). 1. უძრავი ქონების დაგირავება (უმეტესად, მიწის ან ნაგებობის) სესხის მისაღებად. 2. თვით დაგირავებული უძრავი ქონება.

ირეტი [ლათ. erreta] – (სამართ.). ხელმოწერა დოკუმენტზე (მაგ., სერტიფიკატზე), რომელიც მისი გაფორმების დროს უმნიშვნელო ან ბეჭდვითი შეცდომის შესწორებას ადასტურებს.

ისტაბლიშმენტი [ინგლ. establishment] – 1. (პოლიტ.). ხელი-სუფლების პრივილეგიური ჯგუფები; მთელი სისტემა. 2. გავლენიანი პირები (მეცნიერების რომელიმე დარგის და სხვ.). 3. (ეკონ.) მოგების მაღალი დონე, მდგრადი მდგომარეობა საზოგადოებაში, შეძლებულად ცხოვრება.

იურიდიკული [ლათ. juridicus – სამოსამართლო] – რაც დაკავშირებულია უფლებრივ, სამართლის ნორმებთან; მათ შესწავლა-გამოყენებასთან.

იურისდიქცია [ლათ. jurisdictio – სამოსამართლო წარმოება] – მართლმსაჯულების, სამოსამართლო საქმის წარმოების უფლება, განსჯადობა. 2. საქმეები, რომლებიც ამა თუ იმ დაწესებულების წარმოებას ექვემდებარება.

იურისკონსულტი [ლათ. jurisconsultus – სამართლისმცოდნე] – კონსულტანტი, დაწესებულების თანამშრომელი იურისტი – იურიდიული რჩევების მიმცემი, ამ დაწესებულებისა და მისი თანამშრომლების ინტერესების დამცემი.

იურისპრუდენცია [ლათ. jurisprudentia] – 1. სამართალი, სამართალმცოდნეობა, იურიდიულ მეცნიერებათა ერთობლიობა. 2. იურისტთა პროფესიული მოღვაწეობა, სასამართლო პრაქტიკა.

იურისტი – სამართლისა და კანონის მცოდნე, იურიდიულ ფაქულტეტდამთავრებული, იურისპრუდენციაში მომუშავე პირი, სამართალმცოდნე.

იუსტიცია [ლათ. Justicia] – 1. მართლმსაჯულება, სასამართლო წარმოება. 2. სასამართლო დაწესებულებათა სისტემა, სასამართლო უწყება.

იჯარა [ლათ. orrendare – გაქირავება] – (ეკონ.). ქონების (მიწის) გაცემა მისი მეპატრონის მიერ დროებითი სარგებლობისათვის სხვა პირებზე სახელშეკრულებო პირობებით.

კ

კაბალა [არაბ. kabala – ვალდებულება] – 1. ეკონომიკური დამოკიდებულების მძიმე ფორმა, რომელშიც ექცევიან ის პირები, რომლებმაც ძნელად დასაბრუნებელი სესხი მიიღეს; იურიდიული აქტი, რითაც გაფორმებულია სავალო ვალდებულება. 2. სრული დამოკიდებულება ვინმეზე.

კადასტრი [ფრანგ. cadastre – რეესტრი] – (ეკონ.). უძრავი ქონების აღწერა-შეფასება საგადასახადო მიზნით.

კაზუალობა, კაზუალი [ლათ. casualis – შემთხვევა] – შემთხვევითობა; რის განზოგადებაც არ ხერხდება.

კაზუსისტი – 1. იურისტი, რომელიც დახელოვნებულია რთული, დახლართული საქმის გახსნაში. 2. (გადატ.). იტყვიან ადამიანზე, რომელიც გაწაფულია კაზუსისტიკაში.

კაზუსისტიკა [ლათ. casus – შემთხვევა] – ზოგადი იურიდიული ნორმების განხილვა კერძო შემთხვევებთან დაკავშირებით.

კაზუს ბელი [ლათ. *casus belli*] – უშუალო ფორმალური საბაბი სახელმწიფოთა შორის საომარი მდგომარეობის წარმოშობისათვის.

კაზუს ფედერისი [ლათ. *casus foederis*] – იურიდიული ფაქტები, გარემოებანი ან პირობები, რომელთა დადგომაც ავადდებულებს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, განახორციელოს გარკვეული ქმედებანი (მაგ., ეკონომიკური ან სამხედრო დახმარება და სხვ.).

კაზუსი [ლათ. *casus*] – 1. კერძო შემთხვევა. 2. სასამართლო პრაქტიკაში: რთული, დახლართული საქმე. 3. ისეთი მოქმედება, რომელსაც გარეგნულად აქვს დანაშაულის ნიშნები, მაგრამ აკლია ბრალდების ელემენტები და ამიტომ დაუსჯელია.

კალკულაცია [ლათ. *calculatio* – ანგარიში] – (ეკონ.). ერთეული ნაკეთობის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების ჯამი.

კანონი [ბერძ. *kanōn*] – 1. წესი, ნორმა, ძირითადი დებულება. 2. (სამართ.). ხელისუფლების მიერ დადგენილი ყოველად სავალდებულო წესი. 3. საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება; კანონზომიერება.

კანონიკური [ბერძ. *kanonikos*] – (გადატ.). მტკიცედ დადგენილი, ნიმუშად მიღებული.

კაპიტალი [ლათ. *capitalis* – მთავარი] – (ეკონ.). ფართო გაგებით – ყველაფერი, რასაც შემოსავლის მოტანა შეუძლია ან ხალხის მიერ საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის შექმნილი რესურსები. ვიწრო გაგებით – საქმეში დაბანდებული, შემოსავლის მომტანი წყარო წარმოების საშუალებების სახით (ფიზიკური კაპიტალი); ინვესტიცია.

კაპიტალიზმი [ინგლ. *capitalism*] – ეკონომიკური სისტემა, სადაც ფული, ქონება და სხვა ფონდები ინდივიდების მფლობელობაშია და სადაც ეკონომიკას მართავს მოთხოვნა, ხოლო საბაზრო ძალები განსაზღვრავენ ფასებსა და მიწოდებას.

კაპიტულაცია [ლათ. *capitulare*] – საომარი მოქმედებების დროს შეიარაღებული ძალების მიერ წინააღმდეგობის შეწყვეტა.

კარდინალური [ლათ. *cardinalis* – მთავარი] – (პოლიტ., ეკონ.). ძირითადი, უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი.

კარინექსი [ინგლ. *Currenex*] – ელექტრონული საფონდო ბირჟა (აშშ-ში).

კარტ-ბლანში [ფრანგ. *carte blanche* – ხელმოწერილი სუფთა ფურცელი, „თეთრი ბარათი“] – (გადატ.). განუსაზღვრელი რწმუნებანი; მოქმედების სრული თავისუფლება.

კასაცია [ლათ. *cassatio* – გაუქმება] – 1. სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. 2.

განცხადება სასამართლოს განაჩენის (გადაწყვეტილების) გადასინჯვის შესახებ.

კაუზა [ლათ. causa] – მიზეზი.

კაუზალური [ლათ. causalis] – (სამართ.). მიზეზობრივი.

კაფი [ინგლ. CAF] – საერთაშორისო ვაჭრობაში: საქონლის გადაზიდვის პირობა, რომელშიც ჩართულია ამ საქონლის მიტანისა და ტრანსპორტირების ხარჯები (დაზღვევის გარეშე) გამყიდველიდან იმ ადგილამდე, სადაც მყიდველმა იგი უნდა მიიღოს.

კე ღ' ორსე [ფრანგ. Quai d'Orsay] – საგარეო საქმეთა სამინისტროს რეზიდენცია (საფრ.).

„კენგურუ“ [ინგლ. kangaroo] – კანონპროექტის განხილვისას გამოყენებული სისტემა, როცა ზოგიერთი მუხლი საერთოდ არ განიხილება, პირდაპირ კენჭი ეყრება, ხოლო შემდეგი საკითხის განხილვა გრძელდება.

კვაზი [ლათ. quas] – (ეკონ.). მოჩვენებითი, არანამდვილი; თითქმის მსგავსი.

კვალიფიცირება [ინგლ. qualify] – (სამართ.). 1. შეფასება; პირობების შესაბამისობა. 2. შეზღუდვა (უფლებისა).

კვორუმი [ლათ. quorum] – კრების მონაწილეთა ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია კრების დადგენილების კანონიერად ცნობისათვის.

კვოტა [ლათ. quota – თითოეულის წილი] – (ეკონ., სამართ.). დადგენილი წილი, მიღებული

ნორმა, დასაშვები რაოდენობა რისამე.

კლასიფიკაცია [ლათ. classis – თანრიგი და facio – ვაკეთებ] – საგნების (მოვლენების, ცნებების) დაყოფა, დაჯგუფება განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა მიხედვით.

კლავიშულა [ლათ. clausula – დასკვნა] – (სამართ.). შეერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების განსაკუთრებული ხასიათის მქონე დებულება, საგანგებო პირობა.

კლერკი [ინგლ. clerk] – მოხელე (მაგ., ოფისის, ანგარიშწარმოების და მისთ.).

კლიენტი [ინგლ. client] – (ეკონ.). 1. ის, ვინც პროფესიონალის მიერ გაწეულ მომსახურებაში ფულს იხდის. 2. (სამართ.). პირი, რომელსაც ადვოკატი წარუდგენს საქმისმწარმოებლებს. 3. (ბიზნ.). მუდმივი მომხმარებელი.

კლირინგი [ინგლ. clearing] – (ფინანს.). უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა.

კოალიცია [ლათ. coalitio] – (პოლიტ.). პირთა, პარტიათა ან სახელმწიფოთა გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად.

კოდექსი [ლათ. codex – წიგნი] – (სამართ.). განსაზღვრული წესით სისტემაში მოყვანილი ოფიციალურ კანონთა კრებული.

კოდიფიკაცია, კოდიფიცირება [ლათ. codex – წიგნი და facio – ვაკეთებ] – (სამართ.). ყველა კანონის ერთად თავმოყრა ოფიციალურ სამართლებრივ კოდექსში.

კოიმპერიუმი [ლათ. co(n) – ერთად და imperium – ხელისუფლება] – (პოლიტ.). რამდენიმე სახელმწიფოს ერთობლივი ბატონობა სხვის ტერიტორიაზე, რომელსაც საგანგებო საერთაშორისო სტატუსი ენიჭება.

კოლეგია [ლათ. collegium] – თანამდებობის პირთა ჯგუფი, რომლებიც ქმნიან ადმინისტრაციულ, სათათბირო ან განმკარგულებელ ორგანოს.

კოლიზია [ლათ. collisio] – (სამართ.). საპირისპირო შეხედულებათა, მისწრაფებათა, ინტერესთა შეჯახება; წინააღმდეგობა (კანონთა მუხლების და მისთ.).

კოლიზიური ნორმა [ლათ. collisio – შეჯახება] – საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმა, რომელიც მიუთითებს, თუ რომელი სახელმწიფოს სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული საერთაშორისო ხასიათის მქონე სამოქალაქო, საოჯახო, შრომითი ან სხვა ურთიერთობის რეგულირების დროს.

კომანდითური ამხანაგობა [ფრანგ. commandite „ნდობაზე დამყარებული ამხანაგობა“] – წარმოების ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომლის მონაწილეთაგან ერთნი (კომპლიმენტარები, სრული ამხანაგობები) მთელი თავისი ქონებით აგებენ პასუხს, მეორენი (კომანდიტისტები, მეანაბრეები) კი – მხოლოდ ამ წამოწყებაში დაბანდებული თავიანთი კაპიტალით.

კომენტარი [ინგლ. commentary] – 1. სახელმძღვანელო, რომელიც კანონების განმარტებებს იძლევა. 2. მოკლე შენიშვნები, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებით მთავარი საკითხების კომენტირებას ახდენენ.

კომერსანტი [ფრანგ. comercant] – პირი, რომელიც კომერციას ეწევა.

კომერცია [ლათ. commercium] – ვაჭრობა და სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობა მოგების მისაღებად. ფართო გაგებით – მეწარმეობა.

კომიზორიაჟორი [ფრანგ. commis voyageur] – სავაჭრო შუამავალი, რომელიც ფირმის დავალებით საქონლის მიყიდვებს ეძებს, ავრცელებს საქონლის ნიმუშებსა და სხვ.

კომისიონერი [ფრანგ. commissionnaire] – პირი, რომელიც შუამავლობს სავაჭრო გარაგებებში და ამისათვის გარკვეულ გასამრჯელოს იღებს.

კომიტენტი [ლათ. commitens – დავალების მიმცემი] – (სამართ.). პირი, რომელიც დავალებას აძლევს სხვა პირს (კომისიონერს) დადოს გარკვეული გარიგება თავისი სახელით, მაგრამ კომიტენტის ხარჯზე.

კომიტეტი [ფრანგ. comité] – აღამიანების ოფიციალური ჯგუფი, არჩევითი ორგანო, რომელიც სახელმწიფო, სამეურნეო, საზოგადოებრივი საქმიანობის რომელიმე სფეროს ხელმძღვანელობს.

კომპანია [ინგლ. company] – იურიდიული ან ფიზიკური

პირების გაერთიანება რაიმე სარგებლის მისაღებად.

კომპენსაცია [ლათ. compensatio] – (ეკონ.). მიყენებული ზიანის ან ზარალის ანაზღაურება; საზღაური.

კომპეტენცია [ლათ. competentia] – უფლებამოსილებათა სფერო, რომელიც აქვს დაწესებულებას ან თანამდებობის პირს. იგი კანონების, ნორმატიული დოკუმენტების, წესდებების, მიხედვით განისაზღვრება.

კომპიუტერი [ინგლ. computer] – ელექტრონული ციფრული გამოთვლელი მანქანა, რომელიც ითვლის ან აგროვებს ინფორმაციას და ავტომატურად ამუშავებს მას.

კომპონენტი [ლათ. componens] – რისამე შემადგენელი ნაწილი.

კომპრომეტირება [ფრანგ. compromettre] – ვინმესთვის სახელის გატეხა, რეპუტაციის შელახვა (ვისიმე წინაშე).

კომპრომისი [ლათ. compromissum] – (ეკონ., პოლიტ., სამართ.). ურთიერთდამოხმობით მიღწეული შეთანხმება.

კომუნიკაცია [ინგლ. communication] – ინფორმაციის გადაცემა; ოფიციალური შეტყობინება.

კომუნიკე [ფრანგ. communiquer] – 1. ოფიციალური შეტყობინება საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. 2. საერთოდ, ოფიციალური ცნობა რაიმე საკითხის შესახებ.

კონგრესი [ლათ. congressus – შეხვედრა] – 1. ფართო შემაღ-

გენლობის თათბირი, ყრილობა (უპირატესად, საერთაშორისო). 2. აშშ-ში არჩეული ფედერალური საკანონმდებლო ორგანო.

კონგრუენცია [ლათ. congruentia] – (დიპლ.). შესაბამისობა, თანხედენილობა, თანაზომიერება.

კონდომინიუმი [ლათ. condominium] – საერთაშორისო სამართალში: რომელიმე ტერიტორიის მართვა ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ.

კონვენცია [ლათ. conventio – შეთანხმება, ხელშეკრულება] – (სამართ.). სახელმწიფოთა შორის რაიმე კონკრეტულ საკითხზე დადებული ხელშეკრულება.

კონვერგენცია [ლათ. convergens – რაც ერთხვევა რასმე] – (ეკონ.). რაიმე ნიშან-თვისებათა დამთხვევა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მოვლენებში.

კონვერსია [ლათ. conversio – შეცვლა] – (ფინანს.). წინათ გამოშვებული სახელმწიფო სესხის პირობების შეცვლა (პროცენტის შემცირება, გადახდის ვადის გადაწევა და სხვ.).

კონვერტირება [ლათ. conversio – შეცვლა, გადაცვლა] – (ფინანს.). ერთი ქვეყნის ვალუტის გადაცვლა სხვა ქვეყნის ვალუტაზე.

კონიუნქტურა [ლათ. conjunctura] – (ეკონ.). შექმნილი ვიტარება, ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების არსებული ურთიერთობით ხასიათდება.

კონკორდატი [ლათ. concordatum – შეთანხმება] – სპეციალუ-

რი ხელშეკრულება რომის კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რომლითაც ეკლესიას გარკვეული უფლებები და პრივილეგიები ენიჭება.

კონკურენცია [ლათ. concurrentia – შეჯახება] – (ეკონ.).

1. მეტოქეობა უპირატესობის მოსაპოვებლად რაიმე საკითხზე.
2. კერძო მწარმოებელთა ბრძოლა საქონლის წარმოებისა და გასაღების ხელსაყრელი (მომგებიანი) პირობებისათვის.

კონკურსი [ლათ. concursus – თავმოყრა, შეჯახება] – შეჯიბრება მონაწილეთა შორის საუკეთესოს გამოსავლენად (პრემიის მისაღებად, თანამდებობის დასაკავებლად და სხვ.).

კონოსამენტი [ფრანგ. connaissance] – (ეკონ., სამართ.). დოკუმენტი, ხელშეკრულება, ტვირთის გადაზიდვის თაობაზე, რომელიც ტვირთის გამგზავნსა და სატრანსპორტო კომპანიას შორის ფორმდება.

კონსალტინგი [ინგლ. consulting] – ეკონომიკისა და სხვა საკითხებზე კონსულტაციური მომსახურება.

კონსენსუალური [ლათ. consensus – თანხმობა] – შეთანხმებითი. **კონსენსუალური ხელშეკრულება** – მხარეთა ზეპირ შეთანხმებაზე დაფუძნებული ხელშეკრულება.

კონსენსუსი [ლათ. consensus – თანხმობა, ერთსულოვნება] – სადავო საკითხზე მოლაპარაკებათა გზით მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა.

კონსერვაცია [ლათ. conservatio] – ეკონომიკური პროცესის, საქმიანობის ან ობიექტის მშენებლობის გაურკვეველი ვადით შეჩერება.

კონსიგნაცია [ლათ. consignatio – წერილობითი დასაბუთება] – საქონლის საზღვარგარეთ საკომისიო გაგზავნა-ყიდვის ერთ-ერთი ფორმა. **კონსიგნანტი** – საქონლის (ტვირთის) მესაკუთრე და გამგზავნი. **კონსიგნატორი** – საქონლის (ტვირთის) მიმღები და გამყიდველი.

კონსოლუმი [ინგლ. consols] – (ფინანს.). სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, რომელთაც აქვთ არსებობის შეუზღუდავი (ან გრძელვადიანი) ხანგრძლივობა.

კონსოლიდაცია [ლათ. consolidatio – გამაგრება, შეზრდა] – 1. ორი ან რამდენიმე ფირმის, კომპანიის გაერთიანება, შერწყმა. 2. მოკლევადიანი სახელმწიფო სესხის გრძელვადიანად (ან უვადოდ) შეცვლა.

კონსორციუმი [ლათ. consortium – მონაწილეობა] – (ეკონ.). საერთო შეთანხმების საფუძველზე სხვადასხვა კომპანიების, ბანკების დროებითი გაერთიანება რაიმე მსხვილი ფინანსური ოპერაციის ჩასატარებლად.

კონსპირაცია [ლათ. conspiratio – შეთქმულება] – (სამართ.). საიდუმლოს მკაცრად დაცვა.

კონსტატაცია [ფრანგ. constatation – (სამართ.). რისამე დადგენა, არსებობის დადასტურება.

კონსტიტუტიური [ფრანგ. constitutif] – (სამართ.). არსებითი,

ძირითადი; რისამე განმსაზღვრელი.

კონსტიტუცია [ლათ. constitutio – დადგენა] – (სამართ.). სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომლითაც ქვეყანა იმართება; განსაზღვრავს სახელმწიფო წყობილებას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფო ორგანოების შექმნისა და მოქმედების პრინციპებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებამოსილებებს.

კონსტიტუციური – (სამართ.). კონსტიტუციასთან დაკავშირებული, მასზე დამყარებული.

კონსტიტუციური მონარქია – სახელმწიფო წყობილება, როცა მონარქის ხელისუფლება კონსტიტუციით შეზღუდულია.

კონსტრუქციული [ინგლ. constructive] – (პოლიტ., დიპლ.). ქმედება, რაც რაიმეს გაკეთებაში გვეხმარება.

კონსული [ლათ. consul] – (დიპლ.). უცხო ქალაქში მყოფი უფროსი დიპლომატიური თანამდებობის პირი, რომელიც ეხმარება თავისი ქვეყნის მოქალაქეებს და იცავს მათ ბიზნესინტერესებს.

კონსუმენტი [ინგლ. consume – მოხმარება] – (ვაჭრ.). საქონლისა და მომსახურების მომხმარებელი.

კონტინგენტი [ლათ. contingens – ურთიერთშეხება] – (ეკონ.). სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ქვეყნებში ზოგიერთი საქონლის შეტანის, გამოტანის ან ტრანზიტის დადგენილი ზღვრული ნორმები.

კონტო [იტალ. conto] – (ფინანს.). ანგარიში.

კონტომატი – ფულის გაცემის ავტომატი საბანკო-საკრედიტო ბარათის გამოყენებით.

კონტო-სეპარატო [იტალ. conto separato] – ცალკე ანგარიში.

კონტრაბანდა [იტალ. contrabando] – (ეკონ., სამართ.). 1. საქონლისა და სხვა ფასეულობის უკანონო გატანა-შემოტანა საზღვარზე. 2. თვით ფარულად გადაზიდული საქონელი.

კონტრადიქტი [ინგლ. contradict] – არ დათანხმება ან ზუსტად საპირისპიროს თქმა.

კონტრადიქცია [ინგლ. contradiction] – წინააღმდეგობა. **კონტრადიქტორი** – მოწინააღმდეგე.

კონტრაფაქცია [ფრანგ. contraception – ყალბისმქნელობა] – (ეკონ., სამართ.). რაიმეს კეთება სხვისი სახელით, უკანონო გამოყენებით.

კონტრაქტი [ლათ. contractus] – (სამართ.). იურიდიულად სავალდებულო შეთანხმება ორ ან რამდენიმე პირს შორის, რომლითაც განსაზღვრულია მათ მიერ შესასრულებელი მოქმედება და პასუხისმგებლობა ამ მოქმედების შესრულებისათვის.

კონტრაჰენტი [ლათ. contrahens – შეთანხმებული] – (სამართ.). პირი ან დაწესებულება, რომელმაც გარიგებით რაიმე ვალდებულება იკისრა.

კონტრიბუცია [ლათ. contributio] – (ეკონ., სამართ.). იძულებითი გადასახდელი ან ქონების ამოღება ომში დამარცხებული სახელმწიფოსაგან.

კონტროლი [ფრანგ. contrôle] – (ფინანს.). რისამე შემოწმება; ობიექტის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმება.

კონტროფერტა [ლათ. contra – წინააღმდეგ და offertus – შეთავაზებული] – (ეკონ., სამართ.). თანხმობა შეთავაზებული ხელშეკრულების დადებაზე, მაგრამ სხვა პირობებით, ვიდრე პირველი ვარიანტით იყო ჩაფიქრებული, გათვალისწინებული.

კონფედერაცია [ლათ. confederatio] – (პოლიტ.). სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი გარკვეული მიზნების მისაღწევად ხელშეკრულების საფუძველზე.

კონფიდენციალური [ლათ. confidentia – ნდობა] – (სამართ.). საიდუმლო.

კონფისკაცია [ლათ. konfiskatio] – (სამართ.). კერძო საკუთრებაში არსებული ქონების იძულებითი და უსასყიდლოდ ჩამორთმევა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ამ რწმუნების მქონე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ხორციელდება.

კონფლიქტი [ლათ. conflictus – შეჯახება] – (სამართ.). წინააღმდეგობა შეხედულებებსა და ურთიერთობებში, საწინააღმდეგო ინტერესების შეჯახება; ცხარე კამათი.

კონფორმიზმი [ლათ. conformis – მსგავსი, ხელსაყრელი] – ერთგვაროვნობა, უძრაობა, შემგუებლობა, შემთანხმებლობა.

კონფრონტაცია [ფრანგ. confrontation] – (სამართ.). ურთიერთ-

დაპირისპირება, ურთიერთწინააღმდეგობა.

კონცენტრაცია [ლათ. concentratio] – (ეკონ.). რისამე მოგროვება, თავმოყრა, ერთად დაჯგუფება.

კონცეპტუალური [ლათ. conceptus] – აზრობრივი.

კონცერნი [ინგლ. concern] – (ეკონ.). საწარმოთა მსხვილი გაერთიანება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ინტერესებით, ხელშეკრულებებით, კაპიტალით, ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობით.

კონცესია საერთაშორისო [ლათ. concessio – ნებართვა, დათმობა] – (სამართ.). სახელმწიფოს მიერ უცხოეთის ფირმისათვის უფლების მიცემა აწარმოოს მის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაცია, სამრეწველო-ეკონომიკური ხასიათის საქმიანობა.

კონცესიონარი [ინგლ. concessionaire] – (ვაჭრ.). პირი, რომელსაც უფლება აქვს იყოს პროდუქციის ერთადერთი გამყიდველი რომელიმე ადგილზე.

კონცეფცია [ლათ. conceptio] – შეხედულებათა სისტემა.

კოოპერაცია [ლათ. cooperatio – თანამშრომლობა] – ფიზიკური პირების გაერთიანება ნებაყოფლობითი გაწევრიანების საფუძველზე კოლექტიური მეწარმეობისათვის.

კოოპტაცია [ლათ. cooptatio] – არჩევითი ორგანოს ახალი წევრების არჩევა ამომრჩეველთა დაუკითხავად.

კოორდინაცია [ლათ. coordinatio] – რაიმე მოქმედების, საქმიანობის (უმეტესად, მართვის პროცესების) შეთანხმება.

კორესპონდენტი [ლათ. correspondere – მაუწყებელი] – ბანკი ან სხვა ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც სხვა მსგავსი ორგანიზაციების ფინანსურ და კომერციულ დავალებებს ასრულებს.

კორნერი [ინგლ. corner – კუთხე] – (ეკონ.). პირის ან პირთა ჯგუფის შეგნებული მოქმედება, რომლებიც ბაზარზე პროცესის მსვლელობისა და ფასების აწევის კონტროლის ხელში ჩასაგდებად საქონლის ხელოვნურ დეფიციტს ქმნიან, რასაც კონტრაქტებისა და რეალური საქონლის მასიური შესყიდვით აღწევენ.

კორპორაცია [ლათ. corporatio] – პირთა ჯგუფი, გაერთიანებული საერთო მიზნების მისაღწევად და ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად, იურიდიული პირის უფლებით.

კორუფცია [ლათ. corruptio] – (სამართ.). თანამდებობის პირთა მოსყიდვა.

კოტირება [ფრანგ. coter] – (ფინანს.). საქონლის, ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის საბირჟო კურსის ოფიციალურად დადგენა და გამოცხადება.

კრედიტი [ლათ. creditum – ვალი] – 1. საქონლის ან ფულის გაცემა სესხად. (საპირისპ. დებეტი) 2. გარკვეული ხარჯების

გასაწევად გაცემული თანხა. 3. ფული, რომელიც მისაღები აქვს კომპანიას.

კრედიტორი [ლათ. creditor] – პირი ან ორგანიზაცია, რომელმაც გასცა საქონელი ან ფული კრედიტად; პირი, რომლის მიმართაც ვინმემ ვალდებულება იკისრა; მევაღე. (საპირისპ. დებიტორი). **პირველრიგისეული (პრეფერენციული) კრედიტორი** – კრედიტორი, რომელსაც პირველ რიგში უნდა გადაუხადონ, თუკი კომპანია ლიკვიდირებული იქნება.

კრიზისი ეკონომიკური [ბერძ. krisis] – ქვეყნის, რეგიონის, მსოფლიოს ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, რომელიც ვლინდება წარმოების მნიშვნელოვან შემცირებაში, ეკონომიკური კავშირების გაწყვეტაში, საწარმოთა გაკოტრებაში, უმუშევრობის ზრდასა და ხალხთა ცხოვრების დონის დაქვეითებაში.

კრიმინალი [ლათ. criminalis – დანაშაულებრივი] – სისხლის სამართლის დანაშაული.

კრიმინალისტიკა [ლათ. criminalis – დანაშაულთან დაკავშირებული] – იურიდიული დისციპლინა, რომელიც სწავლობს სისხლის სამართლის დანაშაულის გახსნის მეთოდებს, ტექნიკასა და ტაქტიკას.

კრიმინალური [ლათ. criminalis] – (სამართ.). სისხლის სამართალთან დაკავშირებული; დანაშაულებრივი.

კრიმინოლოგია [ლათ. crimer – დანაშაული და ბერძ. logos – მოძღვრება] – (სამართ.). მოძღვრება დანაშაულის შესახებ.

კრიტერიუმი [ბერძ. kritēion – მსჯელობის, გადაწყვეტის საშუალება] – ნიშან-თვისება, რომლის მიხედვითაც რასმე აფასებენ, განსაზღვრავენ, კლასიფიკაციას ახდენენ; საზომი, შესადარისი საშუალება.

კულისა [ფრანგ. coulisse – ფარდა] – (გადატ.). არაოფიციალური ბირჟა, სადაც კერძო მაკლერები თავისუფალი წესებით მოქმედებენ.

კუპიურა [ფრანგ. coupure] – ფულის ნიშნის ან ფასიანი ქაღალდის ერთეული ეგზემპლარის საერთო სახელწოდება.

კუპონი [ფრანგ. coupon] – ფასიანი ქაღალდის ნაწილი მოსახვეი ტალონის სახით.

კურსი [ლათ. cursus] – (ფინანს.). სხვა ქვეყნის ფულის ერთეულის ან ფასიანი ქაღალდის საბირჟო ფასი, გამოსახული ეროვნულ ფულად ერთეულში; ფასი, რომლის მიხედვითაც ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება.

კურტაჟი [ფრანგ. curtage] – (ეკონ.). საშუამავლო გასამრჯელო, რომელსაც ბროკერი საბირჟო გარიგების განხორციელების დროს ღებულობს.

კურტიე [ფრანგ. kourtier] – (ვაჭრ.). მაკლერი, აგენტი, შუამავალი.

ლ

ლაგი [ინგლ. lag] – ორ ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკურ მოვლენას შორის (აქედან ერთი მიზეზია, მეორე – შედეგი) დროის ინტერვალი.

ლათინური – რომაელთა ენა, რომელიც საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა როგორც სასამართლოების ენა და დღესაც შედის მრავალ ზოგად იურიდიულ ფრაზაში. მაგ., „დე-იურე“, „დე-ფაქტო“ და სხვ.

ლაიტმოტივი [გერმ. Leitmotiv] – 1. ძირითადი მოტივი. 2. (გადატ.). საზგასმით გამორეზული სახელმძღვანელო აზრი.

ლამფსუმი [ინგლ. lump sum] – ერთდროულად გადახდილი ფული (არა რამდენიმეჯერ მცირე თანხებით).

ლაჟი [ფრანგ. L'aggio] – (ფინანს.). ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების და მისთ.) კურსის აწევა მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით; იგივეა, რაც აჟიო.

ლატარია [იტალ. lotteria] – ნივთების ან ფულის გათამაშება ბილეთებით.

ლათენტური [ინგლ. latent] – ფარული ან რომლის უცებ დანახვა შეუძლებელია; ბუნდოვანი; სიტყვები კონტრაქტში, რომლებიც ორ ან მეტ რამეს შეიძლება ნიშნავდეს, მაგრამ ერთი შეხედვით შეცდომაში შემყვანი არ ჩანან; ფარული დეფექტი.

ლავსუსი [ლათ. lapsus] – უნებლიე შეცდომა (ნაწერში, მეტყველებაში).

ლეგალიზაცია [ლათ. legalis – კანონიერი] – (სამართ.). დაკანონება, იურიდიული ძალის მიცემა.

ლეგალური [ლათ. legalis] – კანონით აღიარებული, ნებადართული; ღია, აშკარა.

ლეგატი [ლათ. legatus] – (სამართ.). ანდერძში გათვალისწინებული დავალება – მემკვიდრემ მისცეს რომელიმე პირს გარკვეული თანხა ან ქონების ნაწილი.

ლეგისლატურა [ინგლ. legislature] – საკანონმდებლო ხელისუფლება, მაგ., პარლამენტი.

ლეგისტები [ლათ. lex (ligis) – კანონი] – შუა საუკუნეებში: იურისტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ რომაული სამართლის გავრცელებას დასავლეთ ევროპაში.

ლეგიტიმაცია [ლათ. legitimus – კანონიერი] – (სამართ.). რაიმე უფლების ან რწმუნების კანონიერების აღიარება ან დამტკიცება. **ლეგიტიმური** – კანონით ნებადართული.

ლემერეჟი: „ბერკეტის პრინციპი“ – თანაფარდობა საკუთარ (აქციონერულ) და ნასესხებ კაპიტალს შორის.

„ლაგი-ავეი“ [ინგლ. lag-away – ჩადება უფრო შორს] – (ფინანს.). გაყიდვის პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებული ფასის მთლიან ან ნაწილობრივ გადახდას.

„ლენდინგ-ბიზნესი“ [ინგლ. lending business] – (ეკონ., ფინანს.).

გარიგება, ბიზნეს-ოპერაცია, რომლის შედეგები ცვლის ფორმის აქტივებს და ფინანსურ ანგარიშგებებში აისახება. ასეთი გარაგებებია: დაკრედიტება, სესხის მიცემა და მისთ.

ლენდინგი [ინგლ. landing charges] – (ფინანს.). საფასური დანიშნულების პორტში მოსული გემიდან საქონლის ჩამოტვირთვისათვის.

ლენდ-ლიზი [ინგლ. lend-lease < lend – სესხად მიცემა და lease – იჯარით გაცემა] – (ეკონ.). ქვეყნისათვის საქონლის (შეიარაღება, სტრატეგიული ნედლეული, სურსათი და სხვ.) სესხად ან იჯარით მიცემა.

ლენდლორდი [ინგლ. landlord] – (ეკონ.). პირი ან კომპანია, რომელიც თავის საკუთრებას აქირავებს. 1. მსხვილი მიწათმფლობელი. 2. ბინების გამქირავებელი.

ლიბერალიზაცია ეკონომიკის [ლათ. liberalisation – თავისუფლება] – ეკონომიკურ საქმიანობაზე, მეწარმეობასა და ფასებზე სახელმწიფო შეზღუდვების მოხსნა.

ლიბორი [ინგლ. LIBOR – London inter-bank offered Rate] – ლონდონის ბანკების მიერ, ჩვეულებრივ, 3-6 თვის ვადით გაცემული მოკლევადიანი კრედიტების განაკვეთები.

ლიზ-ბექი [ინგლ. lease-back – უკუ იჯარა] – (ეკონ.). ლიზინგური კომპანიის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით სხვა ქვეყანაში დამამზადებელი ფორმიდან მოწყობილობის შეძენა შემდ-

გომში მისი იმავე ფორმისათვის იჯარით მისაცემად.

ლიზინგი [ინგლ. leasing – იჯარა] – (ეკონ.). მანქანა-მოწყობილობებისა და წარმოებრივი დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი იჯარა (6 თვიდან რამდენიმე წლამდე) შემდგომი გამოსყიდვის შესაძლებლობით.

ლიზჰოლდი [ინგლ. leasehold] – (ეკონ.). გარკვეული დროის განმავლობაში ქონების იჯარით ფლობა.

ლიკვიდაცია [ფრანგ. liquidation] – (ეკონ., სამართ.). რისამე (წარმოების და მისთ.) საქმიანობის შეწყვეტა; დახურვა, გაუქმება; ვისიმე მოსპობა.

ლიკვიდური [ლათ. liquidus – მიმდინარე] – (ფინანს.). რის განაღდება, ფულად ქცევა ადვილად შეიძლება.

ლიკვიდურობა – რეალიზაციის, მატერიალურ ფასეულობათა ნაღდ ფულად ქცევის სიადვილე.

ლიმიტი [ლათ. limes – ზღვარი] – ნორმა, რომლის ფარგლებში დასაშვებია რისამე ხარჯვა, სარგებლობა; ზღვრული ნორმა.

ლინკაჟი [ინგლ. linkage] – (სამართ.). ბირჟის ნებართვა თავის კლიენტებს გაუყიდონ და იყიდონ მათგან კონტრაქტები მათი შემდგომი ყიდვა-გაყიდვით სხვა ბირჟაზე.

ლინჩი [ინგლ. lynch] – (სამართ.). ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) შეპყრობა და მოკვლა სასამართლო მოსმენის გარეშე.

ლისტიზმი [ინგლ. list – სია] – (ეკონ., სამართ.). 1. საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვების წესი. 2. აქციების შეტანა ბირჟის კოტირების სიაში. (საპირისპ. ელისტინგი).

ლიტენზია [ლათ. litentia უფლება, ნებართვა] – (ეკონ., სამართ.). 1. ნებართვა სხვადასხვა სახეობის საქმიანობისათვის. აქ: ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებისათვის და მისთ. 2. ნებართვის დამადასტურებელი საბუთი. **ლიცენზიარი** – ლიცენზიის გამცემი; **ლიცენზიატი** – ლიცენზიის მიმღები.

ლობი, ლობისტები [ინგლ. lobb – დერეფანი, კულუარები] – რიგ სახელმწიფოებში გაერთიანებები ან კერძო პირები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფო (განსაკუთრებით, საკანონმდებლო) ორგანოების საქმიანობაზე.

ლობიკა [ბერძ. logikē] – 1. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ. 2. მსჯელობისა და დასკვნების თანამიმდევრობა. 3. შინაგანი კანონზომიერება.

ლობიკური – 1. ლოგიკის კანონებზე დაფუძნებული. 2. თავისი ხასიათით, შინაგანი კანონზომიერებით გაპირობებული; თანამიმდევრული; კანონზომიერი.

ლობისტობა – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყო-

ფის, სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვის საკითხებს.

ლოგროლინგი – საკანონმდებლო ორგანოების წევრებს შორის „ხმებით ვაჭრობის“ პრაქტიკა.

ლოკალიზაცია [ლათ. localis – ადგილობრივი] – რისამე ადგილის შემოფარგვლა; გარკვეული ადგილიდან რისამე გავრცელებისათვის ხელის შეშლა.

ლოკალური [ლათ. localis] – განსაზღვრული ადგილისათვის დამახასიათებელი; ადგილობრივი.

ლოკაუტი [ინგლ. lock-out] – საწარმოთა დახურვა და მუშაკთა მასობრივი დათხოვნა გაფიცვების ჩახშობის მიზნით; ბლოკირება.

ლომბარდი – საკრედიტო დაწესებულება, რომელიც იძლევა სესხს მოძრავი ქონების დაგირავებით.

ლონდერი [ინგლ. launder] – ფულის „გარეცხვა“ (გათეთრება); უკანონო ან მოპარული ფულის გადარიცხვა ჩვეულებრივ საბანკო ანგარიშზე, რათა თავიდან აიცილონ ძიება.

ლოტი [ინგლ. lot] – აქ: 1. საქონლის მთელი პარტია ან მისი საერთო რაოდენობის ნაწილი, რომელიც გაიყიდება ან მიეწოდება ხელშეკრულებით. 2. აუქციონზე ერთად გაყიდული საგნების პარტია.

მ

მაგისტრალი [ლათ. magistralis – მთავარი, წარმმართველი] –

ცნება, ეკონომიკური ზრდის მათემატიკური თეორიის ტერმინი.

მაგნატი [ლათ. magnatus – მდიდარი, წარჩინებული] – მსხვილი სამრეწველო ფინანსური კაპიტალის მფლობელი.

მადამ [ინგლ. Madam] – (დიპლ.). ქალბატონო! პრდილობიანი მიმართვის ფორმა ქალისადმი (განსაკუთრებით უცნობისადმი). წარმოითქმის (იწერება) გვარის წინ.

მაკიაველიზმი – პოლიტიკა, რომელიც მიზნის მისაღწევად ყოველგვარ საშუალებას (მოტყუება, ვერაგობა, გამცემლობა, მკვლელობა და მისთ.) ამართლებს (იტალიელი პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის ნიკოლო მაკიაველის გვარის მიხედვით).

მაკლერი [გერმ. Makler] – სავაჭრო შუამავალი.

მაკროეკონომიკა [ბერძ. macros – დიდი და ეკონომიკა] – ეკონომიკური მეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას, მსხვილმასშტაბიან ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს.

მაკულატურა [ინგლ. maculature < ლათ. maculo – გასვრა] – უვარგისი ნაწარმი, რომელმაც თავისი ვადა დაასრულა; ქაღალდისა და მუყაოს გადასამუშავებელი ნარჩენები.

მანგონიზაცია – (სამართ.). ყალბი საქონლის დამზადება.

მანდატი [ლათ. mandatum] – დოკუმენტი, რომელიც გარკვეული პირის უფლებებსა და უფლებამოსილებას მოწმობს.

მანერა [ფრანგ. manière] – მოქმედების, ქცევის თავისებურება; ჩვევა.

მანკო [იტალ. manco] – (ეკონ). წონაში დაკლება საქონლის გაცემისას; საღაროს საერთო თანხის დანაკლისი.

მანიპულირება [ლათ. manipulatio] – 1. რაიმე რთული მოქმედება, რთული ხერხი ხელით მუშაობისას. 2. (გადატ.). ოინი, ყალბობა, დანაშაულობა.

მანიფესტი [ლათ. manifestus – აშკარა] – 1. უმაღლესი ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენის გამო. 2. პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წერილობითი საპროგრამო მიმართვა.

მარ – (დიპლ.). ისრაელში: თანამდებობის პირის ზრდილობიანი მიმართვის ფორმა მამაკაცისა და ქალისადმი. წარმოითქმის (იწერება) თანამდებობის წინ.

მარკა [გერმ. Marke] – საქონელზე, ნაწარმზე დასმული ნიშანი, რომელზედაც აღნიშნულია მისი დამზადების ადგილი, ხარისხი და სხვა მონაცემები.

მარკეტინგი [ინგლ. marketing < market – ბაზარი] – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გასაუმჯობესებლად ხორციელდება.

მარკეტ-მეიკერი [ინგლ. market maker] – საფონდო ბირჟის მაღალკვალიფიციური მუშაკი, ფასიანი ქაღალდების მენეჯერი.

მარკირება – [ფრანგ. marquer – აღნიშვნა] – მარკის დასმა ნაწარმზე.

მარკო [იტალ. marco] – (ფინანს.). მონეტის ფასის განსაზღვრა მისი წონის და არა ნომინალური ღირებულების მიხედვით.

მარშა [ფრანგ. marginal – განაპირა] – (ფინანს.). სხვაობა ბირჟის ბიულეტენში ნაჩვენებ საბირჟო საქონლის გაყიდვისა და ყიდვის ფასს შორის.

მარშინალიზმი [ფრანგ. marginal < ლათ. margo – კიდე, საზღვარი, უკიდურესი] – ეკონომიკური მიმდინარეობა, თეორია, რომელიც ეკონომიკურ პროცესებსა და მოვლენებს ზღვრული, ნამატი სიდიდეებიდან ან მდგომარეობიდან გამომდინარე ხსნის.

მარშინალური, მარჯინალური [ინგლ. marginal] – (ეკონ.). ზღვართან ახლოს არსებული, თითქმის საზარალო; კრიტიკული.

მარჯინი [ინგლ. margin] – პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ ფულსა და მასში გადახდილ თანხას შორის სხვაობა; მოგება.

მასმედია [ინგლ. massmedia] – კომუნიკაციის მასობრივი საშუალებები (პრესა, რადიო-ტელევიზია).

მაფია [ლათ. maffia] – (სამართ.). ფარულად ორგანიზებული, ჯგუფური დამნაშავეობა, ერთმანეთთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფოს კორუპირებული მოხელეებისა და ორგანოების მხარდაჭერით სარგებლობენ.

მაქსიმალიზმი [ლათ. maximus – უდიდესი] – (პოლიტ.). რაიმე უკიდურესი მოთხოვნის წამოყენება; გადაჭარბებულობა.

მაქსიმუმი [ლათ. maximum] – ყველაზე მეტი რაოდენობა რისამე. (საპირისპ. მინიმუმი).

მეგა [ბერძ. megas – დიდი] – დიდი ზომის, უზარმაზარი. **მეგაპოლისი** – თანამედროვე უზარმაზარი ქალაქი; **მეგაეკონომიკა** – მსოფლიო ეკონომიკა.

მედიატორი [ლათ. mediator – შუამავალი] – (სამართ.). მომრიგებელი, შუაგადი.

მედიო [ლათ. medio – შუაგული] – საბირჟო გარიგების შესრულების ვადა, რომელიც თვის შუა რიცხვში დგება.

მეზო [ბერძ. mesos – შუა, საშუალო] – შუალედური.

მეთოდი [ბერძ. methodos] – ხერხი, წესი, წესების სისტემა რაიმე მოღვაწეობაში.

მელონი – (ეკონ.). გასანაწილებლად განკუთვნილი მაღალი მოგება.

მეზიე, მუზიე – (დიპლ.). საფრანგეთში: ზრდილობიანი მიმართვის ფორმა მამაკაცისადმი. იწერება (წარმოითქმის) გვარის წინ.

მემორანდუმი [ლათ. memorandum – რაც უნდა გვახსოვდეს] – დიპლომატიური დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია რაიმე საკითხის ფაქტობრივი ან იურიდიული ანალიზი, სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია, თვალსაზრისი; მოკლე ჩანაწერი.

მენეჯერი [ინგლ. manage – მართვა, უფროსი, პატრონი] – პროფესიონალი მმართველი.

მენეჯმენტი [ინგლ. management] – ხელმძღვანელობის, მართვის კომპლექსური სისტემა.

მერკანტილიზმი [იტალ. mercante ვაჭარი] – XVI–XVIII საუკუნეების ეკონომიკური თეორია, რომლის თანახმად მთავარ როლს ეკონომიკაში, მოგების შექმნაში მიმოქცევის სფერო ასრულებს, ხოლო ერის სიმდიდრე ფულით განისაზღვრება.

მერკანტილური – (გადატ.). ვაჭრული, ანგარებიანი.

მერჩანდაიზინგი [ინგლ. merchandising] – საცალო სავაჭრო ქსელში საქონლის გასაყიდად მომზადება (სავაჭრო დახლების გაწყობა, ვიტრინების გაფორმება და სხვ.).

მეტა [იტალ. meta] – გარიგების ისეთი პირობა, როცა მხარეები მოგებასა და ზარალს თანაბრად იყოფენ.

მეცენატი – მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარი მფარველი (რომაელი პოლიტიკური მოღვაწის მეცენატის სახელის მიხედვით).

მიგრანტი [ლათ. migrans] – ადამიანი, რომელიც საცხოვრებლად გადადის ერთი ადგილიდან მეორეში.

მიგრაცია მოსახლეობის [ლათ. migratio] – ადამიანთა გადაადგილება.

მიკროეკონომიკა [ბერძ. mikros – მცირე] – ეკონომიკური მეცნიერების ნაწილი, რომელიც

საწარმოების (ფირმების) მასშტაბით მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და მოვლენებს სწავლობს.

მიქს-ფონდი [ინგლ. mixed – შერეული] – ისეთი ინვესტიციური ფონდი, რომელიც ფინანსებს მოძრავ და უძრავ ქონებაში აბანდებს.

მინიმუმი [ლათ. minimum] – ყველაზე ნაკლები რაოდენობა რისამე. (საპირისპ. მაქსიმუმი).

მისტერ – (დიპლ.). ინგლისში, აშშ-ში, ჩინეთში, კორეაში: ზრდილობიანი მიმართვის ფორმა მამაკაცისადმი. იწერება (წარმოითქმის) გვარის წინ.

მოდელობა ეკონომიკური [ლათ.-დან moditus, ფრანგ. modelle – ზომა, ნიმუში] – ეკონომიკური ობიექტებისა და პროცესების კვლავწარმოება შეზღუდულ, საცდელ ფორმებში.

მოდელობა [ფრანგ. moderne – უახლესი] – (ეკონ.). რაიმეს სრულყოფა, გაუმჯობესება, განახლება, ახალ ტექნიკურ პირობებთან და ხარისხობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მოდიფიკაცია [ლათ. modificatio – ცვლილება] – (ეკონ.). პროგრესული ცვლილებების შეტანა, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება, სახეშეცვლილი მოდელის შექმნა.

მოღუს-ვივენდი [ლათ. modus vivendi – ცხოვრების წესი] – (დიპლ.). 1. ფაქტობრივი ვიტარება, შექმნილი მდგომარეობა, მისი აღიარება; არსებობის საშუალება. 2. არსებული პირობები,

რომლებიც მოდავე მხარეთა შორის დროებით იძლევა ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობის საშუალებას.

მოღუს-პროცედენდი [ლათ. modus procedendi – ქცევის წესი] – დიპლომატიურ პრაქტიკაში ნიშნავს, თუ როგორ უნდა წარიმართოს საქმიანობა, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნებს შეესაბამება.

მონარქი [ბერძ. monarchos] – სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი (მეფე, იმპერატორი და სხვ.).

მონეტა [ლათ. moneta] – ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი და სხვ.) დამზადებული ფულის ნიშანი.

მონიტორინგი [ლათ. monitor – შემხსენებელი] – რაიმე მოვლენის უწყვეტი მეთვალყურეობა და ანალიზი.

მონოპოლია [ბერძ. monōpilia] – 1. ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც ერთი პირი ან კომპანია აკონტროლებს მთელ ბაზარს პროდუქციის მიწოდებაში. 2. (გადატ.). უპირატესობა, პირველობა რაიმე საქმეში. **მონოპოლიზაცია** – მონოპოლიის დამყარება.

მონოპსონია [ინგლ. monopsony] – (ეკონ.). სიტუაცია, როდესაც ერთი პირი ან კომპანია აკონტროლებს მთელ შესყიდვით საქმიანობას გარკვეულ ბაზარზე.

მორატორიუმი [ლათ. moratorium – შემაკავებელი] – 1. საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა შეთანხმება რაიმე ქმედები-

საგან განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით თავშეკავებაზე. 2. (ეკონ.). აღებული ვალდებულებების შესრულების გადავადება განსაზღვრული დრო-ით რაიმე პირობის შესრულებამდე ან საგანგებო მდგომარეობის (მაგ., ომის, სტიქიური უბედურების) გამო.

მოტივაცია [ფრანგ. motif] – (ეკონ., სამართ.). 1. ვისიმე განზრახვა საქმიანობისადმი რაიმე მიზნის მისაღწევად. 2. რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევი მიზეზი.

მუნიციპალიტეტი [გერმ. Munizipalität] – ადგილობრივი თვითმმართველობის (ქალაქის) ორგანო.

მუტაციის მუტაციის [ლათ. mutatis mutandis] – აუცილებელი შესწორებებითა და ცვლილებებით – (დიპლ.). საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში გამოყენებული ტერმინი. ნიშნავს: შეცვლას იმისა, რაც აუცილებლად შესაცვლელია; შესაბამისი განსხვავებების გათვალისწინებას; ცვლილებას, რომელიც გამომდინარეობს არსებული გარემოებებიდან.

6

ნაზდაქი [ინგლ. NASDAQ – National Association of Securities Dealers Automatic Quotations] – ფასიანი ქაღალდების დილერების ეროვნული ასოციაციის ავტომატიზებული კოტირების სისტემა აშშ-ში.

ნანო [ბერძ. νῦν] – რაიმე სიდიდის მემილიარდული ნაწილი (10⁻⁹).

ნანოტექნოლოგია – ატომებისა და მოლეკულების მანიპულირების, შეკავშირებისა და მოწესრიგების გზით 1 დან 100 ნმ-მდე ზომის ფუნქციონალურად გამოსადეგი ხელსაწყოების, მასალებისა და სისტემების შექმნა. ნანოტექნოლოგია ფართო გაგებით გამოიყენება და მოიცავს ნანომეცნიერებასაც, როგორც მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებში ნანომიმართულებით დაგროვებულ სისტემატიზებულ ცოდნას. ტერმინი ნანოტექნოლოგია 1974 წელს პირველად გამოიყენა იაპონელმა პროფესორმა ნორიო ტანიგუჩიმ.

ნატურალიზაცია [ლათ. naturalis – ბუნებრივი] – სახელმწიფოს მიერ მოქალაქეობის მინიჭება უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირისათვის მისი თხოვნის საფუძველზე.

ნატურალური [ლათ. naturalis – ბუნებითი] – ნამდვილი; ბუნებრივი; ჩვეულებრივი; ნორმალური; გასაგები.

ნაცია [ლათ. natio] – ერი.

ნაციონალიზაცია [ფრანგ. nationalisatio] – (ეკონ., სამართ.). კერძო საკუთრების გასხვისება ან გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში.

ნაციონალიზმი [ინგლ. nationalism] – (პოლიტ.). საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის სურვილი. **ნაციონალისტი** – ქვეყნის

დამოუკიდებლობის მსურველი ადამიანი.

ნაციონალური – ეროვნული; სახალხო; საქვეყნო. **ნაციონალური რეჟიმი** – სამართლებრივი რეჟიმის სახე, რომელიც ვრცელდება მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

ნეგატიური [ლათ. negativis] – უარყოფითი. (საპირისპ. პოზიტიური).

ნეგოციანტი [ლათ. negotians – ვაჭარი] – ბითუმად მოვაჭრე, კომერსანტი, რომელიც მსხვილ, ძირითადად, საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებს.

ნეიტრალიტეტი [გერმ. Neutralität] – საერთაშორისო სამართალში: სახელმწიფოს განსაკუთრებული საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი; სახელმწიფოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც იგი არ მონაწილეობს ომში და მეომარი სახელმწიფოების მიმართ ერთნაირი პოზიცია უკავია.

ნეო [< ბერძ. neos – ახალი] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს ახალს. მაგ., ნეორეალიზმი, ნეოპოლიტიკა და სხვ.

ნეპოტიზმი [ლათ. nepos – შთამომავალი] – (გადატ.). თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი ნათესავების მფარველობა; „ნათლიმამობა“.

ნეტო [ლათ. netto] – საქონლის წმინდა წონა საფუთავის გარეშე. (საპირისპ. ბრუტო); საქონლის

ფასი ფასდაკლების გარეშე; წმინდა შემოსავალი ხარჯების გამოკლებით.

ნიველირება [ფრანგ. niveler] – (გადატ.). განსხვავების მოსპობა.

ნიუანსი [ფრანგ. nuance] – სულ მცირე განსხვავება რამეში.

ნიუს-მეიკერი [ინგლ. newsmakers – ახლის მკეთებელი] – მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის მოღვაწე, რომელსაც საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოვლენათა მსვლელობაზე არსებითი გავლენა აქვს.

ნიუს-რელიზ [ინგლ. newsreleasa] – ხელშეკრულების დადების დროს გამოყენებული მასალები საქონლის ან თვით კომპანიის შესახებ.

ნოვაცია [ლათ. novatio – განახლება] – 1. არსებული ტექნიკის შეცვლა. 2. სამოქალაქო სამართალში: მხარეების შეთანხმება მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების მეორეთი შეცვლის შესახებ.

ნომინალური [ლათ. nominalis] – 1. სახელობითი: ფასის ამოსავალი მნიშვნელობა; ფულის, ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება (მითითებული ფულის ნიშანზე, ფასიან ქაღალდზე). 2. სიმბოლური; პირობითი.

ნომინაცია [ლათ. nominatio] – სახელის დარქმევა; კანდიდატის დასახელება, წამოყენება.

ნონსენსი [ინგლ. nonsense] – უაზრობა, სისულელე.

ნორმა [ლათ. norma] – (სამართ.). დაკანონებული, დაწე-

სებულის, სავალდებულოდ აღიარებული წესი.

ნორმატივი [ლათ. normatio] – უნივერსალური, ფართოდ გავრცელებული ნორმა.

ნოსტრო-კონტო [იტალ. nostro conto – „ჩვენი ანგარიში“] – ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშები, რომელთა მიხედვითაც სრულდება ყველა ოპერაცია ბანკის დავალებათა შესასრულებლად კორესპონდენტის მიერ.

ნოტა [ლათ. nota, ინგლ. note – ნიშანი, შენიშვნა] – ოფიციალური დიპლომატიური წერილობითი მიმართვა ერთი სახელმწიფოსი მეორისადმი.

ნოტაბენე [ლათ. nota – ნიშანი bene – „შენიშნე კარგად“] – შენიშვნა ტექსტში იმ ადგილას, რომელზედაც სურთ ყურადღების გამახვილება (ხშირად სიტყვის მაგიერ იწერება ასოები NB).

ნოტარიი [ლათ. notarius] – სამსახური, რომელიც იურიდიულად ადასტურებს სხვადასხვა იურიდიულ აქტს (ხელშეკრულება, ანდერძი, მინდობილება და მისთ.), დოკუმენტების ასლებსა და მათზე ხელმოწერების ნამდვილობას.

ნოტარიუსი [ლათ. notarius – მწერალი, მდივანი] – თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაა სხვადასხვაგვარი იურიდიული აქტების (ხელშეკრულება, მინდობილება და მისთ.) დამოწმება, გაფორმება.

ნოტისი [ინგლ. notice] – უწყება, შეტყობინება; წერილობითი შეტყობინება იმის შესახებ,

რომ გემი მზადაა დატვირთვა ან გადმოტვირთვისათვის.

ნოტიფიკაცია [ლათ. notifico გაუწყებ, ვაცხადებ] – 1. (დიპლ.). დიპლომატიურ და სახელშეკრულებო პრაქტიკაში: შეტყობინების გავრცელებული ფორმა, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს საგარეო უწყების, დიპლომატიური (საკონსულო) წარმომადგენლის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან მისი თანამდებობის პირის მიერ ნოტის ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის საშუალებით. 2. (ეკონ.). შეტყობინება, რომელსაც თამასუქის მფლობელი უგზავნის მის გამცემს თამასუქის გაპროტესტების შესახებ.

ნოუ-ჰაუ [ინგლ. Know-how – ვიცი როგორ] – მეცნიერულ-ტექნიკური, ტექნოლოგიური, კომერციული, მენეჯმენტური ან სხვა სახის სიახლე, რომელიც საზოგადოებისათვის უცნობია.

ნუპორიში [ფრანგ. nouveau riche – ახალი მდიდარი] – სწრაფად გამდიდრებული ადამიანი, მდიდარი მეტიწარა, რომელიც გასულია საზოგადოების მაღალ ფენებში.

ნულიზაცია [ლათ. nullificatio – მოსპობა < nullius – არავითარი] – იურიდიული დოკუმენტისათვის კანონიერების ჩამორთმევა; ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების მიმართ – მათი გაუქმება.

ნუმიზმატიკა [ლათ. numisma – მონეტა] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ლითონის ფულის წარმოშობას.

ნუნცია, ნუნციუსი [იტალ. nunzio, ლათ. nuntius] – ვატიკანის დიპლომატიური წარმომადგენელი იმ სახელმწიფოში, რომელთანაც დამყარებული აქვს დიპლომატიური ურთიერთობები.

ო

ობიექტი [ლათ. objectum – საგანი, objectivus – საგნობრივი] – 1. რაც ჩვენი ცნობიერების გარეთ, მისგან დამოუკიდებლად არსებობს. 2. მიუკერძოებელი. 3. შეფასებული საერთო პოზიციიდან და არა დაინტერესებული პირების მხრიდან.

ოვლიგაცია [ლათ. obligatio – ვალდებულება] – (ფინანს.). ფასიანი ქაღალდი ერთ წარმომდგენზე, რომელიც შემოსავალს იძლევა მოგების ან პროცენტის სახით; აუცილებლად გასანაღდებელი ვალდებულება.

ოვლიგო [იტალ. obbligo – ვალდებულება] – (ფინანს.). 1. ფირმის დავალიანებათა ჯამი თამასუქების მიხედვით. 2. ბანკში არსებული პირადი ანგარიშების დავთარი, რომელშიც შეაქვთ ცალკეულ პირთა დავალიანება თამასუქების მიხედვით.

ობსტრუქცია [ლათ. obstructio – შეფერხება, დაბრკოლება] – სხდომის (მაგ., პარლამენტის), კრების, ვისიმე გამოსვლის ჩაშლა წამოძახილებით, ხმაურით, გრძელი, უსაგნო სიტყვით და მისთ. **ობსტრუქციული** – წინააღმდეგობის შემქმნელი.

ოდიოზური [ლათ. odiosus – საძულველი] – ვინც ან რაც უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს; მეტისმეტად უსიამოვნო, არასასურველი.

ოვალური ოფისი [ინგლ. Oval Office] – აშშ-ის პრეზიდენტის პერსონალური კაბინეტი თეთრ სახლში.

„ოვერბოტი“ [ინგლ. overbought – ჭარბი გაყიდვა] – (ეკონ.). რაიმე საქონელზე ფასების მკვეთრი ზრდა ამ საქონელზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი გადიდების გამო.

ოვერდრაფტი [ინგლ. overdraft – ზეგეგმით] – (ფინანს.). ბანკის მოკლევადიანი კრედიტის სახეობა, როცა გადასახდელის სიდიდე აჭარბებს სახსრების ნაშთს კლიენტის ანგარიშზე.

„ოვერსოლდი“ [ინგლ. oversold – ჭარბი მიწოდება] – რაიმე საქონელზე ფასების მკვეთრი დაცემა ბაზარზე ამ საქონლის დიდი მიწოდების გამო.

„ოვერტაიმი“ [ინგლ. overtime – ვადის ზევით] – საქონლის ჩატირთვა-გადმოტვირთვის არასამუშაო, ზედმეტ დროში, რომელიც გადიდებული ტარიფით ნაზღაურდება.

ოკეი! [ინგლ. okay!] – დასტურის შეძახილი – კარგი! კი ბატონო! არის!

ოკუპაცია [ლათ. occupatio] – რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავება.

ოლიგარქია [ბერძ. oligarchia, olíos – მცირერიცხოვანი და arche – ბატონობა] – სახელმწიფო მმართველობაში ადამიანთა მცირე ჯგუფის პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა.

ოლიგოპოლია [ბერძ. oligos – პატარა და pōleō – ვყიდი] – (ეკონ.). რაიმე საქონლის წარმოებასა და ვაჭრობაში რამდენიმე მსხვილი ფირმის ბატონობა.

ოლიგოპსონია [ბერძ. oligos – პატარა და psonia – ყიდვა] – (ეკონ.). სიტუაცია ბაზარზე, როცა საქონლის გაყიდვები (მწარმოებლები) მყიდველებზე მნიშვნელოვნად მეტია.

ომბუდსმენი [ინგლ. ombudsman] – საპარლამენტო რწმუნებული, ოფიციალური პირი, რომელიც განიხილავს საზოგადოების საჩივრებს სამთავრობო დეპარტამენტების თუ სხვა მსხვილი ორგანიზაციების მიმართ.

ომოლოგაცია [ინგლ. omologatio] – (ეკონ.). რაიმე საქონლის ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების ამ საქონლის მომხმარებელი ქვეყნის სტანტარტებთან და ჩვეულებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ონკოლი [ინგლ. on call – მოთხოვნისთანავე] – (ფინანს.). 1. სპეციალური მიმდინარე ანგარიში, რომელსაც ხსნიან ბანკები იმ პირობით, რომ სესხი დაიფარება ყოველ მომენტში ერთ-ერთი მხარის (ბანკის ან კლიენტის) მოთხოვნით. 2. საფონდო ბირჟაზე ფასიანი გაყიდვის

ერთ-ერთი ფორმა; ზარამდე, გამოძახილემდე.

ონკოლური ბარიბეა – საბაზრო სიტუაცია საფონდო ბირჟაზე, როცა ფასიანი ქაღალდის ფასი მყიდველის მოთხოვნამდე არ ფიქსირდება.

ონ-ლაინი [ინგლ. on-line – ხაზზე] – საკრედიტო ბარათის ემიტენტის კომპიუტერთან პირდაპირი და უშუალო კავშირი, რომელიც გარიგების დადების მომენტში ამ ბარათის გამოყენებით ხორციელდება.

ოპერაცია [ლათ. operatio – ქმედება] – უნივერსალური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საქმიანობის რაიმე სახეობას. მაგ., ეკონომიკური (მათ შორის, კომერციული, მენეჯმენტური, ფინანსური და მისთ.), იურიდიული და სხვ.

ოპოზიცია [ლათ. oppositio – დაპირისპირება] – 1. ვინმეს წინააღმდეგ ქმედება, წინააღმდეგობა. 2. უდიდესი პოლიტიკური პარტია, რომელიც ეწინააღმდეგება მთავრობას.

ოპონენტი [ლათ. opponens – ვინც ეკამათება ვისმე] – (პოლიტ.). საწინააღმდეგო აზრის მქონე პირი.

ოპორტუნიზმი [ლათ. opportunus – სარგებელიანი] – (პოლიტ.). მოლაპარაკების დროს ხელშემკერედი მხარის მისწრაფება ისე ჩამოაყალიბოს შეთანხმების პირობა, რომ უპირატესობას მიიღწიოს პარტნიორთან მიმართებაში, გადააკისროს მას დანახარჯების დიდი ნაწილი.

ოპტაცია [ლათ. optatio – არჩევანი, სურვილი] – (სამართ.). მოქალაქეობის ამორჩევა; ასეთი უფლება ენიჭება იმ ტერიტორიის მოსახლეობას, რომელიც ერთი სახელმწიფოდან მეორის მფლობელობაში გადადის.

ოპტიმალურობა [ლათ. optimus – საუკეთესო] – ყველაზე ხელსაყრელი, შესაფერი; ეკონომიკური ქცევისა და ქმედების საუკეთესო ვარიანტი.

ორატორი [ლათ. orator] – (პოლიტ.). 1. პირი, რომელიც საჯაროდ წარმოთქვამს სიტყვას. 2. ადამიანი, რომელსაც ეხერხება საჯაროდ სიტყვების წარმოთქმა; მტკერმეტყველი.

ორგანიზაცია [ლათ. organisatio – ვადღევ მწყობრ სახეობას] – 1. სისტემაში მოყვანა, მოწესრიგება, მოწყობა. 2. მმართველობის შემადგენელი ნაწილი. 3. ადამიანთა გაერთიანების ფორმა; დაწესებულება.

ორგანოლეპტიკური [ბერძ. organon – ორგანო და leptikos – შემსუენთქველი] – უშუალოდ გემოთი, ყნოსვით, მხედველობით შემოწმებული.

ორდერი [ბერძ. Order < frang – რიგი, წესი] – ბრძანება წერილობითი ფორმით, დოკუმენტი, რომელიც მის მფლობელს რაიმე ქმედების (მაგ., ფულის ან საქონლის მიღება, დამნაშავეს დაპატიმრება და სხვ.) განხორციელების უფლებას აძლევს.

ორდინარული [ლათ. ordinalis] – რიგითი, რიგობრივი] – რაც

არაფრით არ გამოირჩევა; ჩვეულებრივი.

ორთოქსული [ბერძ. Orthodoxos – მართლმორწმუნე] – რაიმე მოძღვრების, შეხედულების განუხრელად მიმდევარი; თანამიმდევრული.

ორიგინალი [ლათ. originalis – თავდაპირველი] – რაიმე დოკუმენტის თავდაპირველი, ძირითადი ეგზემპლარი; დედანი.

ორიენტაცია [ლათ. orientation] – ეკონომიკური ან იურიდიული სუბიექტის ქმედების გარკვეული მიმართულების ამორჩევა.

ოვერმენტი, ოვერორი – წინადადების გამგზავნი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

ოვერტი [ლათ. offertus – შეთავაზებული] – სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით შეთავაზებული წინადადება რაიმე ხელშეკრულების დადების შესახებ.

ოფისი [ინგლ. office] – საერთაშორისო ორგანიზაციის, ფირმის ოფიციალური შტაბ-ბინა, შენობა, სადაც იმყოფება ოფიციალური წარმომადგენლობა, მისი ხელმძღვანელობა.

ოფიციალური [ლათ. officialis – თანამდებობრივი] – ხელისუფლების, ადმინისტრაციის ან თანამდებობის პირის მიერ დადგენილი, მათგან მომდინარე. მაგ., ოფიციალური დოკუმენტი. 2. მთავრობის საბუთების, საქმიანი ქაღალდების დამახასიათებელი. მაგ., ოფიციალური სტილი. 3. რაც ყველა წესის, ყველა ფორმალუბის დაცვით ხდება. მაგ., ოფიციალური მიწვევა. 4.

(გადატ.). უბრალოებას მოკლებული; თავშეკავებული. მაგ., ოფიციალური ურთიერთობა.

ოფციონი [ლათ. optio – არჩევა, სურვილი, ნება] – არჩევის უფლება, რომელიც მიიღება გარკვეული გასამრჯელოთი; ვინმესთვის შეთავაზება კონტრაქტის მოგვიანებით დადებასთან დაკავშირებით; ხელშეკრულების მონაწილისათვის გარკვეული ვარიანტის შერჩევის უფლება. შეთანხმება, რომელიც ბირჟაზე ყიდვა-გაყიდვის გარიგების ერთ-ერთ მხარეს აძლევს ხელშეკრულების ალტერნატიულ პირობებს შორის ამორჩევის უფლებას; მოლაპარაკების პირობების თანახმად, ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლება ამოირჩიოს მის მიერ მიღებული მოვალეობის შესრულების წესები, ფორმები, მოცულობა ან თვით უარის თქმაც ვალდებულების შესრულებაზე შეთანხმებით განსაზღვრულ გარემოებათა წარმოშობისას.

ოფშორი [ინგლ. off-shore] – ნაპირს გარეთ, სანაპიროდან დაშორებით, ღია ზღვაში; კომერციული საქმიანობის ორგანიზაციის სპეციფიკური ფორმა. სპეციალური ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი სახეობა.

ოფშორული ზონა – კონკრეტული სახელმწიფო ან მისი ტერიტორიის ნაწილი, სადაც არარეზიდენტებისათვის (დროებით მცხოვრები უცხოელები) მიმზიდველი (კეთილსასურველი) ეკონომიკურ-სამართლებრივი რეჟიმებია დაწესებული.

3

„პაბლიკ-რელეიშნს“ [ინგლ. public relations – საზოგადოებრივი კავშირები] – საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არაკომერციული კავშირების სისტემა, მასმედიის საშუალებებით საზოგადოებრივ შეხედულებაზე ზემოქმედება.

პაბლისიტი [ინგლ. publicity – საჯაროობა] – მარკეტინგული ღონისძიებებით (საქონლის რეკლამა, მყიდველთა მატერიალური სტიმულირება, სუვენირების დარიგება, ნიმუშების იაფად გაყიდვა და სხვ.) მომხრებლებზე ზემოქმედება; პროპაგანდა.

პათეტიკური [ბერძ. pathētikos] – პათოსით აღსავსე; ამაღლებული.

პათოსი [ბერძ. pathos] – აღფრთოვანება, აღმაფრენა, მგზნებარება.

პაი [თურქ. pay – წილი] – (ეკონ., ფინანს.). ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ რაიმე საერთო საქმეში თითოეულის მიერ შეტანილი წილი.

პაკეტი [გერმ. Paket] – აქ: საკონტროლო პაკეტი – (ფინანს.). სააქციო საზოგადოების აქციების საერთო რაოდენობის უმეტესი ნაწილი (ჩვეულებრივ, 50%-ს + 1 ხმა), რომელიც მის მესაკუთრეს ამ საზოგადოების მენეჯმენტში გადამწყვეტი ხმის უფლებას აძლევს.

პალატა [ლათ. palatium – სასახლე] – 1. ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესი საკანონმდებლო

ორგანო ან მისი ერთ-ერთი საკანონმდებლო ინსტანცია, შემადგენელი ნაწილი (მაგ., ქვედა პალატა, ზედა პალატა, თემთა პალატა, ლორდთა პალატა). 2. სახელმწიფო სტრუქტურა, დაწესებულება (მაგ., კონტროლის პალატა, წიგნის პალატა, სავაჭრო პალატა და სხვ.).

პან [ინგლ. pan] – პრეფიქსი, რომელიც ნიშნავს საყოველთაოს, სრულიადს. მაგ., პანამერიკული და სხვ.

პანდექტები [ლათ. pandectae < ბერძ.] – იგივეა, რაც დიგესტები.

პანეგირიკი [ბერძ. panēgyrikos] – 1. ორატორის სახოტბო სიტყვა ვისიმე პატივსაცემად. 2. (გადატ.). ვისიმე გადაჭარბებული ქება-დიდება.

პანიკა [ბერძ. panikos] – უეცარი შიში, ძრწოლა, თავზარი, რომელიც შეიპყრობს ცალკეულ ადამიანს ან ხალხს; ასეთი შიშით გამოწვეული საერთო მღელვარება, არეულობა.

პარადოქსი [ბერძ. paradoxos] – უცნაური, მოულოდნელი – საყოველთაოდ აღიარებული საგან მკვეთრად, საპირისპიროდ განსხვავებული აზრი.

პარაზიტი [ბერძ. parazitos] – აქ: (გადატ.). ადამიანი, რომელიც სხვისი შრომით ცხოვრობს; მუქთახორა.

პარალელი [ბერძ. parallēlos] – აქ: მოვლენა, რომელიც შეიძლება სხვა ანალოგიურ მოვლენას შეედაროს.

პარალიზება [ფრანგ. paralyser] – (გადატ.). (ეკონ., სამართ.).

მოქმედების უნარის ან საშუალების დაკარგვა.

პარამეტრი [ბერძ. parametreō – ეუფარდება] – რაიმე საგნის ან მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე ან სიდიდეები.

პარაფირება [ფრანგ. parapher – შემოკლებული ხელმოწერა] – (დიპლ.). საერთაშორისო ხელშეკრულების (ან მისი ცალკეული მუხლების) წინასწარი ხელმოწერა, ინიციალების აღნიშვნით, მოლაპარაკების მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელშეკრულების ტექსტზე თანხმობის ნიშნად.

პარიტეტი [ლათ. paritas – თანასწორობა] – 1. (ეკონ.). სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის შეფარდება ოქროთი. 2. სხვადასხვა სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების ტოლფასოვნობა. 3. (სამართ.). მხარეთა თანასწორობის პრინციპი უთანხმოების, კონფლიქტის გარჩევისას. 4. საერთაშორისო ურთიერთობებში – მოლაპარაკების წარმოება მხარეთა თანასწორობის საფუძველზე, რაც გამოხატავს მოლაპარაკების მონაწილეთა შეთანხმებას, გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები და დადონ ურთიერთმისაღები ხელშეკრულება.

პარიტეტული – (სამართ.). მხარეთა თანასწორობაზე დაფუძნებული.

პარლამენტი [ფრანგ. parlement] – ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც

ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას.

პარლამენტარიზმი – (პოლიტ.). სახელმწიფო მმართველობის სისტემა, რომლის სათავეში პარლამენტია.

პაროლი [ფრანგ. parole – სიტყვა] – წინასწარ დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც რიგ ორგანიზაციებში ან ვითარებაში თავისიანების გამოსაცნობად იყენებენ.

პარტია [ფრანგ. parti] – (პოლიტ.). საერთო მიზნებით, ინტერესებით, გაერთიანებულ პირთა ჯგუფი.

პარტიკულარიზმი [ლათ. particularis – ნაწილობრივი, ცალკეული] – (პოლიტ.). 1. სახელმწიფოს ზოგიერთი ნაწილის მისწრაფება განცალკევებისაკენ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ. 2. (ეკონ.). კერძო; კერძობა.

პარტნიორობა [ინგლ. partnership] – ფიზიკური ან იურიდიული პირების ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაციის იურიდიული ფორმა; **პარტნიორი** – თანამონაწილე რაიმე საქმიანობაში.

პასივები – ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ წაყენებული ყველა ოფიციალური მოთხოვნა.

პასივი [ლათ. passivus – უმოქმედო] – 1. (ბუხჰალტ.). ფირმის ვალებისა და ვალდებულებების ერთობლიობა. (საპირისპ. აქტივი). 2. (გადატ.). რისამე უარყოფითი მხარე.

პასიური [ლათ. passivus – უმოქმედო, სიზანტე, არაენერგიულობა. (საპირისპ. აქტიური).

პასკილი [იტალ. Pasquill] – ცილისმწამებლური, შეურაცხყოფელი სიტყვა ან წერილი, ნაწარმოები.

პასპორტი [ფრანგ. passeport] – ვისიმე პირადობის, მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პატენტი [ლათ. litteral patentes – აღმოჩენა, სიგელი] – 1. მოწმობა, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებას, ავტორობას გამოგონებაზე. 2. მოწმობა, რომელიც იძლევა ნებართვას რაიმე სახეობის საქმიანობის (ვაჭრობა, რეწვა) შესახებ.

პატერნალიზმი [ლათ. paternus – მამობრივი] – (პოლიტ.). ვინმეს მიმართ მფარველობითი დამოკიდებულება.

პატრიმონიალური [ლათ. patrimonialis] – (სამართ.). მემკვიდრეობითი, გვაროვნული.

პატრიოტიზმი [ბერძ. patriōt – თანამემამულე] – თავისი სამშობლოს მოყვარული, ერთგული ადამიანი.

პაუპერიზმი [ლათ. pauper – ღარიბი] – (ეკონ.). მასიური გაღატაკება, რასაც განაპირობებს ძალიან დაბალი შემოსავლები, უმუშევრობა.

პაუშალური [გერმ. pauschale] – (ფინანს.). მთლიანი გადასახდელი თანხა; ლიცენზიის გაყიდვის ფასი.

პაქტა სუნტ სერვანდა [ლათ. *pacta sunt servanda* – ხელშეკრულება უნდა სრულდებოდეს] – საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმად მხარეებმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ საერთაშორისო ხელშეკრულების ვალდებულებები.

პაქტი [ლათ. *pactum* – შეთანხმება] – (სამართ.). ორმხრივი (მრავალმხრივი) საერთაშორისო ხელშეკრულების სახელწოდება, ჩვეულებრივ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისა (მაგ., სახელმწიფოთა თავდაუსხმელობის, კოლექტიური უსაფრთხოების და მისთ.).

პაციფიზმი [ლათ. *pacificus* – სამშვიდობო] – ლიბერალური მიმდინარეობა, რომლის მონაწილეები ყოველგვარი ომების (მათ შორის, სამართლიანი) წინააღმდეგ ილაშქრებენ და მათ აღკვეთას სამშვიდობო მანიფესტაციებით ცდილობენ. ემხრობიან სახელმწიფოთა შორის წამოჭრილი დავების საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოების გზით გადაწყვეტას.

პენსია [ლათ. *pensio* – გადახდა] – ფულადი დახმარება, რომელსაც რეგულარულად იღებენ მოქალაქეები კანონით დადგენილ შემთხვევებში (ასაკი, ინვალიდობა და სხვ.).

პერსონა გრატა [ლათ. *persona grata* – სასურველი პირი] – დიპლომატი, რომლის დანიშვნის თაობაზე აუცილებლად გაცემულია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობა (აგრემანი).

(საპირისპ. *persona non grata* – არასასურველი პირი).

პლებისციტი [ლათ. *plebiscitum*; *plebs* – უბრალო ხალხი, *scitum* – გადაწყვეტილება] – კენჭისყრის მეშვეობით რაიმე საკითხზე მოსახლეობის აზრის გამოკითხვის ერთ-ერთი საშუალება. (იხ. აგრეთვე რეფერენდუმი).

პლურალიზმი [ინგლ. *pluralism*] – (პოლიტ.). სისტემა, სადაც ნებადართულია სხვადასხვა პოლიტიკური თუ რელიგიური ჯგუფების თანაარსებობა ერთ საზოგადოებაში.

პოლისი [ბერძ. *polis*, ფრანგ. *polisie*, იტალ. *polizza* – ქვითარი] – (ეკონ.). სიცოცხლის, ქონების და სხვათა დაზღვევის მოწმობა, ხელშეკრულება.

პოლიტიკა [ბერძ. *politika*] – 1. ქვეყნის მართვის ხელოვნება, მეთოდი. 2. სახელმწიფო ხელისუფლების, პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მოღვაწეობა შიდასახელმწიფოებრივი მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში. **პოლიტიკოსი** – პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული პირი. 2. (გადატ.). მოქმედება რისამე მისაღწევად; სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, დამოკიდებულება.

პოლუტერი [ინგლ. *polluter*] – პირი ან კომპანია, რომელიც გარემოს აბინძურებს.

პოპულისტი [ლათ. *populus* – ხალხი] – პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ უბრალო ხალხს მთავრობაში მეტი უფლებები უნდა ჰქონდეს.

პორტო-ფრანკო [იტალ. porto-franco – თავისუფალი პორტი] – ნავსადგურის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ნებადართულია საქონლის უბაჟოდ შეტანა-გატანა.

პორტფელი [ფრანგ. portefeuille, portfer – ტარება, feuille – ფურცელი] – კრებისითი ცნება, რომელიც ნიშნავს: 1. ეკონომიკური საქმიანობის აღმნიშვნელი დოკუმენტების ერთობლიობას. 2. (გადატ.). თანამდებობას (მაგ., მინისტრის პორტფელი).

პრეამბულა [ფრანგ. preambule – შესავალი] – საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი, რომელშიც ჩამოთვლილია ხელშეკრულების მხარეები, მისი დადების მოტივები, მიზნები, ამოცანები და პრინციპები.

პრევალირება [ინგლ. prevail] – ჭარბობა; ბატონობა; დაძლევა; უპირატესი ძალის ქონა.

პრევენციული, პრევენტული [ლათ. praeventus – გამაფრთხილებელი, დამცველი] – (სამართ.). წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად; პროფილაქტიკური.

პრეზენტაცია [ლათ. presentatio] – (ეკონ.). წარმოდგენა, წარდგენა.

პრეზიდენტი [ლათ. praesidens – თავში მჯდომი] – 1. რესპუბლიკური მმართველობის უმეტეს ქვეყნებში სახელმწიფოს მეთაური. 2. ზოგიერთი დაწესებულების (ფირმა, კომპანია, საზოგადოება) ხელმძღვანელი.

პრეზუმცია [ლათ. praesumptio] – (სამართ.). 1. ის, რასაც

ფაქტებზე დაყრდნობით ვარაუდობენ. 2. რაიმე ფაქტის აღიარება სარწმუნოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა. **უდანაშაულობის პრეზუმფცია** – დანაშაულის დამტკიცებამდე ბრალდებულის აღიარება უდანაშაულოდ.

პრემიკურანტი [ფრანგ. prix – ფასი და courant – მიმდინარე] – საქონელზე ან მომსახურებაზე ფასების კრებული, ცნობარი.

პრეიუდიციური [ფრანგ. prejudiciel] – (სამართ.). უფლებრივი საკითხი, რომლის წინასწარი გადაჭრის გარეშე არ შეიძლება სასამართლოში გაირჩეს მოცემული საქმე.

პრემია [ლათ. praemium – ჯილდო] – 1. ფულადი ან მატერიალური ჯილდო რაიმე დარგში დამსახურებისათვის. 2. მუშაკთა დამატებითი ანაზღაურება. 3. (ფინანს.). განსხვავება ფასიანი ქაღალდის საბირჟო და ნომინალურ ღირებულებას შორის. 4. თანხა, რომელსაც ოფციონის მყიდველი უხდის მის გამყიდველს გარკვეული უფლებების შესაძენად. 5. დაზღვევის გადასახადი.

პრემიერი [ფრანგ. premier – პირველი] – ზოგიერთი ქვეყნის ან დიდი ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, მთავრობის ხელმძღვანელი. იგივეა რაც პრემიერ-მინისტრი.

პრეროგატივა [ლათ. praerogativus – პირველი ხმის მიმცემი] – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან თანამ-

დებობის პირის განსაკუთრებული უფლება, უპირატესობა.

პრეს-ატაშე [ფრანგ. presse-attache] – (დიპლ.). დიპლომატიური წარმომადგენლობის (საელჩო, მისია და სხვ.) თანამშრომელი პრესის საკითხებში.

პრეს-რელიზი [ფრანგ. presse და ინგლ. release – გამოშვება] – ოფიციალური ორგანოს ან პირის მიერ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადაცემული განცხადება.

პრეტენზია [ლათ. praetensio – მოთხოვნის უფლება] – 1. რაიმეზე თავისი უფლების გამოცხადება, რისამე მოთხოვნა. 2. უკმაყოფილების გამოხატვა. 3. ადამიანის მისწრაფება რაიმე თვისების, ღირსების მინიჭების შესახებ.

პრეფერენცია [ლათ. praefereantia – უპირატესობის მინიჭება] – ორ ან მეტ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების სფეროში დადებული ხელშეკრულებით ერთმანეთისათვის მინიჭებული უპირატესობა, შეღავათი (მაგ., გადასახადის შემცირება და სხვ.). **პრეფერენციული** – უპირატესი; შეღავათიანი.

პრევიციტი, პროვიციტი – (ფინანს.). შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე. ბიუჯეტის დადებითი სალდო.

პრეცედენტი [ლათ. praecedens – წინამორბედი] – 1. შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულს ან გამართლებას შემდეგდროინდელი მსგავსი შემთხვევებისათვის. 2. საერთაშორისო სამართალში: საერთაშო-

რისო ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტის საშუალება, რომლის გამოყენება შეიძლება სხვა ანალოგიური შემთხვევის განხილვისას მაგალითის სახით. იგი არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის წყაროს, თუმცა, საერთაშორისო სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს, როგორც დავის გადაწყვეტის დამხმარე საშუალება. 3. (სამართ.). სასამართლოს ან სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოს ადრინდელი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ნიმუშად მსგავსი საკითხების გადაწყვეტისას. 4. ის, რასაც წინათ ჰქონდა ადგილი.

პრივატიზება [ლათ. privatus – კერძო] – (ეკონ.). საკუთრების განსახელმწიფოებრიობა წარმოების საშუალებებზე, პირად ქონებაზე.

პრივატული – რაიმე, რაც კერძო პირს ეკუთვნის.

პრივილეგია [ლათ. privilegium] – უპირატესობა, განსაკუთრებული უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ვისმეს სხვებისაგან განსხვავებით.

პრივილეგიური – 1. ვისაც უპირატესობა აქვს მინიჭებული. 2. რაც (სოციალურ-მატერიალური მდგომარეობა, ასაკი, გამოცდილება და სხვ.) რაიმე პრივილეგიას იძლევა.

პრინციპალი [ლათ. principalis – მთავარი] – 1. პიროვნება, რომელიც გარიგებაში თავისი ხარჯებით მონაწილეობს. 2. ვალდებულებებში ძირითადი მოვალე. 3. პირი, რომლის სახელითაც მოქ-

მედებს მისი წარმომადგენელი, აგენტი. 4. რაიმეზე პასუხისმგებელი პირი. 5. საგარეო-ეკონომიკური გარიგების მონაწილე.

პრინციპი [ლათ. principium – დასაწყისი, დასაბამი] – 1. რომელიმე თეორიის ძირითადი, ამოსავალი დებულება; აქსიომა; კანონზომიერება. 2. მოქმედების დადგენილი ნორმა, წესი.

პრიორიტეტი [ლათ. prior – პირველი] – პირველობის უფლება; უპირატესობა, უფრო მნიშვნელოვანი.

პრო [ინგლ. pro] – რთული სიტყვის თავსართი. ნიშნავს: დაქვემდებარებულობას; მხარდაჭერას. მაგ., პრორექტორი – რექტორის მოადგილე, პრორუსული – რუსეთის მხარდამჭერი.

პროგნოზი [ლათ. prognosis] – რაიმე მოვლენის წინასწარ განჭვრეტა.

პროგრამა [ბერძ. programma – განცხადება] – 1. მომავალი მუშაობის გეგმა. 2. დასახული მიზნის მისაღწევად შესასრულებელ ღონისძიებათა შემცველი დოკუმენტი.

პროდუცენტი [ლათ. produciens] – (ეკონ.). რაიმე საქონლის მწარმოებელი (ფირმა, ქვეყანა).

პროვინცია [ლათ. provincia] – 1. ქვეყნის დიდი ადმინისტრაციული დანაყოფი. 2. დედაქალაქს ან მსხვილ კულტურულ ცენტრს დაშორებული ადგილი, კუთხე.

პროვოკაცია [ლათ. provocatio] – მძიმე შედეგის მომტანი ქმედებისაკენ, დანაშაულის ჩადენისა-

კენ ვინმეს წაქეზება. **პროვოკატორი** – წამქეზებელი პირი.

პროვოცირება – ვინმეს ბიძგება რაიმეს გაკეთებისაკენ (ჩადენისაკენ).

პროკურატურა [ლათ. procurator – ეზრუნავ] – კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანო.

პროკურორი [ფრანგ. procureur < ლათ. procurator – ეზრუნავ] – 1. თანამდებობის პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს კანონების ზუსტად შესრულებას. 2. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე.

პროლონგაცია [ლათ. prolongatio] – მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების, გარიგების, თამასუქის და მისთ. მოქმედების ვადის გაგრძელება.

პრომულგაცია [ლათ. promulgatio – საჯარო განცხადება] – საერთაშორისო ხელშეკრულების ან რაიმე სახელმწიფოებრივი აქტის გამოქვეყნება მხარეთა მიერ.

პროროგაცია [ლათ. prorogatio] – სახელმწიფოს მეთაურის უფლება გადადოს პარლამენტის სესია.

პროტესტი [გერმ. Protest < ლათ.] – 1. რაიმე მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვა. 2. სასამართლო ან საპროკურორო ორგანოების წერილობითი წარდგინება სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის გადასინჯვის შესახებ. 2. ნოტარიულად დამოწმებული აქტი თამასუქის ვადაზე გაუნადღებ-

ღობის ან მისი აქცეპტირების შესახებ.

პროტექციონიზმი [ლათ. protectio – დაცვა] – სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა საბაჟო სფეროში, რომელიც ვლინდება შემოტანილ საქონელზე მაღალი ბაჟის დაწესებით, რომ დაიცვას ეროვნული პროდუქცია უცხოური საქონლის მძაფრი კონკურენციისაგან.

პროტოკოლი [ფრანგ. protocole < ლათ. – პირველი ფურცელი] – 1. (დიპლ.). მოლაპარაკების მონაწილე მხარეების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია მოლაპარაკების შედეგები შეთანხმების დადებაზე. 2. (დიპლ.). წესების ერთობლიობა, რომლებსაც იცავენ მთავრობები, დიპლომატები და სხვა ოფიციალური პირები საერთაშორისო ურთიერთობებში.

პროტესტი [ლათ. protest] – 1. რაიმე მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. 2. სათანადო სასამართლო თუ საპროკურორო ორგანოების წერილობითი წარდგინება სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის გადასინჯვის შესახებ. 3. ოფიციალური განცხადება თამასუქის ვადაზე გაუნადღებლობის შესახებ.

პროტექტორატი [ინგლ. protectorate < ლათ.] – ქვეყანა, რომელსაც იცავს ან მართავს სხვა, მასზე ძლიერი სახელმწიფო.

პროტექციონიზმი [ინგლ. protection] – დაცვა; მფარველობითი სისტემა (მთავრობაში, ბიზნესში და სხვაგან).

პროფესია [ლათ. professio] – სპეციალობა, საქმიანობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება.

პროცედურა [ლათ. procedo – წინ მივიწე] – რისამე შესასრულებლად, განსახილველად საჭირო ქმედებათა, ღონისძიებათა თანამიმდევრობა; რაიმეს წარმოების მეთოდი. **პროცედურული** – პროცედურასთან დაკავშირებული.

პროცესუალური [ინგლ. proceedings] – სასამართლო საქმის წარმოება, სარჩელი, ძიება და სხვ.

პროცენტი [ლათ. pro centum – ასზე] – 1. რიცხვის მეასედი ნაწილი. 2. სასესხო გადასახდელი; გამსესხებლის სარგებელი.

პროცესი [ლათ. processus] – 1. რაიმე მოვლენათა თანამიმდევრული მონაცვლეობა. 2. სასამართლო საქმის გარჩევა.

პროცესუალური – სასამართლო პროცესთან დაკავშირებული.

პული [ინგლ. pool – საერთო ქვაბი] – მეწარმეთა შორის დროებითი გაერთიანების ფორმა, რომლის დროსაც მათი მოგება საერთო ფონდში შედის და მათ შორის წინასწარ დადგენილი შეთანხმებით ნაწილდება.

პუტი [ინგლ. put] – ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ოფციონი.

პუტჩი [ინგლ. coup] – (პოლიტ.). სახელმწიფო გადატრიალება; ერთი მთავრობის მეორეთი სწრაფად შეცვლა ძალის გამოყენებით.

ჟ

ჟესტი [ფრანგ. geste] – სხეულის ნაწილების, განსაკუთრებით ხელის, მოძრაობა, რაც თან ახლავს მეტყველებას ან ცვლის მას.

ჟესტიკულაცია – ჟესტების გამოყენება ლაპარაკში, მეტყველებაში.

ჟირო [იტალ. giro – ბრუნვა, მიმოქცევა, ინგლ. girocheque] – წერილობითი ბრძანება, დავალება ბანკისადმი კლიენტის მხრივ განსაზღვრული ოდენობის ფულის გადარიცხვის აუცილებლობის შესახებ ამ კლიენტის ანგარიშიდან მესამე პირის ანგარიშზე, რომლისთვისაც კლიენტს სურს ფულის გადაცემა. (იგივე ინდოსამენტი).

ჟურფიქსი [ფრანგ. jour fixe – გარკვეული დღე] – (დიპლ.). კვირის ესა თუ ის დღე, რომელიც სტუმრების მისაღებად აქვთ დანიშნული.

რ

რადიკალური [ლათ. radicalis – ძირითადი] – უკიდურესი, გადამწყვეტი ღონისძიება.

რამბურსი [ფრანგ. rembourser – დაბრუნება, ანაზღაურება] – საერთაშორისო ვაჭრობაში ნაღდი საქონლის განადგება, რომელიც, როგორც წესი, ბანკის მეშვეობით ხორციელდება.

რამბურსირება – ვალის, დანახარჯების დაბრუნება, გადახდა;

თამასუქის მიმცემის მაგიერ, მესამე პირის ვალის დაფარვა.

რანგი [გერმ. Rang, ფრანგ. rang] – 1. (ეკონ.). იპოთეკური გირაოს კლასიფიკაციის ხარისხი. 2. (დიპლ.). ხარისხი, თანრიგი, სპეციალური წოდებულება. მაგ., საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი.

რანტიე [ფრანგ. rentier rente-დან – რენტა] – პიროვნება, რომლის შემოსავლის ძირითადი წყაროა პროცენტი სესხად გაცემული ფულიდან ან შეძენილი ფასიანი ქაღალდებიდან.

რათიფიკაცია [ლათ. ratus – გადაწყვეტილი, დამტკიცებული და facere – კეთება] – (სამართ.). სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება, რომელიც ხელმოწერილია სახელმწიფოს რწმუნებული წარმომადგენლის მიერ. რატიფიკაცია ხელშეკრულებას აძლევს იურიდიულ ძალას, რაც შემდეგ შესასრულებლად სავალდებულო ხდება. ამასთან, ფორმდება სპეციალური დოკუმენტი – **სარატიფიკაციო სიგელი**.

რანდი [ინგლ. round] – (გადატ.). მიძიმე და ხანგრძლივი საერთაშორისო მოლაპარაკების ცალკეული ეტაპი.

რაციონალიზაცია [ლათ. rationalis – გონივრული] – წარმოებისა და მუშაობის მეთოდების სრულყოფა-გაუმჯობესება.

რე [ლათ. re-] – თავსართი, რომელიც აღნიშნავს: 1. რაიმე მოქმედების განახლებას ან გამე-

ორებას. 2. საწინააღმდეგო, საპირისპირო მოქმედებას.

რეაბილიტაცია [ლათ. rehabilitatio – აღდგენა] – უდანაშაულოდ დაზარალებულის უფლებებისა და რეპუტაციის (ღირსების) აღდგენა, რაც შეთავსებულია მის მიერ გაწეული ზარალის კომპენსაციასთან.

რეალიზაცია [ლათ. realis – ნივთობრივი] – 1. წარმოებული ან გადასაყიდი საქონლისა და მომსახურების გაყიდვა, რომელსაც თან ახლავს ფულადი ამონაგების მიღება. მაგ., ქონების ან ფასიანი ქაღალდების ფულად ქცევა; გაყიდვა (საქონლისა). 2. განაზრახის (პროექტის) შესრულება, ცხოვრებაში განხორციელება.

რეალური [ლათ. realis] – ნამდვილად არსებული; ჭეშმარიტი; რის განხორციელებაც შესაძლებელია.

რეგალია [ლათ. regalis – სამეფო] – 1. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი (გვირგვინი, სკიპტრა, ტახტი და სხვ.). 2. წარჩინების ნიშანი (ორდენი და მისთ.).

რეგენტი [ლათ. regentis – მმართველი] – მონარქიულ ქვეყნებში: სახელმწიფოს დროებითი მმართველი (მაგ., მეფის მცირეწლოვანების გამო).

რეგიონი [ლათ. regio – მხარე] – 1. ოლქი, რაიონი, ტერიტორია, ქვეყნის ნაწილი, რომელიც ბუნებრივი ან ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ერთობლიობით გამოირჩევა. 2. [ინგლ. region] – ქვეყნის დიდი რაიონი.

რეგისტრი [ლათ. registrum – სია, ჩამონათვალი] – ჩანაწერების წიგნი, სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. **რეგისტრაცია** – ოფიციალურ სიაში შეტანა.

რეგლამენტი [ფრანგ. reglement, regle-დან – წესი] – 1. წესები, რომლებიც აღგენენ, არეგულირებენ ღონისძიებათა და მოქმედებათა ჩატარების წესსა და დროს, საქმიანობის განხორციელებას. 2. საერთაშორისო კონგრესებისა და კონფერენციების ზოგიერთი აქტის სახელწოდება.

რეგრესი [ლათ. regressus – უკუსვლა] – 1. განვითარების ღონის დაქვეითება, დრომოჭმული ფორმებისა და სტრუქტურებისაკენ დაბრუნება. (საპირისპ. პროგრესი). 2. (სამართ.). რომელიმე პირის (დაწესებულების) უკუმოთხოვნილება, რომელიც წარედგინება ისეთ პირს (ორგანიზაციას), რომლის ვალდებულება მან შეასრულა.

რეგრესანტი – (სამართ.). პირი, რომელიც წარუდგენს უკუმოთხოვნას მეორე პირს (რეგრესატს) იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც პირველმა პირმა მეორე პირის გამო განიცადა. მაგ., პირველმა პირმა გადაიხადა გადასახდელი მეორე პირის ნაცვლად და მას, როგორც რეგრესანტს შეუძლია მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება.

რეგრესიტი – (სამართ.). პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია რეგრესანტის მოთხოვნა.

რეგრესო უკუმოთხოვნა ზარალის გადასახდელი თანხის ანაზღაურების შესახებ, რომელიც ერთი ფიზიკური (იურიდიული) პირის მიერ წარედგინება მეორეს, რომლის მიზეზითაც ეს ზარალი წარმოიშვა. გამოიყენება თამასუქის პროტესტის დროს.

რეგულაცია [ინგლ. regulation] – რაიმეს მოწესრიგება, მისი მუშაობის სწორად წარმართვა.

რეგულირება [ლათ. regula – წესი, regulare – წესისადმი დამორჩილება] – რისამე გარკვეული წესით წარმართვა, მოწესრიგება.

რეგულირება ეკონომიკის – მმართველი ორგანოების ზემოქმედება ეკონომიკაზე იმ მიზნით, რომ მასში მიმდინარე პროცესები გარკვეულ დონეზე იქნეს შენარჩუნებული (ან თავიდან აცილებული), დაძლეული არასასურველი მოვლენები.

რედემარკაცია – [ფრანგ. redémarchation] – სახელმწიფო საზღვარზე სასაზღვრო ნიშნების აღდგენა.

რედუქცია [ლათ. reductio – დაბრუნება] – 1. რაიმეს შემცირება, დასუსტება; რთულის გამარტივება, მისაწვდომადღე დაყვანა ანალიზისა და გადაწყვეტილებისათვის. 2. (ფინანს.). ვალუტების, ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის ფასების დაცემა.

რემიგრანტი – ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული პირი.

რეგისტრი [ლათ. registrum – სია, ნუსხა, ჩამონათვალი] – რაიმე ეკონომიკური ობიექტის, ქონების ჩამონათვალი; წიგნი, რომელშიც არის რეგისტრული სია; გამოიყენება დოკუმენტების რეგისტრაციისათვის.

რეგისტრირებული – იმპორტული საქონლის გადაუმუშავებლად ექსპორტი.

რეკლამაცია [ლათ. re- – კვლავ, ხელახლა და valeo – მნიშვნელობა მაქვს, ვლივარ] – 1. (ფინანს.). ერთი ვალუტის კურსის აწევა სხვა ვალუტების მიმართ ვალუტების მცურავი კურსების სისტემის დროს. 2. (ფინანს.). ერთი ვალუტის კურსის ადმინისტრაციული წესით აწევა სხვა ვალუტების მიმართ **ფიქსირებული ვალუტის კურსების** სისტემის დროს. **რეკლამაცია იმპორტის** ხდის უფრო იაფს (ადგილობრივი ვალუტით) და **ექსპორტის** უფრო ძვირს (მყიდველის ვალუტით), ხელს უწყობს დამატებით იმპორტს და ამცირებს მოთხოვნას ექსპორტზე. (საპირისპირო – დეკლამაცია).

რევერსი [ინგლ. reverse, ლათ. revertor – ვაბრუნებ უკან, ვბრუნდები] – 1. (ეკონ.). ერთი პირის წერილობითი ვალდებულება მეორე პირის მიმართ, რომელიც შეიცავს თავის თავზე მიღებული პასუხისმგებლობის, რისკის დამადასტურებელ გარანტებს, მაგ., საგარანტიო წერილს ან ვალდებულებას, რომ გამოსყიდულ იქნება თამასუქი გადახდის ვალზე. 2. დეკლარაცია, რომლითაც დაკარგული აქციების მფლობელი

ადასტურებს მზადყოფნას მიიღოს თავის თავზე ბანკის მიერ გაწეული ზარალი ამ დოკუმენტების არასანქცირებული გამოყენების შემთხვევაში. 3. ლითონის ფულის ან მედლის უკანა მხარე; ზურგი. (საპირისპ. ავერსი). 4. (სამართ.). ქონების დაბრუნება წინანდელი პატრონისათვის. 5. საწინააღმდეგოდ მიმართული. **რევერსია** – პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება.

რევიზია [ლათ. revisio – გადასინჯვა] – (ეკონ., სამართ.). საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ან თანამდებობის პირის მუშაობის გამორკვევა მოქმედების სისწორისა და კანონიერების შემოწმების მიზნით.

რევოკაცია [ლათ. revocatio – გამოხმობა, გამოხმაურება] – 1. (დიპლ.). ელჩის ან სხვა წარმომადგენლის გამოწვევა სხვა სახელმწიფოდან თავის ქვეყანაში. 2. ადრე გაცემული განკარგულების გაუქმება; 3. (ეკონ.). ჩეკის მიმცემის განცხადება ადრე გაცემული ჩეკის გაუქმების შესახებ.

რევოლვერული [ინგლ. revolve – მიმართვა, პერიოდულად შეცვლა] – ავტომატურად განახლება. მაგ., **რევოლვერული კრედიტი** – ავტომატურად განახლებადი კრედიტი, რომელიც დამატებითი მოლაპარაკების გარეშე გაიცემა.

რევოლუცია [ფრანგ. revolution – (პოლიტ.). 1. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში მომხდარი ძირფესვიანი გადატრიალება, ძველი წყობილების ძალით დამხობა და პროგრესული წყო-

ბილების დამყარება. 2. (გადატ.). ძირფესვიანი ცვლილება ცოდნის რაიმე დარგში.

რეზერვაცია [ლათ. reservo – ვინახავ, ვიზოგავ] – 1. რესერვების (მარაგის) შექმნა. 2. უფლების დატოვება, რომ კვლავ დაუბრუნდნენ ამ საკითხს.

რეზერვი [ფრანგ. reserve, ლათ.-დან reserve – ვინახავ] – (ეკონ.). რაიმეს (საქონლის, ფულადი სახსრების, უცხოური ვალუტის და ა.შ.) მარაგი საჭიროების შემთხვევისათვის.

რეზიდენტი [ლათ. residens – მჯდომარე, ადგილზე დარჩენილი] – იურიდიული (ფიზიკური) პირი, რომელიც მოცემულ ქვეყანაში მუდმივად რეგისტრირებულია ან მუდმივად ცხოვრობს. იგი ვალდებულია თავის ეკონომიკურ ქმედებებში დაიცვას ამ ქვეყნის კანონები ანუ გადაიხადოს გადასახადები ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რეზიდენცია [ლათ. residentia] – მთავრობის, სახელმწიფოს მეთაურის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის მუდმივი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილსამყოფელი.

რეზიუმე [ფრანგ. résumé] – 1. დაწერილის, თქმულის ან წაკითხულის არსის მოკლე გადმოცემა. 2. გარკვეული წესების მიხედვით შედგენილი ცნობების ნაკრები სამუშაოს პრეტენდენტების შესახებ.

რეზოლუცია [ლათ. resolutio – ნებართვა, გადაწყვეტილება] – 1. წარწერა სამსახურებრივ დოკუ-

მენტზე, რომელიც შეიცავს თანამდებობის პირის მიერ გაკეთებულ მითითებას, რეკომენდაციას და აწესებს მოქმედების ხასიათს, რომელიც შემსრულებელმა ამ პირის მითითების შესაბამისად უნდა დაიცვას. 2. საერთაშორისო ორგანიზაციების (კონფერენციების) გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, რეკომენდაციული ხასიათის.

რეზონი [ფრანგ. raison] – მოსაზრება, გონივრული საფუძველი, აზრი.

რეიმპორტი – ექსპორტული საქონლის გადაუმუშავებლად იმპორტი.

რეინვესტირება – საკუთარი ან უცხოური კაპიტალის განმეორებითი დაბანდება ეკონომიკაში, რომელიც ხორციელდება ადრე დაბანდებული კაპიტალის შემოსავლებიდან.

რეინკარნაცია – ფასიანი ქაღალდების სხვა ფორმაში გადაყვანა (მაგ., ოქროს სერტიფიკატებისა განსაკუთრებული დანიშნულების ფასიან ქაღალდებში) განსაზღვრული ვადით.

რეიტინგი [ინგლ. rating] – (ეკონ.). ფირმის მასშტაბურობის, კრედიტუნარიანობის შეფასება.

რეკამბიო [იტალ. recambio] – შებრუნებული თამასუქი, რეტრატა, მოთხოვნა თამასუქის თანხის ანაზღაურებასა და პროცენტების გადახდაზე.

რეკეტი [ინგლ. racket] – დამნაშავე ელემენტების, რეკეტიორების მიერ მეწარმეებისაგან მუქარის, შანტაჟის გზით ფულის უკანონო გამოძალვა.

რეკვიზიტები [ლათ. requisitum – საჭირო, აუცილებელი] – 1. (სამართ.). დოკუმენტის აუცილებელი ელემენტები (მაგ., სახელწოდება, გაცემის ადგილი, თარიღი, ხელმოწერა), რომელთა გარეშე იგი კარგავს იურიდიულ ძალას. 2. (სპეც.). სამისამართო მონაცემები, ტელეფონების, ტელექსის ნომრები, რომლებსაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე აცნობებს მეორეს კავშირის შესანარჩუნებლად; თავსდება საფირმო ბლანკზე.

რეკვიზიცია [ლათ. requisitio – მოთხოვნა] – კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებაში გადაყვანა სახელმწიფო გამოყენებისათვის.

რეკვირენტი [ლათ. requirens – მომთხოვნი] – თამასუქის მფლობელი, რომელიც სასამართლო ინსტანციებს თამასუქის გაპროტესტების მოთხოვნით მიმართავს.

რეკლამა [ლათ. reclamo – წამოვიდახე] – ფირმის მიერ პოტენციური მყიდველების, საქონლისა და მომსახურების მომხმარებლების ღია შეტყობინება მათი ხარისხის, ღირსების, უპირატესობის შესახებ, აგრეთვე თვითონ ფირმის დამსახურების შესახებ; მარკეტინგის შემადგენელი ნაწილი.

რეკლამაცია [ლათ. reclamatio – ხმამაღალი გამოთქმა] – 1. უკმაყოფილების გამოხატვა, პრეტენზია, საჩივარი. 2. (ვაჭრ.). პრეტენზია საქონლის დაბალი ხარისხის გამო და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა.

რეკომენდაცია [ლათ. reco-mmendatio – რჩევა] – 1. წერილობითი ან ზეპირი სასურველი გამოსმაურება ადამიანის ან ფირმის შესახებ მისი კანდიდატურის ან საქმიანობის მხარდაჭერით. 2. რჩევა, მითითება განსაზღვრული წესით მოქმედების შესახებ. 3. წინადადება რაიმეს გაკეთებაზე.

რეკონვერსია [ლათ. re- და conversio] – სამხედრო მრეწველობის გადაყვანა მშვიდობიანობის დროისათვის საჭირო პროდუქციაზე.

რეკონკისტა [ესპ. Reconquista] – პირენეს ნახევარკუნძულის ხალხთა მიერ არაბებისაგან დაპყრობილი ტერიტორიების ბრძოლით დაბრუნება.

რეკონსტრუქცია [ლათ. re- – კვლავ, ხელახლა და constructio – აშენება] – (ეკონ.). საწარმოში ძირითადი საშუალებების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის გარდაქმნა იმ მიზნით, რომ ამაღლდეს გამოსაშვები პროდუქციის დონე და ხარისხი, ათვისებული იქნეს ახალ ნაკეთობათა გამოშვება.

რეკრეაცია [ლათ. recreatio – აღდგენა] – (ეკონ.). ძალების მობილიზება, აღდგენა, დასვენება.

რეკრედიტივი [გერმ. Rekreditiv] – 1. (დიპლ.). მთავრობის სიგელი დიპლომატიური წარმომადგენლის უკან გამოწვევის შესახებ. 2. საბუთი, რომელიც აუქმებს აკრედიტივს.

რეკუპერაცია [ლათ. recuperatio – უკან მიღება, დაბრუნება] – 1.

აქციის კურსის აღდგენა მისი მკვეთრი შემცირებით. 2. აქციების კურსის კითხვის განმეორებითი სეანსი ბირჟაზე.

რელაცია [ლათ. relatio – მოხსენება] – მეთაურის ცნობა საომარი მოქმედების მიმდინარეობის შესახებ.

რელევანტური [ინგლ. relevant] – შესაბამისი; შესატყვისი; საქმესთან დაკავშირებული; არსებითი; ფასეული.

რემიზი [ფრანგ. remise] – 1. ფულის გადახდა თამასუქის ვაგზავნის საშუალებით იმ პირის სახელზე, რომელსაც ფული უნდა მიეცეს. 2. საკომისიო გასამრჯელო, რომელსაც ბირჟის მაკლერები აძლევენ იმ პირებს, რომლებიც ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების შესაძენად კლიენტების მიზიდვაში ეხმარებიან.

რემისია [ლათ. remissio – შემცირება, შესუსტება] – (ფინანს.). გასაყიდი საქონლის ფასის ჩამოკლება, რომელსაც გამყიდველი ფასის დასამრგვალებლად ახორციელებს.

რემიტენტი [ლათ. remitto – ვაგზავნი] – პიროვნება, რომლის სახელზეც პირველადი მეფლობელი გადაგზავნის თავის თამასუქს; გადაგზავნილი თამასუქის მიმღები.

რემიტირება [ინგლ. remittance] – 1. დავალიანების უცხოური ვალუტით დაფარვის ხერხი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოვალე თავისი ქვეყნის ვალუტით ყიდულობს უცხოურ ვალუტას ეროვნულ სავალუტო ბაზარზე და გადაუგზავნის მას

კრედიტორს ან ფარავს ვალს ჩეკის, გადასაგზავნი თამასუქის შესყიდვითა და გადაგზავნით. 2. ფულადი გზავნილი. 3. გადახდა.

რენაცირება – (ეკონ.). ყოფილი კერძო საკუთრების დაბრუნება სახელმწიფო საკუთრებაში.

რენდჟი – რიგი პორტები ნაპირის მითითებულ მონაკვეთზე. მაგ., „ათენი – მარსელი რენდჟი“ ნიშნავს, რომ დამფრახტავს (დამჯავშნავს) უფლება აქვს გაგზავნოს გემი ნებისმიერ უსაფრთხო პორტში ათენსა და მარსელს შორის, ორივე დასახელებული პორტის ჩათვლით.

რენოვაცია [ლათ. renovatio – განახლება, აღდგენა] – (ეკონ.). ფიზიკური და მორალური ცვეთის შედეგად წარმოებიდან გამოსული მანქანა-მოწყობილობების ახლით შეცვლა.

რენომე [ფრანგ. renommé – რეპუტაცია] – დადგენილი მოსაზრება, შექმნილი შეხედულება ადამიანის, ფირმის შესახებ; რეპუტაცია.

რენტა [გერმ. Rente, ფრანგ. rente – დაბრუნებული] – (ფინანს.). 1. რეგულარული შემოსავალი, რომელსაც იძლევა კაპიტალი, ქონება ან მიწა ისე, რომ მის მფლობელს არ სჭირდება მეწარმეობრივი საქმიანობა. 2. ქირა, რომელსაც იხდიან გარკვეული დროის განმავლობაში ოფისის, სახლის ან ქარხნის იჯარისათვის. 3. ფულადი თანხა, რომელიც სადაზღვევო საზოგადოების მიერ ყოველწლიურად ეძლევა დაზღვეულ პირს.

რენტაბელობა [გერმ. rentabel – შემოსავლიანი] – (ეკონ.). ეფექტიანობა, მომგებიანობა, შემოსავლიანობა საწარმოს ან სამეწარმეო საქმიანობის გაიანგარიშება მოგების გაყოფით დანახარჯებზე და გამოსახება პროცენტობით.

რენტინგი [ინგლ. renting] – (ეკონ.). ტექნიკის მოკლევადიანი იჯარა, მოიჯარის მიერ მისი შემდგომი გამოსყიდვის უფლების გარეშე.

რეორგანიზაცია – საწარმოს (ფირმის, კომპანიის) ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის გარდაქმნა მათი ძირითადი საშუალებების, პოტენციალის შენარჩუნებით.

რეპარაცია [ლათ. reparatio – აღდგენა] – საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მატერიალური პასივობის ფორმა საერთაშორისო სამართალდარღვევის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანისათვის. გადახდა ხდება რესტიტუციის, ფულადი ან სხვა მატერიალური კომპენსაციის ან ერთდროულად რესტიტუციისა და ზარალის კომპენსაციის სახით.

რეპატრია [ლათ. repatriare – სამშობლოში დაბრუნება] – 1. იმ პირების სამშობლოში დაბრუნება, რომლებიც გარემოებების გამო იმყოფებოდნენ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ლტოლვილები, ადგილნაცვალი პირები). 2. საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალის დაბრუნება თავის ქვეყანაში ინვესტირებისათვის.

რეპლიკა [იტალ. replica] – 1. ორატორისათვის ადგილიდან მიცემული მოკლე შენიშვნა; შეპასუხება, წამოდახილი. 2. (სამართ.). ერთი მხარის შეკამათება მეორესთან სასამართლო პროცესზე.

რეპო – 1. შეთანხმება ადრე გაყიდული საქონლის უკან შესყიდვაზე. 2. ოპერაცია ფინანსურ ბაზარზე, რომელიც ითვალისწინებს მონაწილეების შეთანხმებას ფასიანი ქაღალდების უკან გამოსყიდვაზე.

რეპორტი [ფრანგ. report] – 1. საბირჟო გარიგება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხორციელდება ფასიანი ქაღალდების გაყიდვა იმავდროულად გარაგებით, რომ შემდეგში, განსაზღვრული ვადის შემდეგ, ისინი გამოსყიდულ იქნეს უფრო მაღალი ფასით. (საპირისპ. დეპორტი). 2. ქვეყნის სავალუტო ბაზარზე გარიგების დადება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ უცხოური ვალუტის გაყიდვის ნაღდი გარიგება ეროვნულზე გაცვლით შესამეხებული იქნება საპირისპიროსთან, იმავდროულად დადებულ გარიგებასთან, რომ შესყიდულ იქნას ეროვნული ვალუტა უფრო მაღალ ფასში. რეპორტს ვალუტის ის სპეკულანტები („ხარი“) მიმართავენ, რომლებიც ვალუტის კურსის აწევაზე თამაშობენ.

რეპრეზენტაცია [ინგლ. representation] – 1. განცხადება, ვინმეს დარწმუნების მიზნით, რომ კონტრაქტს შეუერთდეს. 3. წარდგენა.

4. სისტემა, სადაც ირჩევენ ქვეყნის წარმომადგენლებს პარლამენტისათვის.

რეპრეზენტანტი [ფრანგ. représentant] – წარმომადგენელი, წარმომადგენლობითი ამორჩევის მონაწილე.

რეპრეზენტატიულობა [ფრანგ. représentatif – დამახასიათებელი] – იმ ეკონომიკურ მაჩვენებელთა შერჩევის წარმომადგენლობითობა, რომლებიც ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების ანალიზისათვის გამოიყენება.

რეპრესალია [ლათ. repressalia – შეკავება, შეჩერება] – საერთაშორისო ურთიერთობაში: იძულებითი ზომა, რომელსაც მიმართავენ ერთი სახელმწიფო მეორის არაკანონიერი მოქმედების საპასუხოდ; სამართლით გათვალისწინებული პოლიტიკური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა. რეპრესალია, დაკავშირებული შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან, აკრძალულია საერთაშორისო სამართლით და კვალიფიცირდება როგორც აგრესია.

რეპრივატიზაცია (ლათ. re- და იტალ. privatus – კერძო) – ადრე ნაციონალიზებული კერძო საკუთრების პრივატიზაცია.

რეპრიმანდი [ფრანგ. reprimandé] – სიტყვიერი საყვედური.

რეპუტაცია [ფრანგ. réputation] – შექმნილი საერთო აზრი ვინმეს, რაიმეს, ადამიანის, ფირმის ან საქონლის ხარისხის, ღირსებისა და ნაკლოვანებების შესახებ.

რეჟიმი [ფრანგ. régime] – 1. სახელმწიფო წყობილება, მმართველობის წესი. 2. რაიმე მიზნისათვის საჭირო წესთა, ღონისძიებათა სისტემა. მაგ., ეკონომიის რეჟიმი.

რესკრიპციები [ინგლ. rescriptions] – (ფინანს.). სახაზინო ობლიგაციები და თამასუქები ოთხ წლამდე ვადით; უშვებენ სახსრების აკუმულაციისა და ფულის ბაზრის ლიკვიდურობის რეგულირებისათვის.

რესპექტი [ინგლ. respect] – პატივისცემა; მოწიწება.

რესპუბლიკა [ლათ. respublica] – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ირჩევენ განსაზღვრული ვადით.

რესპონდენტი [ინგლ. respondent] – 1. სააპელაციო საქმის მეორე მხარე, მოპასუხე. 2. პეტიციაზე მოპასუხე პირი.

რესტავრაცია [ლათ. restauratio] – რაიმეს აღდგენა პირვანდელი სახით.

რესტანტი [ინგლ. rest – ნაშთი] – (ფინანს.). ფირმის ვალი, რომელიც დარჩა ბალანსის შედგენის, შეჯამების დროს; გაუყიდავი საქონლის ნაშთი.

რესტი [ინგლ. rest] – ნაშთი.

რესტიტუცია [ლათ. restitutio – თავდაპირველი სახით აღდგენა] – 1. გარიგების დამდებ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით მიღებული ფულის (საქონლის) ურთიერთდაბრუნება იმ შემთხვევაში, როცა გარიგება მიჩნეულ იქნა ბათილად. თუ აღმოჩნდება, რომ

გარიგების კანონიერების დარღვევაში დამნაშავეა ერთ-ერთი მხარე, რესტიტუცია ცალმხრივი ხდება და სახსრებს მხოლოდ დამნაშავე მხარე აბრუნებს. 2. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მატერიალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა; ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის იმ ქონების დაბრუნება, რომელიც უკანონოდ იყო მიტაცებული.

რესტრიქცია [ლათ. restrictio – შეზღუდვა] – 1. იმ კრედიტების შეზღუდვა, რომლებსაც ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს აძლევს. 2. მონოპოლიების მიერ წარმოებისა და გაყიდვის ხელოვნური შეზღუდვა საქონლის სარეალიზაციო ფასების გაზრდისა და მაქსიმალური მოგების მისაღებად. **რესტრიქციული** – შემზღუდველი; აკრძალავი.

რესურსები ეკონომიკური [ფრანგ. ressource – დამხმარე საშუალება] – რისამე მარაგი; წარმოების უზრუნველყოფის საშუალებები. კერძოდ: ბუნებრივი (სანედლეულო, გეოფიზიკური), შრომითი (ადამიანური კაპიტალი), კაპიტალური (ფიზიკური, ფულადი კაპიტალი) და ინფორმაციული რესურსები.

რეტორსია [ლათ. retorsio – უკუქმედება] – საერთაშორისო სამართალში: ერთი სახელმწიფოს მოქმედება მეორის უსამართლო, არამეგობრული მოქმედების საპასუხოდ; შემზღუდველი ზომები, რომელსაც სახელმწიფო სხვა სახელმწიფოს

ანალოგიური მოქმედების პასუხად იღებს და ამით ეკონომიკური ან მორალური ზიანი ადგება პირველ სახელმწიფოს. მაგ., უცხოელების უფლებების შეზღუდვა, ბაჟის გაზრდა ამ სახელმწიფოს საქონელზე და ა.შ. **რეპერესალიისაგან** (შეკავება, შეჩერება) განსხვავებით, იგი პასუხია მეორე სახელმწიფოს არამართლზომიერ ქმედებაზე.

რეპრაპენტი [ინგლ. repurchase agent] – პირი, რომელიც საქმეში ჩადებული ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვას აწარმოებს.

რეპრეზენტაცია – ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის შესაძლებლობა მათი მფლობელის მიერ წინასწარ დათქმული პირობებითა და შეტყობინებით.

რეტროსპექტიული [ლათ. retro – უკან და specto – ვუყურებ] – წარსულ დროსთან დაკავშირებული.

რეტროცესია [ფრანგ. retrocession – დათმობა] – 1. გადამზღვეველის მიერ თავის თავზე მიღებული რისკის ნაწილის გადაცემა სხვა გადამზღვეველებზე; რისკების შემდგომი დანაწევრება. 2. საკომისიო წილის ერთი შუამავლის მიერ მეორისათვის გადაცემა.

რეფრაქცია [ფრანგ. réfraction, ლათ. factus – გარიგება] – 1. საბითუმო ფასიდან ან საქონლის წონიდან ჩამოკლება, რომელსაც ატარებს გამყიდველი სავაჭრო გარიგების დადების დროს იმ შემთხვევაში, როცა საქონლის ხარისხი შეუსაბამოა ან გამო-

ლენილია მისი დანაკლისი (ან გაფუჭება). 2. ტარიფის დაკლება, რომელიც ტვირთის გამგზავნს განსაკუთრებული შეთანხმებით საქონლის დიდი პარტიის დროს ეძლევა.

რეფერენდუმი [ლათ. referendum – რაც უნდა აუწყონ] – (პოლიტ.). საყოველთაო სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად (იხ., აგრეთვე, პლემბისციტი).

რეფერანცია [ლათ. referre – შეტყობინება] – 1. ცნობა პიროვნების სამსახურისა და სამსახურებრივი მოვალეობების შესახებ. 2. (კომერც.). ფირმის, დაწესებულების და მისთ. გადახდისუნარიანობის დამოწმება, დადასტურება; რეკომენდაცია.

რეფერი [ინგლ. referee] – სამედიცინო სასამართლო; სამედიცინო მოსამართლე; არბიტრი.

რეფინანსირება, რეფუნდირება [ინგლ. refunding] – დაფარვა, ძველი სახელმწიფო დავალიანების ანაზღაურება ახალი სესხების გამოშვების გზით, უმთავრესად, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების შეცვლით.

დეფინიციის [ლათ. definitio] – ცნების ზუსტი განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით.

რეზლაცია – შემცირებული ფასების აღდგენა ადრინდელ ღონემდე, რომელიც სახელმწიფო ღონისძიებების საშუალებით ეკონომიკის გამოცოცხლების პერიოდში, მისი შენარჩუნების მიზნით ტარდება.

რეფორმა [ფრანგ. *réforme*] – რაიმეს გასაუმჯობესებლად მასში შეტანილი ცვლილება; გარდაქმნა.

რექტიფიკაცია [ინგლ. *rectification*] – დოკუმენტში რაიმეს შესწორება; ცვლილებების შეტანა.

რეცეპისა [ლათ. *recipere* – მიღება] – წინასწარი ხელმოწერა საქონლის მიღებაზე, რომელიც ასრულებს მოწმობის როლს და შემდეგ იცვლება კონოსამენტით.

რეცესია [ინგლ. *recession*] – წარმოების შედარებით ზომიერი არაკრიტიკული დაცემა ან ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება.

რეცეფცია [ლათ. *receptio* – მიღება] – (სამართ.). სესხება და შეგუება ამა თუ იმ ქვეყნის პირობებთან სამართლისა, რომელიც შემუშავებულია სხვა სახელმწიფოში ან წინამავალ ისტორიულ ეპოქაში.

რეციდივი [ლათ. *recidivus* – რაც მეორდება] – (სამართ.). დანაშაულის გამეორებით ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც ადრე სასჯელს ასეთივე ან სხვა დანაშაულისათვის იხდიდა.

რეციპლირება (ფინანს.) – სახსრების გადანაწილება.

რეციპიენტი [ლათ. *recipiens* – მიმღები] – ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან სახელმწიფო, რომელიც გადასახდელებს, შემოსავლებს ღებულობს; ასეთად გულისხმობენ აგრეთვე ქვეყანას, რომელიც უცხოეთის ინვესტიციებს იზიდავს.

რიმესა [იტალ. *rimessa* – ფულის გადაცემა, გაგზავნა] – საგადასახდელო დოკუმენტი (ჩეკი, გადასაგზავნი თამასუქი) საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის უცხოურ ვალუტაში, რომელსაც მოვალე თავის ქვეყანაში ეროვნული ვალუტით იძენს და უცხოურ კრედიტორს დავალიანების დასაფარავად გადაუგზავნის.

რინგი [ინგლ. *ring*] – რამდენიმე მეწარმის ხანმოკლე შეთანხმება გარკვეულ რაიონში რომელიმე საქონლის შესყიდვის შესახებ მისი გაყიდვის მონოპოლიზაციის მიზნით. აშშ-ში რინგს უწოდებენ აგრეთვე **კორნერს**.

რიტუალი [ლათ. *ritualis*] – (დიპლ.). საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში მიღებულ წეს-ჩვეულებათა შესრულების ერთობლიობა.

როიალტი [ინგლ. *royalty* – სამეფო პრივილეგიები] – 1. პერიოდული გადასახდელი უფლებების, რომ ისარგებლოს საქონლის, გამოგონების, ან სხვათა ლიცენზიით. გაიანგარიშება პროცენტობით გაყიდვის ღირებულებიდან. 2. საფასური ბუნებრივი რესურსების დამუშავებისა და მოპოვების უფლებებისათვის.

როლოვერი [ინგლ. *rollover* – განახლება] – 1. კრედიტის ვადის გაგრძელება მისი ტექნიკური დაფარვისა და იმავდროული განახლების საშუალებით ახალი კრედიტის მიცემის გზით. 2. სახსრების ინვესტიციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანა.

როტაცია [ლათ. rotatio – მონაცვლეობა, პერიოდული გამეორება] – ხელმძღვანელი კადრების (დიპლომატების, პარტიული მუშაკების) სავალდებულო მონაცვლეობა დადგენილი დროის შესაბამისად.

ს

საბოტაჟი [ფრანგ. sabotage] – რაიმე საქმის წინასწარ განზრახვით ჩაფუშვა, მასში მონაწილეობისაგან თავის არიდებით ან მისი არაკეთილსინდისიერი შესრულებით; პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის მიერ თავიანთი სამსახურებრივი ან სხვა ვალდებულებების შეგნებულად, განზრახ შეუსრულებლობა ან მათი დაუდევრად (არაჯეროვნად) შესრულება; სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

სამიზიტი ბარათი [ფრანგ. visite – წვევა, ნახვა] – ბარათი, რომელზეც მითითებულია მონაცემები (გვარი, სახელი, თანამდებობა, მისამართი, ტელეფონები და სხვ.) მისი მფლობელის შესახებ.

სალდო [იტალ. saldo – ანგარიშსწორება, ნაშთი] – სხვაობა საწარმოს (ფირმის) ფულად შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის დროის განსაზღვრულ პერიოდში; სხვაობა ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებას შორის (სავაჭრო ბალანსის სადღო), საზღვარგარეთიდან სახსრების შემოსვლას

შორის (ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის სადღო). დადებითი, აქტიური სადღო ნიშნავს შემოსავლების გადამეტებას ხარჯებზე, ხოლო უარყოფითი – პირიქით.

სამიტი [ინგლ. summit] – შეხვედრა სახელმწიფო ხელმძღვანელებს ან ფართო ძალაუფლების მქონე ლიდერებს შორის.

სან [იაპ.] – (დიპლ.). იაპონიაში მიღებული ზრდილობიანი ხსენება ვისიმე ან მიმართვა ვინმესადმი: ბატონი (ბატონო), ქალბატონი (ქალბატონო). წარმოითქმის (იწერება) გვარის ან სახელის შემდეგ. მაგ., მიტიკოსან (ქ-ნი მიტიკო, ქ-ნი მიტიკო).

სანაცია [ლათ. sanatio – მკურნალობა, გაჯანსაღება] – ღონისძიებათა სისტემა საწარმოების (ფირმების) გაკოტრების თავიდან ასაცილებლად.

სანქცია [ლათ. canctio – მკაცრი დადგენილება, დაკანონება] – ზემდგომი ორგანოს მიერ რაიმე აქტის დამტკიცება, რაც მას იურიდიულ ძალას ანიჭებს. 2. იძულების, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის. 3. საერთაშორისო სამართალში: ზემოქმედების ზომა, რომელსაც მიმართავენ ხელშეკრულების დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ. 4. მოწონება, დადასტურება, თანხმობა. 5. (ეკონ.). იძულებითი ზემოქმედების ზომები სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ნორმალურად გაძღოლის წესების დამრღვევთა მიმართ.

სატელიტი [ლათ. satelles – თანამგზავრი] – (გადატ.).

სახელმწიფო, რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია, მაგრამ სინამდვილეში სხვა სახელმწიფოს ემორჩილება.

საშრაპი [ლათ. poena – სასჯელი] – ფულადი ჯარიმა, რომლითაც ჯარიმდებიან ფულადი ვალდებულებების არადროული შესრულებისათვის, ვადის გადაცილებისათვის.

სეგრეგაცია [ლათ. segregatio – გამოყოფა] – 1. (ეკონ.). კლიენტისა და ბროკერის, სხვადასხვა კლიენტის საშუალებებისა და ოპერაციების დაყოფა. 2. რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა – ფერადკანიანთა იძულებითი გამოყოფა თეთრკანიანებისაგან.

სეილზ-პრომოუშნ [ინგლ. sales – გაყიდვები, promotion – წინ წაწევა] – 1. საქონლის გასაღების სტიმულირება. 2. ვაჭრობის მუშაკთა შრომის წახალისება პრემიების, საჩუქრების საშუალებით.

სეკვსტრი [ლათ. sequestum – გაყენებ გარეთ, ვაშორებ] – (სამართ.). რაიმე ქონების სარგებლობის ან განკარგვის აკრძალვა ან შეზღუდვა სახელმწიფო ან სასამართლო ხელისუფლების მიერ.

სეკიურიტიზაცია [ინგლ. securities – ფასიანი ქაღალდები] – ფასიანი ქაღალდების გამოყენების გაფართოება საბაზრო ურთიერთობათა რეგულირებისა და სასესხო კაპიტალის მოძრაობის ინსტრუმენტად.

სენატი [ლათ. senatus] – ზოგი ქვეყნის (მაგ., აშშ-ის, ბელგიისა

და სხვ.) პარლამენტის ზედა პალატა.

სენიორაში – შემოსავალი ფულის ემისიიდან (გამოშვებიდან).

სენიორ (სენიორა) [ესპ. señor, señora] – (დიპლ.). ესპანეთში: ზრდილობიანი ხსენება მამაკაცისა (ქალისა) და მისდამი მიმართვა. წარმოითქმის (იწერება) გვარის წინ.

სენტენცია [ლათ. sententia – აზრი, მსჯელობა] – 1. (სამართ.). სასამართლო გადაწყვეტილება. 2. მსჯავრდებულის ოფიციალური დასჯა. 3. მორალური ხასიათის გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება.

სეპარატიზმი [ფრანგ. separatisme – ცალკე] – (პოლიტ.). ეროვნულ უმცირესობათა სწრაფვა სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაკენ. 2. (ეკონ.). რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, მისწრაფება დამოუკიდებელი ბაზრის შექმნისათვის, სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღებისა და ცენტრიდან დამოუკიდებლობისათვის.

სეპარატული [ლათ. separatus] – განკერძოებული, განცალკევებული.

სერ [ინგლ. sir] – ინგლისურენოვან ქვეყნებში (აშშ, ინგლისი და სხვ.): ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი. წარმოითქმის (იწერება) სახელისა და გვარის გარეშე.

სერვისი [ინგლ. service] – სხვადასხვა სახის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მოსახურება.

სერვიტუტი [ლათ. servitus – მონობა, დამორჩილება] – (სამართ.). სხვისი ქონებით სარგებლობის უფლება გარკვეულ ფარგლებში. **საერთაშორისო სერვიტუტი** – ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ უფლებათა გარკვეული შეზღუდვა მეორე სახელმწიფოს სასარგებლოდ (საზღვაო და სამხედრო ბაზების შექმნა, გზებით სარგებლობა სხვის ტერიტორიაზე და სხვ.).

სერია [ლათ. series – რიგი, მწკრივი] – (ეკონ.). ფასიანი ქაღალდების ერთობლიობა, რომელიც გამოშვებულია ერთი იდენტიფიკატორით.

სერტიფიკატი [ლათ. serifico – ვამოწმებ] – 1. წერილობითი ფინანსური დოკუმენტი, მოწმობა, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მიერ ფულადი სახსრების გარკვეული თანხის შეტანის ფაქტს და აქედან გამომდინარე აძლევს მას გარკვეულ უფლებას. 2. ობლიგაციის ნაირსახეობა. 3. საგარეო ვაჭრობაში: საქონლის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი. 4. პიროვნების ცოდნისა და უნარის დამამტკიცებელი დოკუმენტი.

სერტიფიკაცია – 1. ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისობის დადასტურება იმ დონესთან, რომელიც ხარისხის სტანდარტს მოეთხოვება. 2. სერტიფიკატის მიღება.

სესია [ლათ. sessio – სხდომა] – პერიოდული სხდომა, რომელსაც ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები, სასამართლო, სამეცნიერო დაწესებულებები და სხვ.

სეტლმენტი [ინგლ. settlement – (ფინანს.). ანგარიშსწორება საბირჟო ოპერაციების ხაზით; სისშირე, რომლითაც იანგარიშება საანგარიშსწორებო ფასები და გადაიხდება მარჟა.

სექტორი [ლათ. sector] – (ეკონ.). მეურნეობის ნაწილი, რომელსაც გარკვეული ეკონომიკური და სოციალური ნიშნები ახასიათებს. მაგ., კერძო სექტორი, სახელმწიფო სექტორი და ა.შ.

სვინგი [ინგლ. swing – მერყეობა] – ვალუტებისა და ფასიანი ქაღალდების კურსების მერყეობა ბირჟაზე.

სვიტჩი [ინგლ. switch – გადასვლა, გადართვა, მიმართულების შეცვლა] – ადრე მირებული ვალდებულებათა ლიკვიდაცია და ოპერაციების, გარიგებების დასრულება ერთი სახეობის ფასიან ქაღალდებთან, ვალუტებთან და გადასვლა სხვა სახეობის გარიგებებზე; სამართლებრივ-ეკონომიკური თვალსაზრისით, გარიგება „სვიტჩი“ გულისხმობს ექსპორტიორის მიერ შემსვედრი შესყიდვის დროს წარმოშობილი თავისი ვალდებულებების მესამე პირზე გადაცემას, რომელთანაც ექსპორტიორს ამ საკითხზე უკვე მიღწეული აქვს შეთანხმება.

სვიფტი [ინგლ. Society of Worldwide Interbank Financial Telecommunications, SWIFT] – საერთაშორისო ფულადი ანგარიშსწორებისა და გადასახდელუბის განხორციელების ავტომატიზებული სისტემა კომპიუტერულ

ბითა და ბანკთაშორისი ტელე-კომუნიკაციებით.

სვოპი – სავაჭრო-ფინანსური გაცვლითი ოპერაცია, რომელშიც გარიგების დადებას ფასიანი ქაღალდების, ვალუტის ყიდვის (გაყიდვის) შესახებ თან ახლავს კონტრგარიგების დადება განსაზღვრული ვადის შემდეგ იმავე საჭონდლის უკუგაყიდვის (ყიდვის) შესახებ იმავე ან სხვა პირობით.

„სვოპინგი“ – ფასიანი ქაღალდების გაყიდვა და შემდგომი თითქმის იმავდროული ყიდვა, რომელიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ გაერიდოს გადასახადებს, რომლებიც გადასახდელია ფასიანი ქაღალდების ხანგრძლივად ფლობის დროს.

სვოპ-კურსი – ბანკების მიერ უცხოური ვალუტის ერთდროული ყიდვისა და გაყიდვის ფასები იმ პირობით, რომ მათი ანგარიშსწორება ხორციელდება სხვადასხვა დროს.

„სვოპინგი“ – სვოპისა და ოფციონის კომბინაცია ოფციონის ფორმით, ოპერაცია სვოპის დადებაზე განსაზღვრული პირობებით.

სიმპოზიუმი [ბერძ. symposia – წვეულება] – საერთაშორისო თათბირი რაიმე სამეცნიერო საკითხზე.

სინდიკატი [ლათ. sindikatus, indicus] – ერთგვაროვანი პროდუქციის გამომშვებ საწარმოთა ხანმოკლე გაერთიანება, რომელიც ერთიანი სავაჭრო ქსელით ასეთი პროდუქციის სარეალიზაციოდ იქმნება.

სინდიცირებული კრედიტი – კრედიტი, რომელიც მსესხებელს რამდენიმე კრედიტორის მიერ ეძლევა.

სინდიცირებული ოპერაცია – ოპერაცია, რომელიც ბანკების, კომპანიების ჯგუფის მიერ ხორციელდება.

სინეპურა – (გადატ.). კარგად ანაზღაურებული თანამდებობა.

სინერგია [ბერძ. synergos – ერთად მოქმედება] – (ეკონ.). საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა იმის შედეგად, რომ განხორციელდება ცალკეული ნაწილების შეერთება, ინტეგრაცია, შერწყმა ერთ სისტემაში ე.წ. სისტემური ეფექტის ხარჯზე.

სინთეზური მაჩვენებლები [ფრანგ. synthesis – შეერთება] – განმაზოგადებელი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკურ ობიექტს, ეკონომიკურ სისტემას მთლიანად, მისი ნაწილების ორგანულ მთლიანობაში.

სინიორ (ი), (სინიორა) [იტალ. signore, signora] – (დიპლ.). იტალიაში: ზრდილობიანი ხსენება მამაკაცისა (ქალისა) ან მისდამი მიმართვა. ჩვეულებრივ, წარმოითქმის (იწერება) გვართან ერთად.

სინქრომარკეტიზმი [ბერძ. synchronos – ერთდროული და ინგლ. market – ბაზარი] – მარკეტიზმის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც ატარებენ ფირმები მათ საქონელსა და მომსახურებაზე ცვალებადი, არამდგრადი მოთხოვნის პირობებში (მაგ., სეზონის დროს და ა.შ.).

სისტემური ანალიზი [ბერძ. systēma – მთლიანი, რომელიც

შედგენილია ნაწილებისაგან და analisis – დაშლა, დანაწევრება] – (ეკონ.). რთული მრავალდონიანი და მრავალკომპონენტიანი სისტემების, ობიექტების, პროცესების და მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც სისტემის ელემენტებს შორის კომპლექსურ მიდგომას, ურთიერთკავშირის გათვალისწინებას ეფუძნება.

სიტუაციური მართვა [ლათ. situatio – მდგომარეობა] – (მენეჯ.). ოპერატიული მართვა, რომელიც სტრატეგიული, პერსპექტიული მართვის დამატებით ხორციელდება.

სიურვეიერი [ინგლ. surveyer] – ექსპერტი, რომელიც დამზღვევის ან მზღვეველის თხოვნით დაზღვეული ან დასაზღვევი გემებისა და ტვირთის დათვალიერებას ახორციელებს.

სიზი [ინგლ. CIF ინიციალური აბრევიატურა სიტყვებიდან – cost – ფასი, insurance – დაზღვევა და freight – ფრახტი] – საქონლის მიწოდების ერთ-ერთი გავრცელებული პირობა საერთაშორისო ვაჭრობაში, რომლის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია დააზღვიოს საქონელი და გადაიხადოს ფრახტი, მიიტანოს საქონელი პორტში და დატვირთოს იგი გემზე შეთანხმებულ ვადაში, გადასცეს მყიდველს კონოსამენტი (სასაქონლო ქვითარი) და დაზღვევის პოლისი.

სკალპერი [ინგლ. scalper] – ფასების სწრაფ მერყეობაზე მოქმედი ბირჟის წევრი.

სკეტი [ინგლ. scathe] – აქციების კოტირებაზე დილერების უარი, რაც წინასწარ გამოცხადებულია მათ მიერ მასშედიის საშუალებით.

სკვოტერი [ინგლ. squeatter] – ხიზანი; პირი, რომელიც უკანონოდ იჭრება სხვის საკუთრებაში.

სკონტო – საქონლის ფას-ჩამოკლება მისი გადახდის ვადის დადგომამდე განადღების დროს.

სკრიპი – ახალ აქციებზე სერტიფიკატების წინასწარი გაცემა.

სლობანი – სარეკლამო ლოზუნგი, დევიზი, სარეკლამო იდეის მოკლე, ადვილად აღქმადი, ეფექტური ფორმულირება.

სმარტ-პარტა – პლასტიკური საანგარიშსწორებო საბანკო ბარათი ჩადგმული მიკროპროცესორებით.

სორტი [ფრანგ. sorte] – საქონლის დაყოფა ხარისხის მიხედვით გარკვეულ ჯგუფებად.

სპეკულაცია საბირჟო, სავალუტო [ლათ. speculatio – ზვერვა] – აქციების, ობლიგაციების, ვალუტის ყიდვა-გადაყიდვა მოგების მისაღებად.

სპეციალიზაცია [ფრანგ. spécialisation] – საქმიანობის თავმოყრა შედარებით ვიწრო სპეციალურ მიმართულებებზე, ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციებზე ან გამოსაშვები პროდუქციის სახეობებზე.

სპეციფიკაცია [ფრანგ. spécification] – გასაყიდად ან მისაწოდებლად შეთავაზებული საქონლის ჩამონათვალი, რომელშიც

ნაჩვენებია მისი რაოდენობა, ხარისხი, მარკა, ხარისხობრივი მახასიათებლები, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში – ფასებიც.

სპიკერი [ინგლ. Speaker] – პირი, რომელიც პარლამენტის სხდომას თავმჯდომარეობს.

სპირიტუალური [ლათ. spiritus – სულიერი] – ეკლესიური, წმინდა, ღვთისეული, გონებრივი.

სპლიტი – კორპორაციების, აქციონერული კომპანიების არარეალიზებული აქციების დაყოფა, დანაწილება ნაკლებად მსხვილი აქციების დიდ რაოდენობად მათი გავრცელების გასაადვილებლად.

სპონსორი [ინგლ. sponsor] – 1. თავდები, გარანტი. 2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აფინანსებს ეკონომიკურ პროექტს, სოციალური ღონისძიების გატარებას. 3. შემკვეთი, ორგანიზატორი, მსხვილი ღონისძიების მომწოდებელი.

სპოტი [ინგლ. spot – ნაღდი, დაუყოვნებლივ გასანადგებელი] – საბირჟო ან არასაბირჟო გარიგება არსებული საქონლის ან ვალუტის გაყიდვის შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია ძალზე მოკლევადიანი (ერთი დღე-ღამე) მიწოდება და განადგობა.

სპრეიერი – ბირჟის ვაჭარი, რომელიც ყიდულობს და იმაგდროულად ყიდის ფიუჩერსულ კონტრაქტებს დროის სხვადასხვა პერიოდით.

სპრედი [ინგლ. spread] – (ვაჭრ.). 1. ფიუჩერსული კონტრაქტების იმაგდროული ყიდვა და გაყიდვა ერთსა და იმავე საქონელზე

მიწოდების სხვადასხვა ვადით. 2. ერთი ტიპის ოფციონების იმაგდროული ყიდვა და გაყიდვა სხვადასხვა ფასში ან ვადის გასვლის სხვადასხვა პერიოდში. 3. ფასების მერყეობის გაჩენება.

სტაბნაცია [ლათ. stagno – ვაჩერებ] – (ეკონ.). წარმოების, ვაჭრობისა და მისთ. შენელება, შეფერხება.

სტაბილიზაცია [ლათ. stagno – ვხდი უმოძრაოს და inflatio – გაბერვა] – (ეკონ.). სტაბილიზაციისა და ინფლაციის შეხამება, ეკონომიკის მდგომარეობა, როცა ერთდროულად ხდება წარმოების დაცემა, ფასებისა და უმუშევრობის ზრდა, ეკონომიკური კრიზისის ინფლაციასთან შეხამება.

სტადიი [ბერძ. stadio] – ეკონომიკური პროცესის პერიოდი, ფაზა, საფეხური. მაგ., პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სტადიები: დანერგვა, ზრდა, სიმწიფე და დაცემა.

სტანდარტი [ინგლ. standard – ნორმა, ნიმუში] – 1. დარგის, საწარმოს (ფირმის) ოფიციალური სახელმწიფო ან ნორმატიული დოკუმენტი, რომლითაც აუცილებელი თვისებრივი მახასიათებლები, მოთხოვნები დგინდება. 2. ნიმუში, ეტალონი, რომელსაც სხვა ამგვარ ობიექტს უდარებენ.

სტატისტიკა [ინგლ. statistics < ლათ.] – (ეკონ.). მეცნიერება, რომელიც სწავლობს რაოდენობრივ ცვლილებებს ადამიანთა საზოგადოებაში.

სტატუსი [ლათ. status – მდგომარეობა] – საერთაშორისო

სამართლის სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც დადგენილია საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

სტატუს-კვო [ლათ. status quo] – საერთაშორისო სამართალში: რაიმე გარკვეულ მომენტში (წინათ ან ამჟამად), არსებული მდგომარეობა.

სტატუტი [ლათ. statutum – ვადგენ, ვწვევებ] – საერთაშორისო სამართალში: აქტი, დებულება, წესდება საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობისა და წესის შესახებ, რომელიც ამ ორგანიზაციის სტრუქტურას, უფლებებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავს. მაგ., გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი და სხვ.

სტელაჟი [გერმ. Stelage – ორმაგი ოფციონი] – ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ვადიანი გარიგების ფორმა, რომელიც ხასიათდება იმით, რომ პიროვნება, რომელმაც იყიდა სტელაჟი, იძენს უფლებას – გარიგების ვადის დადგომის დროს გამოვიდეს თავისი არჩევით ფასიანი ქაღალდების გამყიდველის ან მყიდველის როლში.

სტენდ-ბაი – საკრედიტო ხელშეკრულების პირობები, რომელთა შესაბამისად ბანკი არეზერვებს დადგენილი ვადისათვის დათქმულ თანხას, ხოლო კლიენტი იყენებს მას ნაწილობრივ ან მთლიანად.

სტოკროპერი [ინგლ. stock broker] – თავისი სახელით მოქმედი პირი, რომელიც ყიდის

თავისი კლიენტების პაის ან აქციებს.

სტოკისტი [ინგლ. stock – კაპიტალი, ქონება] – იმპორტიორი ფირმა, რომელიც ახორციელებს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს კონსიგნაციის წესით ხელშეკრულების საფუძველზე. აქვს საკუთარი საწყობი, ყიდულობს და ყიდის საქონელს თავისი სახელითა და ხარჯით.

სტრატეგია [ბერძ. strategia] – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის ხელოვნება.

სტრინგი [ინგლ. string – რიგი, სერია] – ერთგვაროვანი საქონლის ჯგუფი, რომელიც აუქციონზე ერთ ერთეულად გამოდის და საერთო ფასით იყიდება.

„სტრიტ-ნეიმი“ – ფასიანი ქაღალდები, რომლებიც კლიენტის ნაცვლად ბროკერის სახელზეა გამოწერილი.

სუბვენცია [ლათ. subvenire] – იგივეა, რაც სუბსიდია; ფულადი დახმარება, რომელსაც ცენტრალური ორგანოები განსაზღვრული ღონისძიების, ობიექტის მიზნობრივი დაფინანსებისათვის გამოყოფენ.

სუბიექტი ეკონომიკური [ლათ. subjectum – პირი, სუბიექტი] – პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ, სამეურნეო საქმიანობას, იქნება ეს ცალკეული ადამიანი, ოჯახი, საწარმო თუ სახელმწიფო.

სუბიჟარა [ლათ. sub – ქვეშ და პოლ. arenda] – მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების

ნაწილის იჯარით გადაცემა მესამე პირისათვის, რომლის დროსაც მოიჯარე ხდება იჯარით გამცემი იმ პირის მიმართ, რომელიც მოიჯარის როლში გამოდის.

სუბორდინაცია [ლათ. subordination] – უფროსებისადმი უმცროსების სამსახურებრივი დაქვემდებარების სისტემა, სამსახურებრივი დისციპლინის დაცვა.

სუბსიდი [ლათ. subsidium – დახმარება, მხარდაჭერა] – ფულადი ან მატერიალური დახმარება, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სპეციალური ფონდებიდან ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, სხვა სახელმწიფოებს მიეცემა. უშუალოდ მიცემულ დახმარებას **პირდაპირ სუბსიდიებს**, ხოლო საგადასახადო შეღავათებს – **არაპირდაპირ სუბსიდიებს** უწოდებენ.

სუბსტიტუტი [ლათ. substitutum – ვდებ ნაცვლად] – საქონელი, რომელიც მისი მსგავსი თვისებების მქონე სხვა საქონელს ცვლის.

სუვერენი [ფრანგ. souverain] – უმაღლესი ძალაუფლების მპყრობელი.

სუვერენიტეტი [გერმ. Souveränität – უზენაესობა] – სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობა საერთაშორისო ურთიერთობებში.

სუვერენიტეტი ეკონომიკური – (სამართ.). სახელმწიფოს, რეგიონის ეკონომიკური დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფოებისა და რეგიონებისაგან.

სუპერმარკეტი [ინგლ. Supermarket – მნიშვნელოვანი ბაზარი] – (ვაჭრ.). მსხვილი მაღაზია, რომელშიც მრავალი სხვადასხვაგვარი საქონელია წარმოდგენილი.

სუროგატი [ლათ. surrogatus – სხვის ნაცვლად] – (ეკონ.). ყალბი, ფალსიფიცირებული პროდუქტი.

ტ

ტაბელი [ლათ. tabula, გერმ. Tabelle – ცხრილი] – 1. გარკვეული წესით შედგენილი ობიექტებისა და პირების ჩამონათვალი; სია. 2. სამუშაოზე მუშაების მისვლა-წასვლის აღრიცხვის დოკუმენტი.

ტაბულაბრამა [ლათ. tabula და ბერძ. gramm – წერითი ნიშანი] – საანგარიშგებო დოკუმენტი, გაანგარიშების შედეგი, აღბეჭდილი ტაბულატორზე ან კომპიუტერის საბეჭდო მოწყობილობაზე.

ტაბულატორი [ლათ. tabula – დაფა] – გამომთვლელი მანქანა.

ტაიმინგი [ინგლ. timing – დროის არჩევა] – საბირჟო ტერმინი, რომელიც ნიშნავს ყველაზე უფრო ხელსაყრელ მომენტს აქციების ყიდვა-გაყიდვისათვის.

ტაიმ-ჩარტერი [ინგლ. time charter] – (ზღვ.). ხელშეკრულება სავაჭრო გემის იჯარით აღებაზე გარკვეული დროით, ჩვეულებრივ, არაუმეტეს 12 თვისა.

ტალიმანი [ინგლ. tallyman] – საქონლის განვადებით გამყიდველი.

ტალონი [ფრანგ. talon] – 1. (ეკონ.). ქაღალდი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას მიიღოს სიკეთე, ფასეულობა, ნივთი. 2. დოკუმენტის ნაწილი, რომელიც დამოუკიდებელი სახით გამოიყენება.

ტანტიემი [ფრანგ. tantième] – დამატებითი გასამრჯელო, პრემია, რომელიც ფირმის ზემდგომ ხელმძღვანელ შემადგენლობას ფირმის მიერ მიღებული წმინდა მოგებიდან მიეცემა.

ტარა [იტალ. tara, არაბ.-დან tarha – გამოქვითვა] – საქონლის საფუთავი.

ტარბეტირება [ინგლ. target – მიზანი] – ფულადი სისტემის მიზნობრივი ორიენტირების დადგენა, ფულის მასის ნამატის რეგულირება, რასაც თავის პოლიტიკაში იყენებენ ცენტრალური ბანკები.

ტარიფი [ფრანგ. tarif] – (ეკონ.). გადასახადის განაკვეთი სხვადასხვაგვარი მომსახურებისათვის.

ტარიფიკაცია [ფრანგ. tarification] – რისამე ტარიფის დადგენა.

ტაქსა [გერმ. taxe, ლათ.-დან taxare – შეფასდეს] – ტარიფების, ფასების, ანაზღაურების მკაფიოდ დადგენილი დონე; ნიხრი.

ტაქსაცია [ლათ. taxatio] – რისამე ნიხრის დადგენა; შეფასება.

ტაქტიკა [ბერძ. taktikē – ჯარის დარაზმების ხელოვნება] – 1. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბრძოლის ხერხები. 2. (გადატ.). რაიმე მიზნის მისაღწევი ხერხები.

ტაქტიკა ეკონომიკური – ხანმოკლე ეკონომიკური ქცევა, რომელიც მიმდინარე სიტუაციიდან გამომდინარე შედარებით ხანმოკლე პერიოდისათვის არის გათვლილი.

თეზაურუსი [ბერძ. thesauros – განძი] – 1. მოსახლეობის მიერ ფულის დაგროვება მიმოქცევიდან მისი ამოღების გზით. 2. კერძო პირების მიერ ოქროს დაგროვება განძის სახით. 3. ქვეყნის ოქროს მარაგის შექმნა.

ტელემაკეტივინგი [ინგლ. telemarketing] – (ვაჭრ.). გასაღება ტელეკომუნიკაციების დახმარებით.

ტელეგრაფიკული კავშირი [ინგლ. telegraf exchange] – სატელეგრაფო-საბონენტო კავშირგაბმულობის ერთიანი საერთაშორისო ავტომატიზებული სისტემა ინფორმაციის ოპერატიული გადაცემისათვის.

ტელეშოპინგი [ინგლ. teleshopping] – საცალო ვაჭრობა ტელეკომუნიკაციურ საშუალებათა დახმარებით; საქონლის შეკვეთა ნიმუშების მიხედვით ტელეფონით, სახლში მიტანით.

„ტელო“ – საკუთრება მზრუნველის ხელში; ძირითადი თანხა, კაპიტალი.

ტენდენცია [ლათ. tendo – მივისწრაფი] – ანალიზის შედეგად გამოვლენილი მყარი ურთიერთობები, ძირითადი ნიშნები, თვისებები, მიმართულებები.

ტენდერი [ინგლ. tender] – ღია ან დახურული კონკურენტული ვაჭრობა.

ტირორი [ლათ. terror] – შიში, საშინელება.

ტირორიზმი [ინგლ. terrorism] – პოლიტიკური მიზნებით განხორციელებული ძალადობის აქტი. დანაშაული, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლებაზე ზემოქმედებას, მის დაშინებას და იძულებას. **ტერორისტი** – პირი, რომელიც ახორციელებს ძალადობის აქტს პოლიტიკური მიზნებით.

ტესტი [ინგლ. test] – 1. რაიმეს მუშაობის ხარისხის შემოწმება. 2. გამოცდის ჩატარების საშუალება.

ტექნიკა [ბერძ. technē – ხელოვნება] – 1. (დიპლ.). მოღვაწეობის წარმართვის ხერხების ერთობლიობა. 2. საწარმოო საქმიანობაში ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობა შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

ტექნოკრატია [ბერძ. technē – ხელოვნება და kratos – ძალაუფლება] – 1. მმართველ ხელისუფლებაში ინჟინრებისა და მეცნიერების გადასვლა. 2. ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენებისადმი წმინდა ტექნიკური პოზიციებიდან მიდგომა.

ტექნოლოგია [ბერძ. technē – ხელოვნება და logos – მოძღვრება] – 1. მეცნიერება ნედლეულის, ნაკეთობებისა და ნახევარფაბრიკატების დამუშავების ფიზიკურ-ქიმიური და სხვა ხერხების შესახებ. 2. გარკვეული წესითა და თანამიმდევრობით განხორციელებულ ოპერაციათა ერთობლიობა.

ტექნოლოგიური პარკი [ინგლ. industrial park] – მეცნიერებისა და წარმოების ტერიტორიული ინტეგრაციის ახალი ფორმა, რომელიც, ძირითადად, თავისუფალ სავაჭრო ზონებშია განვითარებული.

ტექნოპოლისი [ბერძ. technē – ხელოვნება და polis – ქალაქი] – თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ინოვაციური პროცესების დასაჩქარებლად იქმნება.

„ტვისტი“ [ინგლ. twist] – სახელმწიფო ორგანოების მცდელობა შეცვალონ პროცენტული განაკვეთების დროებითი სტრუქტურა.

ტიკერი [ინგლ. tiker] – სისტემა, რომელიც „მორბენალი სტრიქონით“ ელექტრო ტაბლოზე ასახავს ყველაზე უკანასკნელ საბირჟო გარიგებათა კურსებს.

ტიკი – ბირჟაზე კურსის მინიმალური მერყეობა, რომელიც დადგენილია საბირჟო წესებით.

ტირაჟი [ფრანგ. tirage – წევა] – სესხის ან ლატარიის მოგებათა გათამაშება.

ტიტული [ლათ. titulus – წარწერა, საპატიო წოდება] – 1. იურიდიული, დოკუმენტური დასაბუთება უფლებისა გარკვეულ ქმედებებზე, განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, ქონებაზე, საქონლის ფლობაზე. 2. განსაკუთრებული კარი კანონში ან კანონთა კოდექსში.

„ტომ-ნემსტი“ – კომბინირებული საბირჟო გარიგება, რომელიც ფაქტობრივად იწვება

მეორე, ხოლო მთავრდება მესამე დღეს. მაგ., ერთდროულად ვალუტის ყიდვა მიწოდებით შემდეგ სამუშაო დღეს და გაყიდვით მეორე სამუშაო დღეს.

ტონაჟი [ინგლ. tonnage] – რეგისტრირებული ტევადობა, სატრანსპორტო საშუალების ტვირთამწოვობა, გამოსატყუი ტონობით.

ტოპიკსი [ინგლ. TOPIX – Tokio stock price index] – ფასიანი ქაღალდების ფასების სპეციალური ინდექსი ტოკიოს საფონდო ბირჟაზე.

ტოტალიტარიზმი [ფრანგ. totalitaire] – პოლიტიკური სისტემა, რომელშიც სახელმწიფოს აბსოლუტური ძალაუფლება აქვს თავის მოქალაქეებზე.

ტრადიცია [ლათ. traditio – გადაცემა] – ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობას გადაცემული წეს-ჩვეულებები, ყოფაქცევის ნორმები, შეხედულებები და სხვ.

ტრაპაცია – წინასწარი წინადადება საქონლის გაყიდვის ან ყიდვის შესახებ, იმ მიზნით, რომ გაირკვეს დაინტერესებულ პირთა რეაქცია.

ტრანზიტი [ლათ. transitus] – ტვირთების გადაზიდვა, მგზავრების გადაყვანა შუალედური პუნქტის გავლით.

ტრანს- [ლათ. trans -ით, გავლით, გამჭოლ] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნავს: 1. მოძრაობას რისამე გავლით. 2. რისამე საშუალებით გადაცემას.

ტრანსაქცია [ლათ. transactio – შესრულება, ხელშეკრულება] – 1. საბანკო ოპერაცია, რომლითაც ხდება ფულადი სახსრების გადაგზავნა ერთი ანგარიშიდან მეორეზე. 2. პოლიტიკურ-იურიდიული შეთანხმება, რომელსაც თან ახლავს ურთიერთდათმობა.

ტრანსლაცია [ინგლ. translatio] – საქონლის ღირებულების გადაანგარიშება ერთი ვალუტიდან მეორეში.

ტრანსპორტი [ლათ. transporto – გადამაქვს] – 1. მეურნეობის დარგი, რომელსაც გადაჰყავს მგზავრები და გადააქვს ტვირთი. 2. ბანკის წერილობითი ბრძანება თავისი კორესპონდენტებისადმი ბრძანებაში მითითებული პირისათვის თანხის მისაცემად.

ტრანსფერი, ტრანსფერტი [ინგლ. transfer, ფრანგ. transfert – გადაცემა] – 1. უცხოური ვალუტის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაგზავნა. 2. ერთი პირის მიერ მეორისათვის ფასიანი ქაღალდების ფლობის უფლების გადაცემა. 3. გარიგების მიხედვით საზღაურის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანა. 4. ერთი ქვეყნიდან მეორეში მოქალაქეთა გადასვლა.

ტრანსფორმაცია [ლათ. transformatio – შეცვლა] – ეკონომიკური საქმიანობის სტრუქტურების, ფორმებისა და ხერხების გარდაქმნა, მისი მიზნობრივი მიმართულების შეცვლა.

ტრანშა, ტრანში [ფრანგ. tranchée] – საობლიგაციო სესხის სერია, რომელიც ცალკე გამოშვებად გამოდის.

ტრასანტი [გერმ. Trassant, იტალ.-დან trassante] – გადასაგზავნი თამასუქის მფლობელი, რომელიც პასუხისმგებელია მის აქცეპტსა და გადახდაზე.

ტრასატი [გერმ. Trassat, იტალ. trassate – თამასუქის გადაგზავნა] – გადასაგზავნი თამასუქის გადამხდელი, მოვალე.

ტრასტი – 1. იურიდიული დოკუმენტი ან იურიდიული ქმედება, რომელიც ერთ პირს მეორის მხრიდან აკისრებს ნდობითი საკუთრების მართვის იურიდიულ ფუნქციას, მინდობილობას. 2. საკუთრების ნდობითი მართვის პროცესი.

ტრასტ-კომპანია – 1. კომპანია, რომელიც ასრულებს ნდობით ფუნქციას, ე.ი. მოქმედებს იმ პირის დავალებით, რომელმაც ანდო მას ეს ქმედება. 2. ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც ქონებას მისი მფლობელის დავალებით მართავს.

ტრასტ-სერტიფიკატი [ინგლ. trust certificate] – ფასიანი ქაღალდი, რომელსაც მიზნობრივად ახალი მოწყობილობის შეძენისათვის უშვებენ.

ტრასტული შეთანხმება – შეთანხმება ბანკსა და კლიენტს შორის, რითაც ბანკი თავის თავზე იღებს კლიენტის თანხების მართვაზე ზრუნვას.

ტრატა [იტალ. tratta] – გადასაგზავნი თამასუქი, საგარეო ვაჭრობაში: საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

ტრატა დომიცილირებული [ინგლ. domiciled bill] – ტრატა,

რომელზეც აქცეპტანტის მიერ მითითებულია გადახდის ადგილი.

ტრეიდი [ინგლ. trade – ვივაჭრობა] – 1. საბირჟო ვაჭრობაში მონაწილე საბროკერო ფირმის მუშაკი. 2. ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც უფლება აქვს დადოს გარიგება ბირჟაზე. 3. მოვაჭრე.

ტრენდი [ინგლ. trend] – ეკონომიკური მაჩვენებლების შეცვლის მიმართულება, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და ამის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის ან დაცემის ტენდენციის დადგენით.

ტრუსტი [ინგლ. trust] – ფირმების გაერთიანება, რომელშიც მისი მონაწილეები თავიანთ სავაჭრო-საწარმოო მმართველობით ფუნქციებს ცენტრის ხელმძღვანელობას გადასცემენ.

ტრიბუნალი [ლათ. tribunal] – საგანგებო სასამართლო.

ტრიგერი [ინგლ. trigger] – საკრედიტო შეთანხმების პირობები, რომლის დროსაც ავტომატურად ღვება რაიმე შედეგი, მაგ., კრედიტის ვადამდე დაფარვის მოთხოვნა.

ტრიპლიკატი [ინგლ. triplicate] – დოკუმენტი, რომელიც შედგენილია სამ ეგზემპლარად. შაერთაშორისო ვაჭრობაში: კონტრაქტის მესამე ეგზემპლარის ბეჭდით დამოწმება.

უ

უზურპაცია [ლათ. usurpatio] – ძალაუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდება, სხვისი უფლებების მითვისება.

უზუზრუშტი [ლათ. usus – გამოყენება და fructus – ნაყოფი, შემოსავალი] – (სამართ.) სხვისი საკუთრების შემოსავლის ან მიწის გამოყენების უფლება.

უიკენდი [ინგლ. week-end] – „კვირის ბოლო“; დასვენების დრო პარასკევსაღამოდან ორშაბათდღამდე (რომელსაც, ქალაქგარეთ ატარებენ).

ულტიმატუმი [ლათ. ultimum – უკანასკნელი] – ერთი სახელმწიფოს კატეგორიული მოთხოვნა მეორის მიმართ, რომლის შეუსრულებლობას მოსდევს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ან ძალის გამოყენება.

ულტიმო [იტალ. ultimo – უკანასკნელი, ბოლო] – კომერციულ და საბირჟო პრაქტიკაში: თვის ბოლო დღე, გარიგების დამთავრების ბოლო ვადა.

ულტრა [ლათ. ultra] – პრეფიქსი, რომელიც აღნიშნავს ექსტრემალურს, უკიდურესს (მაგ., ულტრათანამედროვე).

ულტრა ვირუსი [ლათ. ultra vires – შესაძლებლობის ზევით] – საქმიანობა, რომელიც გარკვეულ უფლებებს აღემატება და უფლებამოსილებათა ჩარჩოებს მიღმაა გამოსული.

უნია [ლათ. unio – ერთიანობა, გაერთიანება] – საერთაშორისო

სამართალში ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება ერთი სახელმწიფოს მეთაურობით.

უნიტარული [ფრანგ. unitaire] – მთლიანი, ერთიანი. უნიტარული სახელმწიფო – ფედერაციულ ერთეულებად (შტატები, მხარეები და სხვ.) დაუყოფადი სახელმწიფო.

უნიფიკაცია [ლათ. unus – ერთი და facio – ვაკეთებ] – საერთო ნორმაზე გადაყვანა; გაერთიანება.

უნცია [ლათ. uncia] – წონითი ერთეული (დაახლოებით, 30 გრ.).

უოლ-სტრიტი [ინგლ. Wall-Street] – ნიუ-იორკში: ქუჩა, სადაც მოთავსებულია უდიდესი ბანკები, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა და სხვ.

უორანტი, ვარანტი [ინგლ. warrant] – მოწმობა, რომელიც გაიცემა საქონლის შესანახად მიღების თაობაზე საქონლის წონის, ხარისხისა და რაოდენობის მითითებით.

ურბანიზაცია [ფრანგ. urbanisation] – მრეწველობისა და მოსახლეობის მსხვილ ქალაქებში თავმოყრა.

უტილიზაცია [ლათ. utilis – სასარგებლო] – წარმოების ნარჩენების (ჯართი და სხვ.) მეორადი გამოყენება.

უტილიტარიზმი [ლათ. utilitas – სარგებელი, გამორჩენა] – ეკონომიკური აზრის მიმდინარეობა, რომელიც საგნებს, ნივთებს, პროცესებსა და მოვლენებს მათი სარგებლიანობის, გამოყენების თვალსაზრისით აფასებს.

ფ

ფაბრიკატი [ლათ. fabricatus – დამზადებული] – გადამამუშავებული მრეწველობის დამთავრებული პროდუქტი, მზა ნაწარმი.

ფავორიტი [ფრანგ. favorite, ლათ. favor – კეთილგანწყობილება] – 1. ადამიანი, რომელიც სარგებლობს მაღალი თანამდებობის მქონე პირის კეთილგანწყობით. 2. კორპორაცია, ფირმა, რომელსაც კონკურენტულ ბრძოლაში სხვებთან შედარებით მოგების მიღების მეტი შანსი აქვს.

ფალსიფიკაცია [ლათ. falsifico – გაყალბება] – რაიმე ნამდვილის, ჭეშმარიტის შეცვლა მცდარით, ყალბით; რისამე გაყალბება, ხარისხის გაუარესება.

ფაო [ინგლ. FAO] – გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია.

ფას-ი [ინგლ. FAS, free alongside ship – თავისუფალია გემის ბორტის გასწვრივ] – საერთაშორისო ვაჭრობაში გავრცელებული საბაზისო პირობა, რომელიც საქონლის მიწოდებისა და განაღდების წესს განსაზღვრავს.

ფაქსიმილე [ლათ. fac simile – გააკეთე მსგავსი] – ბეჭედი, კლიშე, რომლის გამოყენებით ადამიანის ხელმოწერა მეორდება.

ფაქტორი [ინგლ. factor – აგენტი, შუამავალი] – 1. საწარმოს (ეკონომიკის) განვითარების ერთ-ერთი ძირითადი რესურსი (მიწა, შრომა, კაპიტალი, მეწარმეობა). 2. აგენტი, რომელსაც

ევალება და აქვს საქონლის გაყიდვის უფლებამოსილება.

ფაქტორია [ინგლ. factory < ლათ.] – სავაჭრო დასახლება შემოზიდული და გასაზიდი საქონლის საწყობებით, რომლებიც განლაგებულია სხვა ქვეყანაში.

ფაქტორინგი [ინგლ. factoring, factor-გან – აგენტი, შუამავალი] – ფინანსური მომსახურების (ვალების ამოღება) სახეობა, რომელსაც კომერციული ბანკები წვრილ და საშუალო ფირმებს უწევენ.

ფაქტურა [ლათ. factura – დამუშავება, აგებულება] – გამყიდველის მიერ მყიდველის სახელზე გამოწერილი სასაქონლო დოკუმენტი ანგარიშის სახით, რომელიც გაყიდული საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების შესახებ მონაცემებს შეიცავს.

ფედერაცია [ლათ. federation – კავშირი, გაერთიანება] – სახელმწიფო წყობილების ფორმა, მმართველობის ტიპი; სახელმწიფოების ან ორგანიზაციების ჯგუფი, რომელთაც ჰყავთ ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც მათი წარმომადგენელია და მათ საერთო ინტერესებს იცავს.

ფიასკო [იტალ. fiasco] – ჩავარდნა, სრული წარუმატებლობა, მარცხი.

ფიდუცია [ლათ. fiducia] – ნდობაზე დამყარებული ხელშეკრულება.

ფილანთროპი – ნდობით აღჭურვილი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მართავს ქონებას და ატარებს მასზე პასუხისმგებლობას სხვა პირის სასარგებლოდ.

ფილანთროპი [ბერძ. Philanthropos] – ქველმოქმედი, მოწყალე ადამიანი.

ფილიერა – გამყიდველის მიერ გაცემული განსაკუთრებული თამასუქი, რომლის მფლობელს წინადადება ეძლევა მიიღოს მიტანილი საქონელი, რომელიც მასზე მიყიდულია გარკვეული პირობებითა და ფასით.

ფინანსები [ფრანგ. finance, ლათ. financia – ნაღდი ფული, შემოსავალი] – განმაზოგადებელი ეკონომიკური ტერმინი; ფულადი სახსრები, ფინანსური რესურსები, განხილული მათ შექმნა-მოძრაობაში, განაწილება-გადაანაწილებაში, გამოყენებაში.

ფიო [ინგლ. FIO] – საერთაშორისო ვაჭრობაში გავრცელებული საქონლის მიწოდების პირობა, რომლის თანახმად ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ღირებულების გადახდა ტვირთის გამგზავნის ან გემის მფლობელის მიერ ხდება.

ფირმა [იტალ. firma] – იურიდიული პირის უფლების მქონე საწარმოს, კომპანიის ზოგადი სახელწოდება.

ფისკი [ლათ. fiscus] – (ფინანს.). სახელმწიფო ხაზინა.

ფიუჩერსი [ინგლ. future – მომავალი] – აქციების, ვალუტის ან საქონლის ყიდვა-გაყიდვა

მომავალში მისაწოდებლად. 1. სასწრაფო გარიგება ფასების რყევისაგან თავდასაღწევად; შეთანხმებულ დროში ყიდვის ან გაყიდვის კონტრაქტი. 2. გარკვეული ვადით შესყიდული საქონელი. 3. ვადიანი ხელშეკრულებები.

ფიუჩერსული ბარიბეზები, ფიუჩერები [ინგლ. futures – საქონელი, შეძენილი წინასწარ, დასწრებით] – ბირჟაზე სასწრაფოდ დადებული გარიგებები სახელმწიფო საქონლის, ოქროს, ვალუტის, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ გარაგების დადების მომენტში მოქმედი ფასებით, ნაყიდი საქონლის მიწოდებითა და შემდგომში განადგობით.

ფიუჩერსული კონტრაქტი – შეთანხმება, რომელიც იყიდება ბაზარზე, როგორც ფასიანი ქაღალდები.

ფიქცია [ლათ. fictio] – 1. მოგონილი, შემოხზული რამ. 2. სინამდვილის შეუფერებელი, გამოგონილი მდგომარეობა, რომელსაც რაიმე მიზნით იყენებენ როგორც ნამდვილს.

ფიქსაცია [ფრანგ. fixation] – რისამე აღნიშვნა, რეგისტრირება, საბოლოოდ განსაზღვრა. მაგ., საქონლის, ფასიანი ქაღალდების ფასების განსაზღვრულ დონეზე შეჩერება.

ფიქსინგი [ინგლ. fixing, ინგლ. fix – განმტკიცება, დადგენა] – საქონლის ფასი, რომელიც დადგენილია ბირჟაზე დროის მოცემულ მომენტში.

ფიქციური კაპიტალი [ფრანგ. fictif, ლათ. fictio – მოგონილი, შეთხზული] – კაპიტალი, რომელიც რეალურისაგან განსხვავებით, მატერიალურ-ნივთობრივ ან სულიერ ფასეულობას არ წარმოადგენს. იგი, ჩვეულებრივ, ფასიანი ქაღალდია, რომელიც მათ მფლობელებს აძლევს შემოსავლის მიღების უფლებას დივიდენდების, პროცენტების სახით.

ფლუქტუაცია [ლათ. fluctuatio] – (ფინანს.). გაცვლითი კურსის მერყეობა.

ფობი [ინგლ. FOB (Free on board) – თავისუფლად გემის ბორტზე] – საერთაშორისო ვაჭრობაში: საქონლის გადაზიდვის ერთ-ერთი პირობა, რომლის თანახმად გამყიდველი ვალდებულია მიიტანოს საქონელი ნავსადგურში და დატვირთოს იგი მყიდველის მიერ მითითებულ გემზე.

ფონდი [ფრანგ. fond, ლათ. fondus-დან – დაარსება, დაფუძნება] – 1. მარაგი, ფულადი სახსრების დაგროვება, ფულადი კაპიტალი. 2. ფულადი და მატერიალური საშუალებები, რომლებიც თავმოყრილია ერთად გარკვეული მიზნებისათვის. 3. ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელიც შექმნილია გარკვეული ჯგუფის ადამიანთა დახმარების გასაწევად (მაგ., საქველმოქმედო, სამეცნიერო და სხვ.).

ფორექსი [ინგლ. FXall] – ელექტრონული საფონდო ბირჟა აშშ-ში, ევროპასა და აზიაში.

ფორვარდი [ინგლ. forward – წინ] – ვადიანი, სწრაფი ანგარიშსწორების ფორმა, რომელიც გარიგების დადების შემდეგ არა უმეტეს ორი სამუშაო დღის განმავლობაში ტარდება.

ფორმალური [ლათ. forma] – 1. გარკვევით და იურიდიულად სწორად დაწერილი. 2. მხოლოდ გარეგნული, არაარსებითი, მოჩვენებითი. **ფორმალობა** – ოფიციალური პროცედურა, ან ის, რაც უნდა გაკეთდეს კანონის ან ჩვეულების თანახმად.

ფორმულიარი [გერმ. Formular, ლათ. formula -გან – ფორმა, წესი] – საგაჭრო დოკუმენტი, ხელშეკრულება, რომლის ტექსტი ძირითადად შედგენილია წინასწარ და მხოლოდ რამდენიმე სტრიქონის შევსებასა და ხელმოწერას ითხოვს, რის შემდეგაც ის იურიდიულ ძალას იძენს.

ფორსმაჟორი [ფრანგ. fore majeure] – ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია; გადაუღალახავი დაბრკოლება.

ფორუმი [ლათ. forum] – 1. ფართო წარმომადგენლობითი კრება. 2. (გადატ.). ადგილი, სადაც იმართება შეკრება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ფორფეიტინგი [ფრანგ. a forfait – მთლიანად, საერთო თანხით] – ექსპორტიორების, გამყიდველების დაკრედიტების თავისებური ფორმა საქონლის გაყიდვის დროს, რომელიც საგარეო ვაჭრობაში უფრო გამოიყენება. ამ ოპერაციის დროს ბანკი (ფორფეიტორი) ექსპორტიორისაგან გამო-

ისევე იმპორტიორის ფულად ვალდებულებას – გაანადღოს მის მიერ ნაყიდი საქონელი მაშინვე საქონლის მიწოდების შემდეგ და ვადაძლე, მთლიანად ან ნაწილობრივ თავად უნაღდებს საქონლის ღირებულებას ექსპორტიორს. ვადაძლე განაღდებისათვის ბანკი-ფორფეიტორი ექსპორტიორს პროცენტს ახდევინებს.

ფოსტისი – მოთხოვნისა და გასაღების სტიმულირების ფორმების ღონისძიება.

ფრა [ინგლ. FRA, forward rate agreement] – (ეკონ., სამართ.). კონტრაქტი ბანკსა და ფირმას შორის, რომელიც განსაზღვრული ოდენობის თანხაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცვლელი პროცენტული განაკვეთის გარანტიას იძლევა.

ფრანკო [იტალ. franco – თავისუფალი] – საერთაშორისო ვაჭრობაში: ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საქონლის დატვირთვას და გაგზავნას გამყიდველის ხარჯით.

ფრაქცია [ფრანგ. fraction] – (პოლიტ.). 1. ადამიანების ჯგუფი უფრო დიდი ორგანიზაციის შიგნით. მაგ., პოლიტიკური პარტიისა, ვისაც განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნია ან განსაკუთრებული მიზნები აქვს და პარტიის ძირითად ხაზს არ იზიარებს. 2. პარლამენტში: ამა თუ იმ პარტიის დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც იქმნება პარტიის მიერ შემუშავებული ხაზის გასატარებლად.

ფრანშიზა [ფრანგ. franchise – შეღავათი] – 1. ისეთი კომერ-

ციული საწარმოს შექმნის უფლება, რომელიც თავისი უფროსი პარტნიორის საქონლით ვაჭრობს. 2. დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული ქონების დამზღვევი პირის ზარალის ნაწილი, რომელიც მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

ფრახტი [გერმ. Fracht] – 1. ტვირთის გადაზიდვის გადასახდელი წყლის ტრანსპორტით. **დაფრახტვა** – დაქირავება. 2. ტვირთი, გადაზიდული ფრახტით და თავად ტვირთის გადაზიდვა.

ფრი-რაიდერი [ინგლ. free rider] – ბირჟის კლიენტი, რომელიც იყენებს ხელშეკრულებაში ადრე შეთანხმებულ ვადაზე გარიგების სასწრაფო განაღდების პრაქტიკას, რის ხარჯზეც ბირჟის წესების გვერდის ავლით დამატებით მოგებას იღებს.

ფრიტრეიდერობა [ინგლ. freetrade] – ეკონომიკური მიმდინარეობა, რომელიც სამეურნეო ცხოვრებაში ვაჭრობის თავისუფლებასა და სახელმწიფოს ჩაურევლობას ემხრობა; თავისუფალი ვაჭრობა.

ფრიჰოლდი [ინგლ. freehold] – მიწის ან ქონების განუსაზღვრელი დროით (საპირისპ. იზ-ჰოლდი) ფლობის აბსოლუტური უფლება რენტის გადახდის გარეშე.

ფრუსტრაცია [ინგლ. frustration] – (სამართ.). ხელშეკრულების ამოუება, მისი გეგმების დარღვევა, მოშლა.

ფუნდამენტური [ლათ. fundamentum] – 1. ძირითადი; მთავარი. 2. (გადატ.). არსებითი.

მაგ., ხელშეკრულების არსებითი პირობა, რომლის შეუსრულებლობა მეორე მხარეს ამ შეთანხმების გაწყვეტის უფლებას აძლევს.

ქ

ქარიზმა [ინგლ. charisma] – გავლენა, დაფუძნებული ხელმძღვანელის პიროვნულ თვისებებზე ან მის უნარზე შემოიკრიბოს მომხრეები.

ქართია [ბერძ. chatēs] – სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ზოგი დოკუმენტის სახელწოდება. მაგ., თავისუფლების დიდი ქარტია.

ქანვასერი [ინგლ. canvasser] – პირი, რომელიც ხმების მოსაგროვებლად ბინებში დადის.

უ

შანტაჟი [ფრანგ. chantage] – (სამართ.). სახელის გამტეხი ფაქტების (ნამდვილისა თუ მოგონილის) გამოძევაგების მუქარა და ამ გზით გამოძალვა (ფულისა, ქონებისა და სხვ.).

შარიათი [არაბ. šariāt] – ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში: რელიგიურ-იურიდიული ნორმების ერთობლიობა.

შიიხი [არაბ. šeih] – მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო პირი, ღვთისმეტყველი და სამართლისმცოდნე.

შირიფი [ინგლ. sheriff] – ინგლისისა და აშშ-ის საგრაფოებში: თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს.

შიში [ინგლ. chief – ყველაზე მნიშვნელოვანი] – მთავარი: თანამდებობის პირი; ხელმძღვანელი; ლიდერი.

შიპანერი – არაკეთილსინდისიერი მოვაჭრე.

შოკური თერაპია [ფრანგ. chok – დარტყმა] – ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის რადიკალურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია მისთვის დამახასიათებელი უარყოფითი მოვლენების – ფასების ზრდის, ინფლაციის და ა.შ. შემცირებისაკენ.

შომაჟი – სტიქიური მოვლენების გამო წარმოების გაჩერების შედეგად ფინანსური ზარალის დაზღვევა.

შოპ-ტური [ინგლ. shop tour] – ორგანიზებული საზღვარგარეთული მოგზაურობა მარშრუტით, რომლის მთავარი მიზანია ფართო მოხმარების საქონლის შეძენა, როგორც წესი, მისი შემდგომი გადაყიდვისათვის.

შტატი [ინგლ. State] – 1. ფედერალური სახელმწიფოს ნახევრადამოუკიდებელი ნაწილი. 2. მმართველობითი სტრუქტურის ერთეული.

შტრაიკბრეხერი [გერმ. Streikbrecher] – პირი, რომელიც აგრძელებს მუშაობას, როდესაც გაფიცვაა გამოცხადებული.

შულერი [პოლ. szuler] – თაღლითი, პროფესიონალი ყალბათაბანდი.

ჩ

ჩარტერი [ინგლ. charter] – ტრანსპორტის (გემის, თვითმფრინავის, ავტობუსის) სპეციალური მიზნით დაქირავება, დაფრახტვა.

ჩეკი [ინგლ. check] – ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა; დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მეანობის განკარგულებას ბანკისადმი, რომ მან მიმდინარე ანგარიშიდან გადაუხადოს ან გადაურიცხოს წარმდგენს გარკვეული თანხა.

ც

ცედეტი [ლათ. cedo – ვუთმობ] – 1. სამოქალაქო სამართალში: პირი, რომელიც თავის კუთვნილ უფლებას სხვა პირს გადასცემს. 2. დაზღვევაში: სადაზღვევო კომპანია, რომელიც რისკს ხელახლა აზღვევს.

ცერემონია [ლათ. caerimonia – მოწიწება, თავგანისცემა] – (დიპლ.). ოფიციალური ხასიათის ზეიმი, რომელიც გარკვეული წესებით, წინასწარ შედგენილი გეგმით ტარდება.

ცესია [ლათ. cessia – გადაცემა] – (სამართ.). საკუთრების, სახსრების ფლობის ან მათი მიღების თავისი უფლების სხვა პირებზე გადაცემა. მაგ., კრედი-

ტორს (ცედენტს) ვალის მიღების თავისი უფლება შეუძლია სხვა პირს (ცესიონარს) გადასცეს.

ცესიონარი [ინგლ. cessionary] – 1. პირი, რომელიც კრედიტორი მისთვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ხდება. 2. მემკვიდრე, რომელსაც ფინანსური ოპერაციების ჩატარების ან მემკვიდრეობის უფლება გადაეცემა. 3. სადაზღვევო კომპანია, რომელიც ხელახალი დაზღვევის რისკს (გადამზღვევი) თავის თავზე იღებს.

ცივილისტიკა [ლათ. civilis] – სამოქალაქო სამართალი.

ციკლი [ბერძ. kyklos – წრე] – პროცესების, სამუშაოების, ოპერაციების ერთობლიობა, რომელიც მთლიანობაში დამთავრებულ წრიულ თანამიმდევრობას ქმნიან.

ცირკულარი [გერმ. Zircular, ლათ. circularis – წრიული] – ქვემდგომი ორგანოებისათვის ზემდგომი ორგანოს წერილობითი განკარგულება.

ჯ

ჯენტლმენური შეთანხმება – (დიპლ.). საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც დებენ ოფიციალურ ფორმალობათა დაუცველად, დაუწერლად (ზეპირად).

ჯობერი [ინგლ. jobber] – 1. პირი, რომელიც საფონდო ბირჟაზე თავისი ხარჯით ასრულებს ოპერაციებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით. 2. ფირმა, რომელიც იმპორტიორე-

ბისაგან ყიდულობს საქონლის დიდ პარტიებს სწრაფი გადაყიდვისათვის.

ჰ

ჰაირინგი [ინგლ. hiring] – მოწვობილობის საშუალოვადიანი ხელშეკრულება, ლიზინგის ერთ-ერთი ფორმა.

ჰაიტექ-კომპანია [ინგლ. hi-tech company] – კომპანია, რომელიც ნერგავს და იყენებს მაღალტექნოლოგიურ პროცესებს, მოწვობილობას, დამუშავებებს.

ჰარმონიზაცია [ბერძ. harmonia – თანაზომიერება] – (ეკონ.). გადასახადების ურთიერთშეთანხმებულობა, სისტემაში მოყვანა, უნიფიკაცია, კოორდინაცია, მოწესრიგება, ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფა.

ჰასტინგსი [ინგლ. hustings] – (პოლიტ.). წინასაარჩევნო კამპანია.

ჰეგემონია [ბერძ. hēgemonia] – (პოლიტ.). ერთი ძლიერი სახელმწიფოს მიერ მეზობელი სახელმწიფოების ჯგუფზე ბატონობა.

ჰედონიზმი [ბერძ. hedone – დიდი სიამოვნება] – ინდივიდის მისწრაფება თავისი კეთილდღეობის ზრდისაკენ მიღებული სიამოვნებისათვის.

ჰერ [გერმ. Herr] – გერმანიასა და ზოგ სხვა ქვეყანაში: მამაკაცის ხსენება ან მისდამი მიმართვა (ჩვეულებრივ, გვართან ერთად); ბატონი; ბატონო.

ჰეჯერი – სამეურნეო სუბიექტი, ფირმა ან ბანკი, რომელიც

ფიზიკურს ბირჟაზე ჰეჯირების ოპერაციებს აწარმოებს.

ჰეჯი – სასწრაფო (ხანგრძლივი) ოპერაცია, გარიგება, რომელიც იდება გამყიდველებისა და მყიდველების მოცემულ საქონელზე საბაზრო ფასის მომავალი შესაძლო ცვლილები-საგან დაზღვევის მიზნით.

ჰეჯირება, ხეჯირება – რისკის შემცირება, თავის დაზღვევა დანაკარგისაგან, რომელიც განპირობებულია გამყიდველებისა და მყიდველებისათვის საქონელზე საბაზრო ფასების არახელსაყრელი ცვლილებებით იმასთან შედარებით, რაც ხელშეკრულების დადების დროს იყო გათვალისწინებული.

ჰიპერინფლაცია [ბერძ. hyper – ზევით და ლათ. inflatio – გაბერილი] – ფულის მკვეთრი, სწრაფი გაუფასურება, მისი მყიდველობითუნარიანობის შემცირება, რაც ფასების მნიშვნელოვან ზრდაში ვლინდება.

ჰიპოთეზა [ბერძ. hypothesis – რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი, რომლის უმჯებლობა ჯერ ცდით არ არის დამტკიცებული.

ჰოლდინგი [ინგლ. holding] – კორპორაცია, კომპანია, მეთაური საწარმო, რომელიც მართავს ან აკონტროლებს სხვა საწარმოთა, (კომპანიათა) საქმიანობას.

„ჰომო ეკონომიკური“ [ლათ. Homo economicus] – 1. ადამიანი მაღალი ეკონომიკური ინტიუციითა და შემეცნებებით, რომელიც ეკონომიკური გადაწყვეტილებების ოპტიმალურ ვარიანტებს

იდებს. 2. ადამიანი, რომელიც შეუჩერებელ გამდიდრებას ესწრაფვის.

ჰონორარი [ლათ. honorarium] – ფულადი თანხა, რომელსაც დამსახურებისათვის უხდიან ლიტერატურული, მუსიკალური, მეცნიერული ნაწარმოებების, გამოგონებების ავტორს.

ჰოფმაკლერი [გერმ. Hofmakler] – ბირჟის მთავარი მაკლერი, რომელიც ბირჟის წევრების მიერ

საბირჟო მაკლერების შემადგენლობიდან განსაზღვრული ვადით აირჩევა.

ჰუმანიტარული დახმარება [ლათ. humanum – ადამიანური] – უსასყიდლო მატერიალური დახმარება, რომელიც ჰუმანიტარული მოსაზრებებით ხორციელდება.

ლათინური წარმომავლობის სამართალმცოდნეობითი სიტყვა-გამოთქმები

A

Actio [აკციო] – სარჩელი, მოქმედება.

Actio in rem [აკციო ინ რემ] – სანივთო სარჩელი.

Ante factum [ანტე ფაქტუმ] – სანამ მოხდებოდეს რამე.

Ab initio [აბ ინიციო] – თავიდან, დასაბამიდან, დასაწყისიდან.

Ad idem [ად იდემ] – შეთანხმებულიად.

A fortiori [ა ფორტიორი] – მით უმეტეს, განსაკუთრებით.

Ad hoc [ედ ჰოქ] – სპეციალურად, ამ შემთხვევისათვის.

Ad litem [ედ ლიტემ] – რაც სასამართლო საქმეს ეხება.

Alieni juris [ალიენი იურის] – სხვისი უფლების.

Allocatur [ალოკატურ] – ნებადართულია.

Amicus curae [ამიკუს კურაე] – მოსამართლის მეგობარი.

Amicus plato, sed magis amitas veritas [ამიკუს პლატო, სედ მაგის ამიკა ვერიტას] – პლატონი (ჩემი) მეგობარია, მაგრამ უფრო დიდი მეგობარია ჭეშმარიტება (არისტოტელე).

A priori [ა პრიორი] – იმთავითვე.

Argumenta et rationes [არგუმენტა ეტ რაციონეს] – მოსაზრებები და დასკვნები.

Argumentum ad hominem [არგუმენტუმ ად ჰომინემ] – არგუმენტი, რომელიც კონკრეტული პირის აზრს ემყარება.

argumentum ad rem [არგუმენტუმ ად რემ] – ნამდვილ ვითარებაზე დამყარებული არგუმენტი.

Audiatur et altare pars [აუდიატურ ეტ ალტარე პარს] – მოსმენილ იქნას მეორე მხარეც.

Audi, vide, sile! [აუდი, ვიდე, სილე] – უსმინე, უყურე, იყუჩე!

Aurea mediocritas [აურეა მედიოკრიტას] – ოქროს შუალედი (პორაციუსი).

Ausculata et perpende [აუსკულატა ეტ პერპენდე] – მოისმინე და აწონ-დაწონე.

Auscultare disce, si nescis loqui [აუსკულტარე დიცე, სი ნესცის ლოკვი] – ისწავლე მოსმენა, თუ ლაპარაკი არ იცი.

Ad valorem [ად ვალორემ] – ფასის, ღირებულების მიხედვით.

B

Bona causa [ბონა კაუზა] – სამართლიანი საქმე.

C

Calumnia [კალუმნია] – ცილისწამება, ცრუ ბრალდება.

Capitis condemnare [კაპიტის კონდემნარე] – სიკვდილის მისჯა.

Casus a nullo praestantur [კაზუს ა ნულო პრესტანტურ] – შემთხვევითობა დაუსჯელია.

Casus belli [კაზუს ბელი] – ომის საბაბი.

Carpe diem [კარპე დიემ] – გამოიყენე დრო, „მოწვიტე დღე“ (პორაციუსი).

Citius, altius, fortius [ციტიუს, ალტიუს, ფორტიუს] – „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო შორს“ (ოლიმპიური თამაშების დევიზი).

Cito [ციტო] – სწრაფად.

Conditio facti [კონდიციო ფაქტი] – ფაქტობრივი პირობა.

Conditio juris [კონდიციო იურის] – სამართლებრივი პირობა.

Conditio sine qua non [კონდიციო სინე კვა ნონ] – აუცილებელი პირობა.

Corpus delicti [კორპუს დელიქტი] – ნივთიერი მტკიცება, ძირითადი სამხილი.

Corpus juris civilis [კორპუს იურის ცივილის] – სამოქალაქო კანონთა კრებული.

Creditor [კრედიტორ] – ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი.

Carte blanche [ფრანგ. კარტ ბლანში] – „სუფთა ფურცელი“: მოქმედების სრული თავისუფლება.

Caveat emptor [კავეატ ემპტორ] – მყიდველი გაფრთხილდეს.

Cogito, ergo sum [კოგიტო, ერგო სუმ] – „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“ (დეკარტი).

Compus mentis [კომპუს მენტის] – საღი გონების მქონე, შერაცხადი.

Consensus omnium [კონსენსუს ომნიუმ] – ყველას თანხმობა.

Contra [კონტრა] – წინააღმდეგ.

Contra preferentem [კონტრა პრეფერენტემ] – მის წინააღმდეგ, ვინც ამტკიცებს. წესი, რომ დოკუმენტში რაიმე ორაზროვნება განიმარტება იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელმაც იგი შეადგინა.

Consensus ad idem [კონსენსუს ად იდემ] – მხარეთა ნების თანხვედრა.

Corpus delicti [კორპუს დელიქტი] – დანაშაულის დამატკიცებელი; ნივთმტკიცება.

Corpus legis [კორპუს ლიგის] – კანონთა კრებული.

Curriculum vitae [კურრიკულუმ ვიტე] – „ცხოვრების მიმდინარეობა“; მოკლე ცნობები ვისიმე ცხოვრების შესახებ.

D

Debitor [დებიტორ] – მოვალე.

Decredo non stetit [დეკრეტო ნონ სტეტიტ] – გადაწყვეტილებას არ ექვემდებარება.

De facto [დე ფაქტო] – ფაქტობრივად.

De jure [დე იურე] – იურიდიულად, კანონის საფუძველზე.

De lege lata [დე ლეგე ლატა] – მოქმედი კანონით.

De minimis non curat lex [დე მინიმის ნონ კურატ ლექს] – კანონს საჭმე არ უნდა ჰქონდეს ტრივიალურ (გაცვეთილი, სიახლეს მოკლებული) საკითხთან.

De novo [დე ნოვო] – თავიდან დაწყება.

Divide et impera [დივიდე ეტ იმპერა] – „გათიშე და იბატონე“ (რომაელი დამპყრობლების პოლიტიკური პრინციპი).

Docendo discimus [დოცენდო დისციმუს] – ვასწავლით რა, ჩვენც ვსწავლობთ“ (სენეკა).

Do ut des [დო უტ დეს] – „გაძლევ, რომ შენც მომცე“ (რომაული სამართლის პრინციპი).

Doli capax [დოლი კაპაქს] – დანაშაულის ჩამდენი.

Dominium et jur [დომინიუმ ეტ იურ] – საკუთრების უფლება.

Dum spiro, spero [დუმ სპირო, სპერო] – ვიდრე სული მიდგას ვიმედოვნებ (ოვიდიუსი).

E

Ego [ეგო] – მე.

Error juris [ერორ იურის] – შეცდომა კანონში (სამართალში).

Ex consensu [ექს კონსენსუ] – თანხმობით.

Ex facto oritur jus [ექს ფაქტო ორიტურ იუს] – საქმიდან იშვა კანონი.

Ex jure [ექს იურე] – კანონით, სამართლის ძალით.

Ex lege [ექს ლეგე] – კანონიდან გამომდინარე.

Ex officio [ექს ოფიციო] – კანონის ძალით, ოფიციალურად.

Ex post facto [ექს პოსტ ფაქტო] – ფაქტის (მომხდარის) შემდეგ.

F

Festima lente [ფესტიმა ლენტე] – „იჩქარე ნელა“; ნაუცბადევად ნუ გააკეთებ.

Fiat justitia [ფიატ იუსტიცია] – მართლმსაჯულება აღსრულდეს.

Fieri facias [ფიერი ფაციას] – დაე ეს მოხდეს.

Forum delicti [ფორუმ დელიქტი] – დანაშაულის ადგილი.

Fortes fortuna adjuvat [ფორტეს ფორტუნა ადიუვატ] – მამაცთ ბედი სწეალობთ (ტერენციუსი).

Functus officio [ფუნქტუს ოფიციო] – უფლებამოსილების ან იურისდიქციის არქონა.

G

Grata, rata et accepta [გრატა, რატა ეტ აკცეპტა] – დაკანონებული და მისაღები.

H

Homo sapiens [ჰომო საპიენს] – მოაზროვნე ადამიანი.

Homo sum, humani nihil a me alienum puto [ჰომო სუმ, ჰუმანი ნიჰილ ა მე ალიენუმ პუტო] – ადამიანი ვარ (და) არაფერი ადამიანური არ მეუცხოვება.

Humanum est errare [ჰუმანუმ ესტ ერრატე] – ადამიანისათვის დამახასიათებელია შეცდომები.

I

Ignorantia juris noset [იგნორაცია იურის ნოსეტ] – კანონის არცოდნა საზიანოა.

Incognito [ინკოგნიტო] – ფარულად.

In esse [ინ ესესე] – არსებული.

In flagrante delicto [ინ ფლაგრანტე დელიქტო] – დანაშაულის ჩადენის მომენტში.

In more [ინ მორე] – კანონიერად.

In pari delicto [ინ პარი დელიქტო] – სამართალდარღვევების განხორციელება თანასწორად. საქმიან პრაქტიკაში ამ პრინციპს ეწოდება „სუფთა ხელების დოქტრინა“.

In personam [ინ პერსონამ] – პირის საწინააღმდეგოდ.

In rem [ინ რემ] – რაიმეს საწინააღმდეგოდ.

In status quo [ინ სტატუს კვო] – ახლანდელ მდგომარეობაში.

Inter alia [ინტერ ალია] – სამართალშემოქმედება; სხვათა შორის; სხვა საკითხებთან ერთად.

In terrorem [ინ ტერორემ] – ტერორის (შიშის) გამოსაწვევად. გამოიყენება, როდესაც კონტრაქტში მუქარა იგულისხმება. ამ შემთხვევაში კონტრაქტი ძალადაკარგულად ითვლება.

Intra vires [ინტრა ვირეს] – მოქმედებათა უფლებამოსილების ფარგლებში.

Ipsa facto [იფსო ფაქტო] – თვით ფაქტის გამო.

Ipsa jure [იფსო იურე] – კანონის ძალით, წევრობის ძალით.

In vino veritas [ინ ვინო ვერიტაზ] – „ღვინოშია ჭეშმარიტება“; ნასვამი კაცი იტყვის სიმართლეს.

J

Jurisdictio [იურისდიქციო] – სასამართლო წარმოება, განსჯადობა, ძალაუფლება, კომპეტენცია.

Jus [იუს] – კანონი, უფლება, სასამართლო.

Jus gentium [იუს გენციუმ] – „ხალხთა უფლება“.

Jus civile [იუს ცივილე] – მოქალაქეთა სამართალი.

Jus cogens [იუს კოგენს] – იმპერატიული ნორმები.

Jus privatum [იუს პრივატუმ] – კერძო სამართალი.

Jus publicum [იუს პუბლიცუმ] – საჯარო სამართალი.

Iusta causa [იუსტა კაუზა] – „მართლზომიერი მიზეზი“; რისამე მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი.

Iustitia [იუსტიცია] – იუსტიცია.

Iustitia fundamentum regni [იუსტიცია ფუნდამენტუმ რეგნი] – სამართლიანობა ქვეყნის საფუძველია.

K

Know-how [ინგლ. ნოუ-ჰაუ] – სიტყვასიტყვით: „ვიცი, როგორ...“

L

Legem brevem esse oportet [ლეგემ ბრევემ ესე ოპორტეტ] – კანონი მარტივი უნდა იყოს.

Lex [ლექს] – კანონი.

Lex est ab aeterno [ლექს ესტ აბ ეტერნო] – კანონი მუდმივია.

Lex est, quod notamus [ლექს ესტ ქვოდ ნოტამუს] – კანონია ის, რასაც დავაკანონებთ.

Lex mercatoria [ლექს მერკატორია] – სავაჭრო სამართალი.

Lex generalis [ლექს გენერალის] – ზოგადი კანონი.

Lex non scripta [ლექს ნონ სკრიპტა] – დაუწერელი კანონი.

Lex posterior derogat legi priori [ლექს პოსტერიორ დეროგატ ლეგი პრიორი] – მომდევნო კანონი აუქმებს წინას.

Lex specialis [ლექს სპეციალის] – სპეციალური კანონი.

Lex semper certa [ლექს სემპერ ცერტა] – კანონი ყოველთვის საიმედოა.

Lex terrae [ლექს ტერე] – ქვეყნის კანონი.

Lex valet in omnes [ლექს ვალეტ ინ ომნეს] – კანონი ყოველისშემძლეა.

L'etat c'est moi [ფრანგ. ლ'ეტა სე მუა] – „სახელმწიფო – ეს მე ვარ“ (ლუი XIV).

Libellus appellationis [ლიბელუს აპელაციონის] – სააპელაციო საჩივარი.

Littera scripta manet [ლიტერა სკრიპტა მანეტ] – „დაწერილი ასო რჩება“; რაც დაიწერება, ის სამუდამოა.

Loco citato [ლოკო ციტატო] – მოხსენებულ, დასახელებულ ადგილას (იხმარება სამეცნიერო ლიტერატურაში მითითების დროს). ჩვეულებრივ აღნიშნავენ ასოებით (L.c.).

M

Magna est veritas et praevalerebit [მაგნა ესტ ვერიტას ეტ პრევალებიტ] – სამართლის ძალა ყველაფერს აღემატება.

Manifestum non eget probatione [მანიფესტუმ ნონ ეგეტ პრობაციონე] – ცხადს არ სჭირდება მტკიცება.

Made in . . . ინგლ. [მეიდ ინ . . .] – დამზადებულია . . .ში (წარწერა საექსპორტო საქონელზე).

Mala file [მალა ფილე] – უპატიოსნოდ, არაკეთილსინდისიერად.

Momento mori [მომენტო მორი] – გახსოვდეთ სიკვდილი.

Modus vivendi [მოდუს ვივენდი] – ცხოვრების წესი, ცხოვრების სახე; არსებობის საშუალება.

Modus procedendi [მოდუს პროცედენდი] – ქცევის წესი.

Modus operandi [მოდუს ოპერანდი] – მოქმედების ხერხი.

Mos legem regit [მოს ლეგემ რეგიტ] – ჩვეულება მართავს კანონს.

Mutatis mutandis [მუტატის მუტანდის] – აუცილებელი შესწორებითა და ცვლილებებით.

N

Nemo dat quod non habet [ნემო დატ კუოდ ნონ ჰაბეტ] – არავის არ შეუძლია იმის მიცემა, რაც არ გააჩნია.

Nemo iudex in causa sua [ნემო იუდექს ინ კაუზა სუა] – არავინაა მსაჯული თავის საქმეში.

Nihil probat, qui nimium probat [ნიჰილ პრობატ, კვი ნიმიუმ პრობატ] – არაფერს არ ამტკიცებს ის, ვინც ძალიან ბევრს ამტკიცებს.

Nolle prosequi [ნოლლე პროსეკვი] – ნუ აღძრავ საქმეს.

Non-compos mentis [ნონ კომპოს მენტის] – შეურაცხადი.

Non licet [ნონ ლიცეტ] – აკრძალულია.

Noscitur a sociis [ნოსკიტურ ა სოციის] – ორაზროვანი სიტყვების მნიშვნელობის გაგება მის ირგვლივ მდებარე სიტყვებით შეიძლება.

Noste te ipsum [ნოსცე ტე იფსუმ] – შეიცან თავი შენი (სოკრატე).

Nuda veritas [ნუდა ვერიტას] – უდავო ჭეშმარიტება.

Nulla poena sine lege [ნულა პენა სინე ლეგე] – არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე).

Nulla potentia supra leges debet [ნულა პოტენცია სუპრა ლეგეს დებეტ] – კანონზე ძალა არ უნდა მოქმედებდეს.

Nulla regula sine exceptione [ნულა რეგულა სინე ექსცეპციონე] – არ არის წესი გამონაკლისის გარეშე.

O

Omne initium difficile est [ომნე ინიციუმ დიფიცილე ესტ] – ყოველგვარი დაწყება ძნელია.

Omnia praeclara rara [ომნია პრეკლარა რარა] – ყველაფერი მშვენიერი იშვიათია.

Opinio juris [ოპინიო იურის] – იურიდიული ძალა.

O, santa simplicitas! [ო, სანტა სიმპლიციტას] – ო, წმინდა გულუბრყვილობავ! (იან ჰუსის წამოძახილი, რომელმაც დაინახა, რომ ერთი მოხუცი ქალი გულმოდგინედ უკეთებდა შეშას ცეცხლს, რომელზედაც მას (ჰუსს) წვადნენ).

O tempora, o mores! [ო ტემპორა, ო მორეს] – „ო დროე-

ბავ, ო, ზნე-ჩვეულებანო!“ (ციცერონი).

Otia dant vitia [ოცია დანტ ვიცია] – უსაქმურობა ბაღებს მანკიერებას.

P

Pacta sunt servanda! [პაკტა სუნტ სერვანდა] – ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს!

Par se [პერ სე] – თავისთავად, მარტო.

Pari passu [პარი პასსუ] – თანაბრად; მათ შორის განსხვავების გარეშე.

Pendente life [პენდენტე ლიფე] – სასამართლოს პროცესის მსვლელობისას.

Per constituta [პერ კონსტიტუტა] – კანონის შესაბამისად.

Per curiam [პერ კურიამ] – სასამართლოს მიერ.

Per procurationem [პერ პროკურაციონემ] – ხელისუფლების ძალით.

Persona grata [პერსონა გრატა] – დიპლ. სასურველი პირი; კანონისათვის ხელშეუხებელი პირი.

Persona non grata [პერსონა ნონ გრატა] – დიპლ. არასასურველი პირი; სახელმწიფოდან გაძევებული პირი.

Petitio [პეტიციო] – სარჩელი, თხოვნა, კოლექტიური.

Prerogativa [პრეროგატივა] – უპირატესობა.

Presumptio juris [პრეზუმფციო იურის] – უდანაშაულობის პრეზუმფცია.

Pecunia non olet [პეკუნია ნონ ოლეტ] – „ფულს სუნი არ უდის“ (იმპერატორ ვესპასიანეს (I ს.) სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა, როდესაც ფული იშოვა საპირფარეშოებზე გადასახადის შემოღებით).

Pereat mundus, fiat justitia [პერეატ მუნდუს, ფიატ იუსტიცია] – ქვეყანა რომ დაიქცეს, მართლმსაჯულება უნდა შესრულდეს.

Post factum [პოსტ ფაქტუმ] – მას შემდეგ, რაც უკვე შესრულდა, მოხდა რამე.

Post scriptum [პოსტ სკრიპტუმ] – პოსტსკრიპტუმი. მინაწერი ტექსტის ბოლოს, ხელმოწერის შემდეგ. ჩვეულებრივ აღნიშნავენ ასოებით P.S.

Q

Qui nimium probat, nihil probat [კვი ნიმიუმ პრობატ, ნიჰილ პრობატ] – ვინც მეტისმეტად ამტკიცებს, ის ვერაფერს ვერ ამტკიცებს.

Qui scribit, bis legit [კვი სკრიბიტ, ბის ლეგიტ] – ვინც იწერს, ორჯერ კითხულობს.

Quot homines, tot sententiae [კვოტ ჰომინეს, ტოტ სენტენციე] – რამდენი ადამიანია, იმდენი აზრია (ტერენციუსი).

R

Ratio legis [რაციო ლეგის] – კანონის არსი, მიზეზი.

Repetitio est mater studiorum [რეპეტიციო ესტ მატერ სტუდიორუმ] – გამეორება ცოდნის დედაა.

Res [რეს] – საკითხი, საგანი.

Respondeat superior [რესპონდატ სუპერიორ] – მაღლა მდგომი იყოს პასუხისმგებელი.

Reus [რეუს] – მოპასუხე.

S

Salut populi suprema lex [სალუტ პოპული სუპრენა ლექს] – ხალხის კეთილდღეობა უზენაესი კანონია (ციცერონი).

Sic! [სიკ] – „ასე!“ „ამგვარად!“; წერენ ფრჩხილებით ტექსტში იმ სიტყვის შემდეგ, რომელიც ავტორს სურს საგანგებოდ გახაზოს.

Sine legibus nulla est civitas, nam civitas legibus continentur [სინე ლეგებუს ნულა ესტ ცივიტას, ნამ ცივიტას ლეგებუს კონტინენტურ] – კანონის გარეშე არ არსებობს სახელმწიფო, რადგან თავად სახელმწიფო კანონზეა დამყარებული.

Si vis pacem, para bellum [სი ვის პაცემ, პარა ბელუმ] – თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისათვის.

Status [სტატუსი] – სტატუსი, საზოგადოებრივი მდგომარეობა.

Status belli [სტატუს ბელი] – ომის მდგომარეობა.

Status quo [სტატუს კვო] – საგნებისა და მოვლენების არსებული მდგომარეობა.

Stare decisis [სტარე დეცისის] – წინა გადაწყვეტილებების მიხედვით დადგენა.

Suppressio veri [სუპრესიო ვერი] – სიმართლის დამალვა.

T

Tabula rasa [ტაბულა რაზა] – „სუფთა დაფა“. ხელოვნური წმინდა.

Tacito consensu [ტაციტო კონსენსუ] – უსიტყვო თანხმობით.

Tempora mutantur et nos mutamur in illis [ტემპორა მუტანტურ ეტ ნოს მუტამურ ინ ილლის] – დრონი იცვლება და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად.

Time is money [ინგლ. თაიმ იზ მანი] – „დრო ფულია“ [ამერიკელი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ბენჯამინ ფრანკლინის (1706-1790) აფორიზმი].

U

Ubi lex, ibi poena [უბი, ლექს, იბი პოენა] – სადაც კანონია, სასჯელიც იქვეა.

Ultra vires [ულტრა ვირეს] – უმაღლესი ძალები; „ძალებს გადაღმა“.

Urbi et orbi [ურბი ეტ ორბი] – მთელი მსოფლიოსათვის, ყველასათვის.

V

Veni, vidi, vici [ვენი, ვიდი, ვიცი] – „მოვედი, ვნახე, ვძლიე“ [იულიუს კეისრის (100-44 წწ. ძვ. წ.) სიტყვები, რომლითაც მან მიმართა სენატს პონტოს მეფე ფარნაკზე გამარჯვების შემდეგ].

Vente [ვენტე] – გადაბრუნე (ფურცელი)! (წერენ გვერდის ბოლოში და ნიშნავს: „გაგრძელება იხილე მეორე გვერდზე“).

Veritas [ვერიტას] – ჭეშმარიტება.

Veto [ვეტო] – ვერძალავ!

Vivere militare est [ვივერე მილიტარე ესტ] – ცხოვრება ბრძოლაა.

Vis legis [ვის ლეგის] – კანონის ძალა.

Vim vi repellere licet [ვიმ ვი რეპელერე ლიცეტ] – ძალა ძალით უნდა მოიგერიო.

გამოყენებული ლიტერატურა

- ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტის ავთანდილ სილაგაძის საერთო რედაქციით. თსუ-ს გამომცემლობა. საგამომცემლო სახელი „ინოვაცია“. თბ., 2005.
- ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი. შემდგენელი პროფ. ს. ჯორბენაძე. თბ., 1998.
- სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბ., 2004.
- ქართულ-ინგლისურ-რუსული განმარტებითი ლექსიკონი. ენციკლოპედიურ-ტერმინოლოგიური ცნობარი. პროფ. ი. მესხიას და პროფ. ალ. ღლონტის რედაქციით. თბ., 1999.
- ქართული დიპლომატიური ლექსიკონი. 2 ტომად. თბ., „თსუ“, 1997-1999.
- ქოლინი პიტერ. ინგლისურ-ქართული იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი. მე-2 ქართული ჩასწორებული და შევსებული გამოცემა. რევაზ ბერუღაშას გამომცემლობა „იბერთედ-პრესი“. თბ., 2004.
- ყამარაული ს. უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი. თბ., 2002.
- შუშანაშვილი ალ. იურიდიული ლექსიკონი. თბ., 2000.
- შიხაშვილი გ., ხვინთელიანი ბ. მენეჯმენტის ლექსიკონი. თბ., 2005.
- წულაია დ. ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი. თბ., 2005.
- ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ., 1989.
- ხმაღაძე გ., ხმაღაძე ნ. საბირჟო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 1999.
- Большая экономическая энциклопедия. Самое полное современное издание. М., «Эксмо». 2007.
- Бернар И., Колли Ж.-К. Толковый экономический и финансовый словарь: французская, русская, английская, немецкая, испанская терминология: В 2-х тт. М., 1997-1999.
- Longman Business English Dictionary. Sufflk, England, 2001.
- Oxford Advanced Learner's Dictionary of Gurrent Englich. Seven edition. Oxford, University press. New For, 2003.

იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 11.12.2008. ხელმოწერილია დასაბეჭდად
25.12.2008. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6.
ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77

